



**ციბიხანი**

მთავარი თემა:

# საქართველო 2012 წლის





# ჩემი გამარჯვებული

სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია  
სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია  
სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია  
სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია

სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია  
სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია  
სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია  
სადაც უნდა იყოს გამარჯვებული, ჩემი გამარჯვებულია

მთავარი რედაქტორი  
შორენა შავერდაშვილი

აღმასრულებელი რედაქტორი  
ლიკა ზაკაშვილი

რედაქტორები  
ნინო ბექიშვილი  
სოფო ბუკია

**ჟურნალისტები:**

ლიკა ზაკაშვილი, ზურაბ ვარდიაშვილი, თათია ხალიანი, ანი ჭანკოტაძე, თინა ყიფშიძე, გიორგი გოგუა, გიორგი ჭეიშვილი, სოფო აფციაური, ეკა მალალაძე, ლაშა ქავთარაძე, ქეთევან ღვედაშვილი

**კონტრიბუტორები:**

ვასო კუჭუხიძე, მანანა ვარდიაშვილი, ბექა ქურხული, კახა თოლორდავა, ლელა რეხვიაშვილი, ნათია ბილიხოძე, დემის პოლანდოვი, ნინო ნატროშვილი

**რედაქცია:**

ფოტო-რედაქტორი  
ლევან ხერხეულიძე  
გრაფიკული დიზაინი  
თორნიკე ლორთქიფანიძე  
რედაქტორ-სტილისტი  
ნინო ბექიშვილი  
კორექტორი  
თამარ ღონღაძე

**გამომცემლობა:**

დირექტორი  
ქეთევან ბაბუნაშვილი  
გაყიდვებისა და გიჟანის  
განვითარების მენეჯერი  
რუსუდან ბარათაშვილი  
გაყიდვების მენეჯერი:  
სოფო პაპუნაშვილი  
მარკეტინგის მენეჯერი:  
ელენე ხარაზაშვილი

დისტრიბუტორი:  
მიხეილ მამუჩიშვილი

ჟურნალის გამომწერის მსურველები  
დაგვიკავშირდით: 247 10 05.

# საქართველო 2012 წელს

წლის 12 მნიშვნელოვანი მოვლენა



2012 წელს საქართველოში მომხდარი მოვლენები ორ ეტაპად იყოფა – საპარლამენტო არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ.

ციხის სკანდალი, წინასასარჩევნო პერიოდში სტრუქტურული პროტესტი, პირველი ოქტომბრის არჩევნები და ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარება, არჩევნების შემდეგ ქართულ მედიასივრცეში მომხდარი ცვლილებები, გენერალური შტაბის უფროსის, გიორგი კალანდაძის დაჭერა, ბაგრატიის ტაძრის აღდგენა, 53-ე საჯარო სკოლიდან მიხეილ ალექსიძის გარიცხვის ფაქტი, უნივერსალური დაზღვევის შემოღება და ლაფანყურში განხორციელებული ანტიტერორისტული მოქმედებები – ეს ის თემებია, რომლებიც „ლიბერალმა“ 2012 წლის მნიშვნელოვანი მოვლენების ნუსხაში მოაქცია.



## სიძველისბან დასილი ქანაქი

რა ზიანი მოუტანა თბილისის უძველეს ნაწილს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებულმა რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოებმა? რატომ დაკარგა თბილისის უძველესმა უბნებმა სპეციფიკა, რა ბედი ენია მე-19 საუკუნით დათარიღებულ კულტურულ ძეგლებსა და როგორ უნდა მივხედოთ კალა-ისან-სეიდაბადზე შემორჩენილ სიძველეებს? ამ თემებზე „ლიბერალი“ არქიტექტურის ისტორიკოსს მაია მანიას ესაუბრა.



ლიკა ზაკაშვილი  
83.10

## ჯოსტიტუსია ჯონსტიტუსიის მიღმა

16-17 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გონიოსა და ბათუმში, შემდეგ კი, თბილისში, გოგოლის ქუჩაზე, პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით ათი პირი დააკავეს. დანაშაული, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით ისჯება, 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სამართალდამცავთა ბოლოდროინდელი გააქტიურების მიუხედავად, დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად სექს-მუშაკებისა და მათი კლიენტებისთვისაა გათვალისწინებული, ფუნქციონირებას კვლავ განაგრძობს.

გიორგი ჭეიშვილი  
83.58


## იანინისხეიმი მახოდსაჯაღების ჰიჩისპიხი

19 თებერვალს, დილის 11 საათზე, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მტკიცებით, გამოვლენილია დანაშაულებრივი სქემა, რომლის მეშვეობითაც ყოფილმა მაღალჩინოსნებმა დიდი რაოდენობით ქრთამი აიღეს და დანაშაულის შესანიღბად ოფიციალური და საგადასახადო დოკუმენტები გააყალბეს.

ზურაბ ვარდიაშვილი  
83.48

## დაჩრება თუ ახა პაჩინაენსი ქათაისში?


საკონსტიტუციო ცვლილების მოლოდინის ფონზე ქუთაისი გაურკვევლობის რეჟიმში ცხოვრობს. დარჩება თუ არა პარლამენტი ქუთაისში – ამ კითხვაზე პასუხი დეპუტატებზე მეტად, ქუთაისელებს ეჩქარებათ. ორი თვეა ქუთაისი საპარლამენტო ქალაქის ფუნქციას ითავსებს. პოლიტიკურ ორომტრიალს, რომელიც დროდადრო თავს იჩენს ხოლმე, ახლად აშენებული პარლამენტის შენობაში, ბევრად არ შეუცვლია ქუთაისის ცხოვრების რიტმი.

 ნათია ბილიხოძე  
03.42


### ფოსოქაჰოქაჰი

## სინათლის დასახლება



 გიორგი გოგუა  
03.68-73

### ნომერები:



მოსამართლე გიორგი გოგუა

- 04 მოკლედ
- 07 ციტატები  
**ორი აზრი**
- 08 უკავშირდება თუ არა ნიკა გვარამიას დაკავება მის ამჟამინდელ საქმიანობას?  
*ელისო ჩაფიძე vs ოთო კახიძე*  
**მთავარი თემა**
- 15 საქართველო 2012 წელს წლის 12 მნიშვნელოვანი მოვლენა  
**პოლიტიკა**
- 40 საქართველო-რუსეთი – პირდაპირი დიალოგის პირველი მცდელობა და ურთიერთობის მომავალი
- 44 დიდი შეთანხმება ბერეზოვსკისა და პატარკაცისელებს შორის  
**რეგიონი**
- 46 ქართულ-აფხაზური კონფლიქტის რელიგიური ასპექტი  
**გარემო**
- 52 ბრძოლა თერგისთვის – დარიალჰესის საქმე  
**კომენტარი**
- 64 რატომ უნდა დავუჭიროთ მხარი გარევაჭრობის რეგულირებას?  
**ტექნოლოგიები**
- 74 პლანეტების წელი  
**ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერები**
- 76 ქალაქია, ხალხნი ვართ

### გამომცემელი:

შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0183, ჟღენტის ქ. 35. ტელ.: (995 32) 2145002, 2145004. ელ-ფოსტა: info@liberali.ge ვებ-გვერდი: www.liberali.ge

### სხვა გამომცემელი:

„ცხელი შოკოლადი“, გაზეთი „ლიბერალი“ „ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

### ბაჭყალი:

შპს „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02. გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.


## აოსტა აონაოიიას ჩაძირვა



2012 წელს საკმაოდ არასასიამოვნო დასაწყისი ჰქონდა. 13 იანვარს იტალიურმა საკრუიზო ლაინერმა „კოსტა კონკორდია“ ხმელთაშუა ზღვაში თავისი ჩვეული მარშრუტის შესრულების დროს კუნძულ ჯილიოსთან ახლოს რიფს შეეჯახა და ჩაიძირა. ამ შემთხვევამ 32 მგზავრი შეინირა, 2 ადამიანი კი დღემდე დაკარგულად ითვლება. კაპიტანი, რომელმაც ზღვაში გასვლამდე აღმოჩენილი ტექნიკური გაუმართაობა უყურადღებოდ დატოვა, სამაშველო ოპერაციის დროს კი ლაინერი მიატოვა, დაპატიმრებულია. მისი საქმე ჯერაც ძიებაშია. ლაინერის ჩაძირვის შედეგად დაზარალებულებს თითოეულს 11 000 ევროს ოდენობით კომპენსაციები გადაეცათ.

## ჩხეთის საჩხუბიდან აჩრავნები

2012 წელს რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. ვლადიმირ პუტინმა ხმების 64 პროცენტი მიიღო და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი მესამედ გახდა. დმიტრი მედვედევს არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, რამაც არჩევნები საკმაოდ



პროგნოზირებადი გახდა. ოპოზიციურმა გამოსვლებმა მოსკოვსა და რამდენიმე ცენტრალურ ქალაქში რუსულ „ტანდემოკრატის“ ვერანაირი საფრთხე ვერ შეუქმნა და პუტინ-მედვედევი გაცვლილი პოსტებით კიდევ მინიმუმ 6 წელი იქნებიან რუსეთის ხელისუფლებაში.

## ავიოხიზისი

2009 წლის ბოლოს დაწყებული ევროკრიზისი 2012 წლის აქტუალური საკითხიც იყო. ქვეყნების მიერ დაგროვებულმა დავალიანებებმა ევროკავშირს საკმაოდ დიდი თავსა-



ტები გაუჩინა. განსაკუთრებით პრობლემატურ ქვეყნებს საბერძნეთი და ესპანეთი წარმოადგენენ, რომელთა „რჩენას“ განსაკუთრებით ინგლისი ეწინააღმდეგება. ათენის უკმაყოფილებამ და ლონდონის ევროსკეპტიციზმმა ეკონომიკური კრიზისის პოლიტიკურში გადაზრდის საფრთხე წარმოშვა. მედია ევროზონის მოსალოდნელი დაშლის საფრთხის შესახებაც წერდა. თუმცა, ევროკავშირი ჯერჯერობით ახერხებს არსებულ პრობლემებთან გამკლავებას.

## ბიჯივიხის სასამართლო პროცესი




სწორედ 2012 წელს იქნა გამოტანილი განაჩენი 2011 წლის ზაფხულში ნორვეგიაში განხორციელებული ტერაქტის ავტორის ანდერს ბრეივიკის მიმართ. დაახლოებით ერთწლიანი ძიების შემდეგ ამ უკანასკნელს 77 ადამიანის მკვლელობისთვის თავისუფლების აღკვეთა 21 წლის ვადით მიესაჯა. გამოტანილი ვერდიქტის მიხედვით, ბრეივიკს 10 წლის შემდეგ პირობითი სასჯელის ხარჯზე ვადაზე ადრე გათავისუფლების მოთხოვნის უფლება აქვს. თუმცა, როგორც მოსამართლე აღნიშნავს, ბრეივიკი 21 წლის შემდგომაც ისევე საშიში იქნება საზოგადოებისთვის, ამიტომაც სასამართლომ დაიტოვა უფლება, საჭიროების შემთხვევაში სასჯელის 5 წლის ვადით გახანგრძლივებისა. ნორვეგიელებმა კი მთელი პროცესის განმავლობაში საკუთარი ჰუმანიზმისა და ეროვნული კონსოლიდაციის დემონსტრირებით მსოფლიოს გაოცება მოახერხეს.

## ავიოხიზის ჩავიონასი ფახაბითი

ტურნირი საინტერესო გამოდგა არამარტო სპორტული, არამედ პოლიტიკური





თვალსაზრისითაც. უკრაინის ხელისუფლების მიერ ექსპრემიერ იულია ტიმოშენკოს მიმართ ციხეში განხორციელებულ ფიზიკურ ძალადობას გერმანიის კანცლერის, ანგელა მერკელის მხრიდან მკაცრი კრიტიკა მოჰყვა, რომელმაც ბოიკოტი გამოუცხადა ჩემპიონატის უკრაინაში ჩატარებას. მერკელის პოზიცია რამდენიმე მნიშვნელოვანმა ევროპელმა ლიდერმაც გაიზიარა. მადრიდმა კი მზადყოფნა გამოთქვა უკრაინაში გასამართი მატჩების ესპანეთში გამართვის შესახებ. თუმცა, გარკვეული წრეების მხრიდან ბოიკოტის მიუხედავად, „ევრო-2012“-ის მასპინძელი ქვეყანა პოლონეთთან ერთად უკრაინაც იყო. ესპანეთმა, მართალია, ტურნირის მასპინძლობის მითვისება ვერ შეძლო, მაგრამ თასი არავის დაუთმო.

**საფხანბეთის საჰაზიონებო ახჩაწეხი**



2012 წელი მნიშვნელოვანი იყო საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნიკოლა სარკოზი პრეზიდენტის პოსტზე სოციალისტების კანდიდატმა ფრანსუა ოლანდმა ჩაანაცვლა. აღნიშნული არჩევნები მეორე შემთხვევა იყო საფრანგეთის მეხუთე რესპუბლიკის ისტორიაში, როდესაც ერთი მხრივ, ქვეყნის მმართველობა მემარცხენე ძალამ აიღო ხელში და მეორე მხრივ, არჩევნებში მარცხი განიცადა ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა. საფრანგეთის არჩევნებმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მემარცხენე ძალების მზარდ გავლენას ბებერ კონტინენტზე.

**ლონდონის ოლიმპიადე**



მიმდინარე წელს ლონდონმა 30-ე საზაფხულო ოლიმპიადას უმასპინძლა. ოლიმპიური თამაშების პირველი დღე

გრანდიოზული პერფორმანსით გაიხსნა, რომელშიც ინგლისის დედოფალმა ელისაბედმაც კი მიიღო მონაწილეობა. 2 კვირის განმავლობაში ოლიმპიური მედლის მოსაპოვებლად 204 ქვეყნის წარმომადგენელი იბრძოდა, თუმცა, ამ მხრივ აშშ-მა პირველობა არავის დაუთმო.

**Pussy Riot-ის წეხთა დაწეხა**



მსოფლიო გამოსმაურება მოჰყვა მოსკოვში პანკ-ჯგუფ Pussy Riot-ის წევრთა დაკავებას, რომლებმაც პუტინის რეჟიმის მიმართ პროტესტი მოსკოვის საკათედრო ტაძარში მოწყობილი პერფორმანსით – პანკ-ლოცვით გამოხატეს. დაკავებულებს ხულიგნობის ბრალდებით 2 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

რუსეთის კულტურული ელიტის შეფასებები ორად გაიყო. ნაწილმა სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს მხარი დაუჭირა, რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი მათ კონფორმიზმს. სხვებმა კი, პუტინის რეჟიმის მიმართ პროტესტი გამოხატეს. რაც შეეხება საერთაშორისო საზოგადოებას, უამრავმა პოლიტიკოსმა თუ საზოგადო მოღვაწემ გამოხატა შეშფოთება მომხდართან დაკავშირებით. გერმანიის პარლამენტის 120-მა წევრმა საპროტესტო წერილი გაუგზავნა რუსეთის ელჩს გერმანიაში. პარალელურად კი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში გაიმართა დაკავებულთა მხარდამჭერი აქციები.

## აშშ-ს საჩიხილენსო აჩივნები

2012 წელს აშშ-მა 57-ე პრეზიდენტი აირჩია. ბრძოლა დემოკრატების კანდიდატს და მოქმედ პრეზიდენტს, ბარაკ ობამასა და რესპუბლიკელ მიტ რომნის შორის მიმდინარეობდა. მსოფლიო ანალიტიკოსთა უმრავლესობა, ობამას მეორე ვადით გაგრეზიდენტებას წინასწარმეტყველებდა,



რაც არჩევნების შედეგებმაც დაადასტურა. შტატებს შორის განაწილებული 538 ხმიდან, ბარაკ ობამამ 332 ხმა მოიპოვა. აშშ-ის საერთაშორისო წონიდან გამომდინარე, ეს არჩევნები არა მხოლოდ მიმდინარე წლის, არამედ მსოფლიოს უახლოესი მომავლის განმსაზღვრელი მოვლენაა.

## სიჩიის ჯონფლიქტი/ ჰაქსტივისი ახალი სტატუსი

მთელი წლის აქტუალური თემა იყო ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესები. მათ შორის აღსანიშნავია სირიის კონფლიქტი, რომლის დადგენილებას საერთაშორისო საზოგადოება დღემდე ვერ ახერხებს. რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგობა გაეროს უშიშროების საბჭოში ხელს უშლის ქვეყანაში სამშვიდობო



ძალების დროულ დისლოკაციას. დაინტერესებულ მხარეთა შეუთანხმებლობის გამო, სირიის კონფლიქტი 2013 წელსაც აქტუალური თემა იქნება. რეგიონში მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა კი გაეროს მიერ პალესტინისთვის ახალი სტატუსის მინიჭება გახლდათ. აღნიშნულ საკითხს მხარი 138-მა სახელმწიფომ დაუჭირა, 41-მა თავი შეიკავა, ხოლო 9 წინააღმდეგ წავიდა და შედეგად პალესტინამ გაეროს დამკვირვებელი არანევრი სახელმწიფოს სტატუსი შეიძინა, რაც სიმბოლური მნიშვნელობის გარდა, მას საშუალებას აძლევს საჭიროების შემთხვევაში ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს მიმართოს.

## ნობელის ჰიამია ეპიოპიის

„ევროპაში დემოკრატის განვითარებისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ქვეყნებს შორის მშვიდობის დამკვიდრების ხელშეწყობისათვის“ ნობელის პრემია 2012 მშვიდობის



დარგში ევროკავშირის გადაეცა. პრესტიჟული საერთაშორისო პრემიის ისტორიაში ეს იყო 24-ე შემთხვევა, როდესაც ჯილდო, რომელიც წელს 1,2 მლნ დოლარს შეადგენდა, მიიღო არა პიროვნებამ, არამედ – ორგანიზაციამ. ნობელის მშვიდობის კომიტეტის გადაწყვეტილებას საკმაოდ არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა მსოფლიოში და მრავალი გამოჩენილი ადამიანის მხრიდან კრიტიკაც დაიმსახურა.

## სიაბელია ნიოთაუნი

ტრაგიკული შემთხვევა მოხდა აშშ-ს ქალაქ ნიოთაუნიში, როდესაც 20 წლის ადამ ლანზი სკოლაში შეიჭრა ცეცხლსასროლი იარაღით და 26 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს, მათ შორის 20 ბავშვი იყო. აღნიშნული ფაქტის შემდგომ შეერთებული შტატებში იარაღის შესახებ კანონმდებლობის გადახედვის საკითხი დადგა, ვინაიდან ამ ტიპის ტრაგიკულმა შემთხვევებმა ქვეყანაში უკვე სისტემატიური სახე მიიღო. აშშ-ში გარდაცვლილთა პატივსაცემად ოთხდღიანი გლოვა გამოცხადდა. □






„მე არ დაგიმალავთ, რომ პოლიტიკაში როცა მოვედი, პირველი უცხო სიტყვა ეს ვისწავლე – გენდერული და ამას რამდენიმე დღე ვიმახსოვრებდი, აზრი ვიცოდი. ეს ასეთივე უცხო ხილია ჩვენი საზოგადოებისთვის და ამით უკვე ბევრია ნათქვამი. უფრო ადრე დაიწყეს ამაზე ფიქრი ჩვენზე განვითარებულმა ქვეყნებმა.



ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ჩავდგეთ ამ ქვეყნების რიგში“, –

**ბიძინა ივანიშვილი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი.**

„წლების განმავლობაში ჩემი არაერთი სატელეფონო საუბარი გამოქვეყნდა რუსეთის სპეცსამსახურების მიერ, როცა მე ვიმყოფებოდი რუსეთში. შეჩვეული ვარ, რომ ტელეფონში სერიოზულ თემებზე არ ვისაუბრო. აქედან გამომდინარე,



მე აღარ ვარ სახელმწიფო მოხელე და რასაც ჩემად ჩემს მეგობრებთან ვლაპარაკობ, ცოტა ხანში ამას პრესკონფერენციაზე ვაცხადებ. არაფერი არ მაქვს დამალული. არ მეშინია, მათ შეუძლიათ თავისუფლად მომისმინონ. ეს იყო

დეკლარაცია იმისი, რომ ჩვენ გვისმენენ“, –

**ვანო მერაბიშვილი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი.**

„ვართ საფრთხის წინაშე, რომ სასამართლო ინსტიტუტმა დაკარგოს დამოუკიდებლობა. ვაღიარებ, რომ წინა მთავრობის ხელში საქართველო არ იყო იდეალური და იყო ბევრი ხარვეზი, მაგრამ მე კარგად ვიცი, განსხვავება იმ სასამართლოს შორის, რომლის რეფორმირებაც ჩვენ მოვახდინეთ შევარდნაძის დროს და იმ სასამართლოს შორის, რომელიც იყო თუნდაც ბოლო წლებში“, –



**მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს პრეზიდენტი.**

„იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური და სამართლიანი გამოძიება იქნება, დედას გეფიცებით... სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, მხოლოდ ამ შემთხვევაში, საზოგადოება საბოლოოდ გაიგებს სიმართლეს და თქვენც დარწმუნდებით ჩემი და



ბევრი სხვა ადამიანის უდანაშაულობაში“, –

**გურამ დონაძე, შსს-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი.**


## ელისო ჩაფიძე

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი

„მე პირადად დაინტერესებული ვარ, რომ ნიკა გვარამიას დაკავების გარშემო სიმართლე გაირკვეს. მიუხედავად ძალიან დიდი ინტერესისა, ვერანაირად ვერ დავუკავშირებდი მის დაკავებას გვარამიას ჟურნალისტურ საქმიანობას. მე გავაანალიზე ის პერიოდი, რაც მე ნიკა გვარამიას ვიცნობ და აღმოჩნდა, რომ მისი ერთადერთი „ჟურნალისტური ნაწარმოები“, ეს გახლდათ 7 ნოემბერთან დაკავშირებული ფილმი, რომლის მომზადებაშიც აქვს გვარამიას მონაწილეობა მიღებული. ეს იყო ძალიან სამარცხვინო, ყოველგვარი ჟურნალისტური სტანდარტებისგან თავისუფალი ფილმი, რომლის ბრალდებებიც 7 ნოემბერთან დაკავშირებით არ დადასტურდა. რის გამოც გადადგა თამარ კინწურაშვილი და საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭო. თუმცა, დადასტურდა, რომ მათ, ვინც მონაწილეობას იღებდნენ ფილმის მომზადებაში, მაგალითად, ნიკა გვარამიას, გიგი უგულავას, გიგა ბოკერიას, არანაირი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ აუღიათ.

ვფიქრობ, აქ უფრო საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობაზე და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე არის საუბარი, ვიდრე მათ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თუმცა დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამ შემთხვევაში დგება ხოლმე სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.

რაც შეეხება ბრალდებებს ნიკა გვარამიას მიმართ. მაგალითად, კახა დამენიასთან დაკავშირებით, მე თვითონაც არაერთი მასალა მქონდა გამოქვეყნებული, მათ შორის, რუსულ ენერგოკომპანიებთან კავშირის თაობაზე.

ანუ ის ეჭვები, რომლებიც გამიჩნდა კადრების და გამოქვეყნებული მასალების შემდეგ, არ არის ჩემი გუშინდელი და გუშინდელი ეჭვები. თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ჩემი სტატიები, სადაც ზურაბ ნოლაიდელთან ერთად კახა დამენიაც აქტიურად ფიგურირებს საქართველოს ქონების გაყიდვასთან დაკავშირებულ სიტუაციებში. აქედან გამომდინარე, გამოძიების დასრულებას უნდა დაველოდოთ. ჩვენ მივიღეთ ორგანულ კანონში ცვლილებები „საერთო სასამართლოების“ შესახებ. რაც უზრუნველყოფს მედიისათვის გახსნილობას ყველა სასამართლო პროცესზე. ღია და საჯარო პროცესზე საზოგადოება დარწმუნდება, იყო ეს პოლიტიკური ანგარიშსწორება და მედიის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი, თუ რეალური ბრალდებები, რის გამოც ხელისუფლება იძულებულია თავისი ინკვიზიციური ფუნქციები განახორციელოს. ერთადერთი, ვისაც სასამართლო პროცესების გახსნილობის და ამ ისტორიებთან დაკავშირებული ბრალდებების გამოაშკარავების ემინია, მიხეილ სააკაშვილია, რომელმაც განაცხადა, რომ ვეტოს დაადებს ამ კანონს. 



## უხავშიღება თუ არა დახავება მის აქტივობებში

**■ ვფიქრობ, აქ უფრო საზოგადოების მიმართ პასუხისმგებლობაზე და პოლიტიკურ პასუხისმგებლობაზე არის საუბარი, ვიდრე მათ სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თუმცა დემოკრატიულ სახელმწიფოებში ამ შემთხვევაში დგება ხოლმე სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხიც.**



**ოტო კასიძე**

პოლიტიკის ანალიზის ცენტრის წარმომადგენელი

ჩემი შეფასებით, ნიკა გვარამიას დაკავების აუცილებლობა არ იყო, ვინაიდან ის გამოდიხვასთან თანამშრომლობდა. გამოცხებისთანავე მონმის სტატუსით გამოცხადდა და მზად იყო, ჩვენება მიეცა. მიმანია, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომელიც ნიკა გვარამის ბრალეულობას უკავშირდება. არც სხვა პირების მიმართ არის რაიმე ხელმოსაჭიდი მტკიცებულება, გარდა იმისა, რომ კონკრეტულმა ფირმებმა გარკვეული კონტრაქტები გააფორმეს და ასე უწევდნენ მომსახურებას „ინტერ რაოს“ საკუთრებაში მყოფ სხვადასხვა კომპანიას.

უკავშირდება თუ არა ნიკა გვარამიას დაკავება მის ამჟამინდელ თანამდებობას, ამაზე დარწმუნებით არაფრის თქმა არა შემიძლია. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები დასავლეთშიც ფასდება როგორც პოლიტიკური ოპონენტების დევნის და შერჩევითი სამართლის ნიშნების მატარებელი. ამ ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს ის ფაქტი, რომ ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი ტელევიზიის გენერალურ დირექტორს აკავებენ. აქვე უნდა აღინიშნოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივა, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მეუღლის საკუთრებაში არსებული ტელევიზიის ბაზაზე შესაძლოა დაფუძნდეს, აგრეთვე, მინიშნება „რუსთავის 2“-ის „რეალურ“ მფლობელებზე – ამგვარი განცხადებები მედიაზე ზენოლის ნიშნების შემცველია.

საქმეში საუბარია, რომ თითქოს ენერგეტიკის მაშინდელმა მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა გარკვეული შეღავათის სანაცვლოდ კომპანიას ქრთამის გადახდა მოსთხოვა. კანონისთვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს ქრთამი ვის ანგარიშზე ჩაირიცხება. ქრთამი თუ მოსთხოვა, დანაშაული დასრულებულია, მაგრამ ამის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ ჩანს. რაც საჯაროდ გახდა ცნობილი, ეს არის „ინტერ რაოს“ განცხადება, რომ მათ დაიქირავეს ერთ-ერთი ყველაზე კვალიფიციური კომპანია თავიანთი აუდიტორული და საგადასახადო მიზნებისთვის. ეს კომპანია წარმოდგენილი იყო ახლად შექმნილი ფირმის ქვეკონტრაქტორის სახით. მაგრამ ეს ბიზნესის გადასაწყვეტია, კომპანიებს როგორ დაალაგებენ და ეს სრულიად ლეგალური პროცესია, ისევე როგორც საგადასახადო შეთანხმება. არის ეჭვები, რომ ნიკა გვარამიამ რაღაც სქემა, შექმნა. მაგრამ ერთადერთი რაც ჩანს, არის ის, რომ ნიკა გვარამია სერვისის განვეის საკითხის ორგანიზებაში მონაწილეობდა. ამაში იყო გარეული და ქრთამის კომპონენტთან რამე შეხება არ იკვეთება (იმ მასალებით, რომელიც გამოქვეყნებულია). შეეძლოთ მისი გამოძახება მონმის სახით, დაკითხვა, შემდგომ მტკიცებულებებზე კვლავ მუშაობა, თუ საჭირო იქნებოდა – ბრალის წარდგენა. მისი დაკავების აუცილებლობა არ იყო. ეს მაფიქრებინებს, რომ ერთგვარ ძალის დემონსტრირებასთან გვაქვს საქმე და ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ზე პირდაპირ ან ირიბ ზენოლასთან. ■

# ნიკა გვარამიას დაკავებასთან დაკავშირებული საქმის განხილვა?

**■ უკავშირდება თუ არა ნიკა გვარამიას დაკავება მის ამჟამინდელ თანამდებობას, ამაზე დარწმუნებით არაფრის თქმა არ შემიძლია. ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები დასავლეთშიც ფასდება როგორც პოლიტიკური ოპონენტების დევნის და შერჩევითი სამართლის ნიშნების მატარებელი.**



ფოტო: ლევან მარტოქაძე

# სიძველისბან დასლიდი ქალაქი

გვესაუბრება არქიტექტურის ისტორიკოსი  
მაია მანია

რა ზიანი მოუტანა თბილისის უძველეს ნაწილს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებულმა რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოებმა? რატომ დაკარგა თბილისის უძველესმა უბნებმა სპეციფიკა, რა ბედი ეწია მე-19 საუკუნით დათარიღებულ კულტურულ ძეგლებსა და როგორ უნდა მივხედოთ კალა-ისან-სეიდაბადზე შემორჩენილ სიძველეებს?

ქალბატონო მაია, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით მრგვალი მაგიდა გაიმართა, სადაც არქიტექტორ-ურბანისტებთან, არქიტექტურის მკვლევრებთან, „ტფილისის ჰამქართან“ და სხვა დაინტერესებულ პირებთან ერთად ისტორიული თბილისის მიმდინარე განაშენიანების, რესტავრაცია-რეაბილიტაციის საკითხებისა და ზოგადად თბილისის ურბანული განვითარების ტენდენციები განიხილეთ. შეხვედრაზე გაფორმდა დეკლარაცია, სადაც ჩამოთვლილ ძეგლებზე სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა შეჩერდეს. როგორ მიმდინარეობს ეს შეხვედრები და როგორ აფასებთ სამინისტროში მიმდინარე პროცესს?

კულტურის სამინისტროში გამართულ შეხვედრას მინისტრი, მისი მოადგილეები და სხვადასხვა დარგის სპეციალისტები ესწრებოდნენ. თბილისის ისტორიული ნაწილი ამ ბოლო ათეული წლის განმავლობაში ძალიან

დასახიჩრდა. შეხვედრაზე გამოიკვეთა ორი განსხვავებული აზრი – იქ და-მსწრე სპეციალისტების ერთი ნაწილი, რომლებიც თბილისის ძველ უბნებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების ავტორები და შემსრულებლები არიან, ამბობდა, რომ სამშენებლო სამუშაოები ძველ თბილისში სწორი გზით წარიმართა, მეორე ნაწილი კი ფიქრობს, რომ თბილისს დიდი ზიანი მიადგა. შეხვედრა შეეხებოდა ძირითადად თბილისს, მაგრამ საქართველოს სხვა ქალაქებზეც ვიმსჯელებთ.

## თქვენ რომელ მოსაზრებას ემხრობით?

მიმაჩნია, რომ თბილისისთვის ეს პროცესები ზიანის მომტანი იყო და ერთ-ერთი უმთავრესი მსხვერპლი თბილისის ძველი უბნები აღმოჩნდა.

მოგეხსენებათ, რომ თბილისის ბირთვი სამი უძველესი ნაწილისგან (კალა, საკუთრივ თბილისი, ისანი) შედგება, რომელსაც ქუჩათა შუა-

საუკუნეობრივი ქსელი უდევს საფუძვლად. აქ შენობები XIX საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთით თარიღდება. ზოგიერთი შენობა ძველი, გვიანშუა-საუკუნეობრივი ნაგებობების ნაწილებს შეიცავს. აღნიშნული სამი ნაწილიდან კალა, ლესელიძის ქუჩის ორსავე მხარეს მდებარე ტერიტორია, თბილისის ყველაზე დიდი სამოსახლო უბანი იყო, საკუთრივ თბილისი, ანუ სეიდაბადი, აბანოების მიმდებარე ტერიტორიაა, მესამე უძველესი უბანი კი – ისანია და მეტეხის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიას მოიცავს. აღნიშნულ უბნებში ერთ-ერთ უმთავრეს გადასარჩენ ფასეულობას ძველი ქუჩათა ქსელი წარმოადგენს, რომელიც, როგორც აღინიშნა, შუასაუკუნეობრივი წარმომავლობისაა. მნიშვნელოვანია ეზოთა სისტემა, რომელიც XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა, ღირებულია ცალკეული ნაგებობები, საცხოვრებელი სახლები, ეკლესიათა ვერტიკალები, ქარვასლათა შენობები, აბანოები...

ძველი თბილისის უდიდესი სამოსახლო უბანი კალა ორ ნაწილად, ზემო და ქვემო კალად იყოფოდა, ეს ნაწილებიც თავისთავად მიკროუბნებად იყოფოდა.

ქვემო კალას მიკროუბნები – ციხისუბანი, კლდისუბანი და ბეთლემის უბანი – ერთმანეთზე მიჯრით არის მიწყობილი და სოლოლაკის მთის კეხს მიუყვება. ციხისუბანში განხორციელდა სწორედ ის სამშენებლო სამუშაოები 2010-2012 წლებში, რომელმაც ტრაგიკული შედეგები მოგვცა.

აღნიშნულ პერიოდში წარმოებული სამუშაოების შედეგად დღეს ციხისუბანში დანგრეულია ქუჩათა ძველი ქსელი, დაკარგულია ძველი (XVIII ს.) ტიპოლოგიის სახლები, გამქრალია უძველესი საყრდენი (XVII, XVIII სს.) კედლები, სახეცვლილია ადრეული ქუჩა-კიბეები. დანგრეულია ბეთლემის და გომის ქუჩების შორის მოქცეული განაშენიანების ვეებერთელა მონაკვეთი, ძველი განაშენიანება ახალი ნაგებობებით არის შეცვლილი.

ციხისუბანში შემორჩენილი იყო ძველი ტიპოლოგიის რამდენიმე საცხოვრებელი სახლი, რომელთაც ძველის სტატუსი ჰქონდათ მინიჭებული. საინტერესოა, რომ, ძველი ინგრევა სტატუსსმოუხსნელად (გომის ქ. №18/4, გომის ქ. №7, გომის II შესახვევი № 6, ბეთლემის ქ. № 15). ძველის ადგილას ბეტონისა და ბლოკის ახალი ნაგებობის მშენებლობის შედეგად ნაგებობების სივრცითი სტრუქტურაც და მთელი განაშენიანების მასშტაბი შეიცვალა, დაირღვა ძველი მიმართებები შენობებსა და რელიეფს შორის. ქუჩა-კიბეზე, შუკაზე თუ ქუჩაში მოძრაობისას დაფარულია ხედები ნარიყალაზე, კლდისუბნის წმინდა გიორგის ეკლესიაზე. ეს არსებითია, რადგან განაშენიანება ისე იყო საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული, რომ ეკლესიები ხილული იყო, მეტიც – ნარიყალა ციხისუბნის ქუჩებში სიარულისას ჩანდა.

ციხისუბანში შერჩენილი იყო ბანინი სახლების წყება, მეცხრამეტე საუკუნის არაერთი სახლი, რომელთა

გადარჩენაც შესაძლებელი იყო. თუ ასე გავანადგურებთ ძველი კვარტლები, ასე ადვილად შეველიეთ სიძველეს, რაღა დარჩება მომავალ თაობებს?

ნარიყალას ციხისკენ მიმავალი დიდი გზა მსხვილმასშტაბიანი შენობებით გაივსო. ციხისკენ მიმავალი ადამიანი ნარიყალას ძველ კედლებს ველარ ხედავს. ნარიყალას ძირში სიძველეს თითქმის ვერ იპოვით.

ციხისუბნის ახალ განაშენიანებას აღარაფერი აქვს საერთო თავის ძველ სახესთან. ციხისუბნის ამ გზით განვითარებამ ძველი თბილისის მთლიანობა დაარღვია.

ციხისუბნის მსგავსი დამოკიდებულებით შესრულდა სამუშაოები შავთე-

## ■ ციხისუბანში შერჩენილი იყო ბანინი სახლების წყება, მეცხრამეტე საუკუნის არაერთი სახლი, რომელთა გადარჩენაც შესაძლებელი იყო. თუ ასე გავანადგურებთ ძველი კვარტლები, ასე ადვილად შეველიეთ სიძველეს, რაღა დარჩება მომავალ თაობებს?

ლის ქუჩაზეც.

მეთოდი, რომელიც ციხისუბანშია გამოყენებული, შემდეგნაირია: ამოთხრილია შენობა, ძველი, ან არაძველი სახლი. აგებულია ბეტონის კარკასი და შევსებულია ბლოკით. გარედან ნაგებობა ციხისუბნის ძველი სამშენებლო მასალით, ე.წ. ძველი აგურით, გაჭრილი ნახევარაგურით არის მოპირკეთებული. აგურები დაწებებულია ბლოკის კედელზე. აივანი სახლს უკეთდება ანგარიშგაუნეველად, იქ სადაც არ იყო ან იყო, სულერთია და ახალი აივანიანი ქალაქია შექმნილი. ეს სიყალბეა, ქალაქის უძველეს ნაწილში ძველი შენობების მხოლოდ რესტავრაციაა მისაღები. შესაძლოა

კარგი, თანამედროვე შენობებიც გაჩნდეს, რომელიც თბილისის ესთეტიკური ღირებულებებით იქნება ნაკარნახევი, მოერგება მას მასშტაბით, არ დაარღვევს მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბებული ქალაქის განაშენიანების სპეციფიკას.

ციხისუბნის, კლდისუბნის ერთი ნაწილის სახით, ჩვენ საქმე გვაქვს ძველი ქალაქისადმი არასწორ დამოკიდებულებასთან, ტრადიციების არშენარჩუნებასთან. თბილისი კარგავს თავის თავდაპირველობას, თავის ნამდვილობას, ავთენტურ ნაწილებს.

ძალიან მნიშვნელოვანი ქუჩაა, ასევე შუასაუკუნეებრივი წარმომავლობის რუისის ქუჩა. იგი, სავსეა მაღალმხატვრული საცხოვრებელი სახლებით (რუისის ქუჩა № 18, 28, 32, 33, 35 და სხვ.).

რუისის ქუჩაზე წარმოებული სარეაბილიტაციო სამუშაოები ძალიან საპასუხისმგებლოა, რადგან სწორედ რუისის ქუჩის კენტი ნომრები ქმნის მეტეხის ეკლესიის მიმდებარე იმ სახლების წყებას, რომელიც კლდეზეა აშენებული და აივანი ფასადებით თუ ეზოთა სივრცით მტკვარს გადაჰყურებს.

ეს ცნობილი კონტური ამ განაშენიანებისა დღეს მოშლილ-მორღვეულია. ახალი კონტური იქმნება. განაშენიანების რუისის ქუჩისპირა ხაზი უძველესი ტიპოლოგიის შენობებსაც შეიცავდა, რომლის შენარჩუნება, მჯერა, რომ შეუძლებელი იყო, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან ადგილას თუ არა რეკონსტრუქცია, მასშტაბის დაცვა ხომ მაინც იყო შესაძლებელი? ახლა სრულდება რუისის ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოები, იგივე მეთოდოლოგიით, რაც ციხისუბანში. რუისის ქუჩის დაკარგვაც ციხისუბნის ტოლფასი ტრაგედიაა.

დანგრეულია ერეკლეს მეორის მოედანი. მის პერსპექტივში შემოდის ჩალაუბნის (ყავლაშვილი) ქ. № 9 სახლი – ძველი თბილისის საცხოვრებელი სახლის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუში. იმის პირობა და გარანტია მაინც გვქონდეს, რომ ამ შენობას გა-



სხალი  
შოკოლადი  
**98.5 FM**

☎ 2 985 985  
✉ radio@shokoladi.ge  
🌐 radio.shokoladi.ge



	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
07:50	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები		
08:00							
09:00							
10:00							
11:00						უიკენდი	ღვინის გზამკვლევი
12:00					უიკენდი	ტეჩუუ	ნიგნები
13:00	ღვინის გზამკვლევი	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	არტ ვაუსი	ცოცხალი ზონა
14:00						ცხოვრების საუნდტრაკი	უიკენდი
15:00							
16:00							
17:00							
18:00	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
19:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
20:00				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი	ცხელი შოკოლადის ისტორიები	
21:00						სანდროს ზღაპრები	სანდროს ზღაპრები
22:00							
23:00							
00:00							
01:00							
02:00	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი	ლიბერალი		
02:30	ტეჩუუ	ცხელი შოკოლადის ისტორიები	არტ ვაუსი	ნიგნები	ღვინის გზამკვლევი		
03:15				ცოცხალი ზონა	ცხოვრების საუნდტრაკი		

კვირის პროგრამა

● LIVE / ჩანაწერი ● განმეორება ● მუსიკა და ახალი ამბავი

დაარჩენენ. ასეთი თანხები დაიხარჯა და არცერთი შენობის რესტავრაცია არ გაკეთებულა. აი, ამ ერთ შენობაზე დახარჯონ ფული, ნამდვილ რესტავრატორს მოუხმონ და ეს მამულიშვილური საქმე იქნება.

## ქალაქის ეს ნაწილი სიძველისგან დაიცალა. რა უნდა გაკეთდეს? მათი აღდგენა შესაძლებელია?

რეცეპტი მე არ მაქვს. თუ ადამიანი სიყვარულით, ცოდნით, პასუხისმგებლობით ეკიდება თავის საქმეს, მაშინ მიზანი მიიღწევა. ნამდვილმა პროფესიონალებმა უნდა იმუშაონ ძველ თბილისში და მათ დავალებად უნდა ჰქონდეთ გადარჩენა და არა დანგრევა, ტრადიციის შენარჩუნება და არა მისი მოსპობა.

ციხისუბნის დაკარგული ფასეულობის დაბრუნება შეუძლებელია. იგი სამუდამოდ არის უკვე აღვილი პირისაგან მინისა. ეს ტრაგედიაა. მაგრამ თბილისში გადასარჩენი კიდევ ბევრია. ის, რაც ციხისუბანში მოხდა, გაკვეთილად უნდა იქცეს სხვა უბნებზე მუშაობისას. ჩვენ ვერ ვიმუშავებთ იგივე ლოგიკით კალას თუ ისნის სხვა ძველ უბნებში. ასე ვაფასებ ბოლო სამი წლის განმავლობაში მიმდინარე სამშენებლო სამუშაოებს ციხისუბანში, რუისისა და შავთელის ქუჩებზე.

## თქვენ ისაუბრეთ იმ ნაწილზე, რომლის გადარჩენა ძალიან რთული იქნება. რომელი ადგილების გადარჩენა შეიძლება? ასევე მინდა გკითხოთ გუდიაშვილის მოედანზეც...

გუდიაშვილის მოედანი დიდ საფრთხეშია. ამ მოედანზე თითქოს თბილისური სპეციფიკაა კონცენტრირებული. აქ თბილისის არქიტექტურის სტილისტური სიჭრელეა ასახული. თითქოს მეცხრამეტე საუკუნის თბილისის არქიტექტურის განვითარების ეტაპებს ასახავს სახლების ტიპოლოგია და ფასადების არქიტექტურული დამუშავებაც. მოედანი მეცხრამეტე საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთით დათარიღებული ნაგებობებისგან შედგება. ერთ-ერთი უმნიშვნელოვა-

ნესი ნაგებობა მოედანზე, ლერმონტოვის სახლის სახელით ცნობილი, № 2 სახლია. იგი დაშლეს. დაშლას „ტფილისის ჰამქარი“ გამოეხმაურა, რომელმაც ძალიან დიდი შრომა გასწია იმისთვის, რომ სამოქალაქო მოძრაობა შეექმნა, ნგრევა შეეჩერებინა და შენობა გადაერჩინა. ამის შემდეგ დაშლა შეაჩერეს, მაგრამ შენობა დღეს სახურავმოსხნილია, სართულშუაგადახურვა ჩანგრეულია და ღია ცის ქვეშ დგას. მისი ძველი აგურით ნაშენი კედლები მუდმივად ზიანდება წვიმის წყლისა და თოვლისგან. რაღა გადარჩება, თუ ყველაფერს აწვიმ-ათოვს? თითქოს რაღაც ნაწილები

## ■ კალა-ისან-სეიდაბადი თავისი უძველესი ქუჩათა ქსელით და XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ეზოთა უნიკალური სისტემით და სივრცითი სტრუქტურით, თბილისის მთავარი ურბანული სიმდიდრეა, მისი არქიტექტურა კი – ჭეშმარიტად დასაცავი ფასეულობა.

შენახული აქვთ, მაგრამ პროექტი რომ ვნახე, ეს რესტავრაციის პროექტი არ არის. ჯერ ერთი, აუცილებელი იყო, რომ პროფესიონალი არქიტექტორ-რესტავრატორის მეთვალყურეობის ქვეშ დაშლილიყო შენობის ის ნაწილები, რომელსაც რესტავრატორი მიიჩნევდა სწორად. აღნიშნული ორი შენობის და საერთოდ, გუდიაშვილის მოედნის სახლებზე ჩასატარებელი სამუშაოების შემთხვევაში წამყვანი უნდა იყოს რესტავრატორი. უმონყალოდ დაანგრეს გუდიაშვილის მოედნის № 1/23 სახლიც. ვინრო ეზოს სივრცით იგი აბესადის ქუჩისკენ იყო მიპყრობილი. თბილისის ძველი მოედანი განადგურდა. ეს თბილი-

სის ბოლო მოედანია: აღარ გვაქვს პურის მოედანი, დაანგრეს ერეკლე მეორის მოედანი. სანამ ვიცავდით გუდიაშვილის მოედანს, დაგვინგრეს ერეკლე მეორის მოედანი. იერუსალიმის მოედანიც ძლივს დგას ფეხზე – ჯერ არავინ ანგრევს, მაგრამ ვიცი, ამ სახლების ფიზიკური მდგომარეობა, ძალიან ცუდია, ერთ მშვენიერ დღეს აქაც გაჩნდება პრობლემა.

გუდიაშვილის მოედნის შენარჩუნება დიდი ეროვნული საქმეა. მაგრამ პროექტი, რომელიც არსებობს, გადარჩენას არ გულისხმობს – იგი გულისხმობს მოედნის პერიმეტრზე მდებარე სახლების დანგრევას და ახლის მშენებლობას, რაც დაუშვებელია. გუდიაშვილის მოედნის სივრცის, ისტორიული განაშენიანების გადარჩენა გარდაუვალი აუცილებლობაა.

ვფიქრობ, რომ უნდა მივხედოთ იმ სიძველეს, რაც დავგრჩა ძველ ქალაქში და გადავარჩინოთ ის, რაც პირველ რიგში გადასარჩენია. კალა-ისან-სეიდაბადი თავისი უძველესი ქუჩათა ქსელით და XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ეზოთა უნიკალური სისტემით და სივრცითი სტრუქტურით, თბილისის მთავარი ურბანული სიმდიდრეა, მისი არქიტექტურა კი – ჭეშმარიტად დასაცავი ფასეულობა. კალა-ისან-სეიდაბადში თავმოყრილი ის სპეციფიკა, რასაც თბილისის მომავალი განვითარება დაეყრდნო. მე ძველი ქალაქის ცალკეულ ნაწილებს, მონაკვეთებს მოვხაზავდი და დავინყებდი მათ შესწავლას გადასარჩენად. ძველი თბილისის სახლების ხანდაზმულობის, ცუდი ფიზიკური მდგომარეობის მიუხედავად, არ უნდა მივცეთ ყველაფერს დანგრევის უფლება. მაშინ ჩვენი შთამომავლობა მაღალზნობრივი აღარ იქნება. მჯერა, რომ კულტურული მემკვიდრეობაა ის ერთ-ერთი უმთავრესი რამ, რაც ადამიანს ზრდის და ეთიკურ-ესთეტიკურად აყალიბებს. მჯერა, რომ ეს ფასეულობაა იმისთვისაც, ვინც ვერ ხედავს მას. ■

ესაუბრა ლიკა ზაკაშვილი.



# სანაჩოვანი 2012 წლის

წლის 12 მნიშვნელოვანი მოვლენა





# სისხემა სხოციდან ბახისხუი მოსნავციის ნინაულბეა

ლიკა ზაკაშვილი

2012 წლის 11 მაისს საქალაქო სასმართლოში 53-ე საჯარო სკოლის გარიცხულმა მოსნავლემ მიხეილ ალექსიძემ მოსამართლე ნინო შარაძეს სიტყვიტ გამოსვლის უფლება სთხოვა.

„გადავინყვიტე, სარჩელზე უარი ვთქვა. დავა მე არც დამინყია და იმაზეც ვნანობ, რომ სამჯერ ხელი მოვანერე სარჩელს. არცერთმა მხარემ და არც მედიამ არ მინდა იფიქროს, რომ ამ გადაწყვეტილებით ჩემს დანაშაულს ვალიარებ, უბრალოდ, დავას ვწყვეტ“, – აღნიშნა მიხეილ ალექსიძემ.

ალექსიძის გადაწყვეტილება მოუ-

ლოდნელი აღმოჩნდა, როგორც მისი ადვოკატებისთვის, ასევე, ლექსიძის დედისთვის. ადვოკატები ალექსიძეს გადაწყვეტილების შეცვლას სთხოვდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მშობელმა არასრულწლოვნის გადაწყვეტილება პროცესის დასრულების შესახებ არ გაიზიარა და სასამართლოში სამართლიანობისთვის ბრძოლის პირობაც დადო, მიხეილ ალექსიძის საქმეზე მოკვლევა დასრულდა. პროცესის დასრულების შემდეგ სკოლის დირექტორმა ტარას შავშიშვილმა ალექსიძის გადაწყვეტილება დადებითად შეაფასა და

აღნიშნა, რომ ალექსიძემ ის გააკეთა, რაც სინდისმა უკარნახა.

ინციდენტი გასული წლის 13 ოქტომბერს, 53-ე საჯარო სკოლაში ბოლო გაკვეთილზე მოხდა, მე-10 კლასის მოსნავლეებმა მათი თანაკლასელის სკოლიდან გარიცხვის ფაქტი სკოლის დირექტორის, ტარას შავშიშვილის კაბინეტთან გააპროტესტეს და დირექტორისგან თანაკლასელის გარიცხვის გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვდნენ. კაბინეტთან შეკრებილ მოსნავლეებს დირექტორმა პროტესტის მიზეზებზე ჰკითხა და როგორც მიხეილ

ალექსიძე ამბობს, ის და მისი თანაკლასელი კაბინეტში შეიყვანა. თუმცა, როგორც ტარას შავშიშვილი ამბობს, კაბინეტში ალექსიძე თანაკლასელთან ერთად შეიჭრა და დირექტორს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ალექსიძე შეურაცხყოფის ფაქტს უარყოფდა და ამბობდა, რომ ამის მოწმე მისი დამრიგებელია, რომელიც სასამართლომ მოსარჩელე მხარის მოთხოვნის მიუხედავად მოწმის სახით არცერთხელ არ დაკითხა.

ინციდენტის შემდეგ, იმავე დღეს, სკოლის დირექტორმა, ისე, რომ ამის შესახებ ალექსიძე და მისი მშობელი გაფრთხილებულები არ იყვნენ, სამეურვეო საბჭო მოინვია, რომელმაც ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილება მიიღო.

საგულისხმოა, რომ თავიდან გარიცხვის აქტში დირექტორისთვის მოსწავლის მხრიდან შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის მომსწრე მხოლოდ ტარას შავშიშვილი იყო და გარიცხვის გადაწყვეტილებაც დირექტორის ახსნა-განმარტების საფუძველზე იქნა მიღებული, თუმცა, სასამართლო განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ ამ ფაქტის მომსწრე და თვითმხილველი დირექტორის მოადგილეები გახდნენ. ალექსიძე კაბინეტში ამ პირების ყოფნის ფაქტს უარყოფდა.

ინციდენტის შემდეგ, იქამდე, ვიდრე სამეურვეო საბჭო ალექსიძის სკოლიდან გარიცხვის გადაწყვეტილებას მიიღებდა, სკოლის დირექტორს ალექსიძის დედა ლალი ლეკიშვილი შეხვდა.

„მე თქვენ გთავაზობთ არჩევანს – ან წაიყვან შვილს სკოლიდან, ან სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავო, – წინადადება შოკისმომგვრელი იყო, ძალიან ავლელვდი, ვერ ვხვდებოდი, რის საფუძველზე მიგდებდა შვილს სკოლიდან, ან რატომ მემუქრებოდა სისხლის სამართლის საქმის აღძვრით. მე მეგონა, საქმე ერთ უგუნურ დირექტორთან მქონდა. დავემუქრე, შაშკინთან წავალ, მთელი ქვეყანა გაიგებს ამ ამბავს-მეთქი, მაგრამ არ ვიცოდი, თურმე, ერთ დირექტორს კი არა, მთელ სისტემას დავეჯახე“, – გაისხენა „ლიბერალთან“ საუბრისას ლალი ლეკიშვილი.

ალექსიძის დედამ შვილის სკოლიდან გარიცხვის შემდეგ ალექსიძის სკოლაში მიღების თხოვნით განცხადებით ოთხ საჯარო სკოლას მიმართა, თუმცა უშედეგოდ – ალექსიძის სკოლაში მიღებაზე მშობელს უარი უთხრეს.

მიხეილ ალექსიძის საქმეს 2012 წლის 28 თებერვალს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს პრეზიდენტიც შეეხო. მიხეილ სააკაშვილი სკოლიდან გარიცხულ არასრულწლოვანს ხულიგანი უწოდა და თქვა, რომ საქართველოში ქურდული მენტალიტეტის დრო დასრულდა.

ალექსიძის საქმე სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშშიც მოხვდა, სადაც ვკითხულობთ, რომ მიხეილ ალექსიძე 53-ე საჯარო სკოლიდან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გაირიცხა.


„მიღებული ახსნა-განმარტებები მონაშობს, რომ სკოლის დირექტორი კომიტეტის წევრებზე ზეწოლას ახდენდა,

**■ ალექსიძის საქმე სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშშიც მოხვდა, სადაც ვკითხულობთ, რომ მიხეილ ალექსიძე 53-ე საჯარო სკოლიდან საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით გაირიცხა.**

რამაც კომიტეტის წევრის განცხადებით, ზეგავლენა მოახდინა მის მიერ დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებაზე; გადაწყვეტილება მიხეილ ალექსიძის მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების თაობაზე არ იყო დასაბუთებული“, – წერია ანგარიშში. **□**

**აომენსახი**

**ლალი ლეკიშვილი**  
მიხეილ ალექსიძის დედა



მიხეილმა სწავლა გააგრძელა. არის ასეთი ქალბატონი, ინესა იამანიძე, ვერის ლიცეუმის დირექტორი. ის 51-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორია, რომელმაც კერძო სკოლა გახსნა. ამ სკოლაში ქალბატონმა ინესამ მიხეილი დიდი სითბოთი და სიყვარულით მიიღო. როგორც მან მითხრა, თვალს ადევნებდა ამ უსამართლობას, რომელიც ჩემი და ჩემი შვილის გარშემო ხდებოდა და მოულოდნელად დამიკავშირდა და მითხრა, რომ იგი თავს ვალდებულად თვლიდა ბავშვის წინაშე. ამ უსამართლო ბრძოლაში, ასეთი ტრავმის შემდეგ, ბავშვი მიიღო უფასოდ, უანგაროდ, არ გვახდევინებს არცერთ თეთრს, მე თავს ვალდებულად ვგრძნობ მიხეილის წინაშე, რომ მოვამზადო და ჩავაბარებინო. მინდა ყველამ იცოდეს, რომ არიან ასეთი მასწავლებლები.

ძალიან მცირეკონტინგენტიანი სკოლაა, ძალიან მოსწონს სწავლა, როგორც მისი მასწავლებლებისგან ვიცი, ბავშვი ძალიან გაუხსნელია, სევდიანი დადის. რომ გითხრათ, რომ ახალი მეგობრები შეიძინა-მეთქი – არა. მისი სამყარო ისევ ჩაკეტილია. ძველ მეგობრებთან არანაირი ურთიერთობა არ აქვს. მიკა ახლა დამამთავრებელ კლასშია, უნდა კინოსარეჟისოროზე ჩააბაროს, მეცადინეობს, ეხმარებიან სკოლის პედაგოგები, ბავშვი მყავს სრულად მიბარებული სკოლის დირექტორზე, ძალიან ყურადღებიანია, ძალიან დიდ მზრუნველობას იჩენს. მიკა მეცადინეობს. ამას წინათ ხუმრობით მითხრა, რომ ჩემი პირველი სცენარი ალბათ ტარას შავშიშვილს შეეხებო. ძალიან გალიზიანდა ჩოქურის სატელევიზიო გამოსვლაზე. ჩოქურმა ეთერში განაცხადა, რომ მიხეილ ალექსიძე მისი ტკივილი იყო. როდის იყო ტკივილი? მაშინ, როცა ცრუმონმედ მოგვევლინა სასამართლოში?



ფოტო: სურენ პოლონიძე

# "ნიწაჰაიჿთა ოსწაბის ასჿეღაჿ" - ალბენიღი ბაბჿაბის ტაძარი

თინა ყიფშიძე

17 აგვისტოს რესტავრირებული ბაგრატის ტაძრის მომწვანო-სალათისფერ გუმბათს უამრავი მაყურებლის თვალწინ და ზარების საზეიმო რეკვის ფონზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სპილენძის ჯვარი დაადგა. ბაგრატის ტაძრის რესტავრაცია პრეზიდენტმა დაასრულა. სიტყვით გამოსვლისას სააკაშვილმა რესტავრირებულ ბაგრატს წინაპართა ოცნების ასრულება უწოდა: „ჟამი გამოცვლის პრეზიდენტებს, მაგრამ ეს ხომ დაგვრჩება“, – სიამაყით ამბობდა ბაგრატის ახალ ტაძარზე პრეზიდენტი.

პრეზიდენტმა ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პირობა წლების წინ ტაძრის ეზოში

სახალხოდ დადო. ბაგრატის ტაძარი უნდა აღმდგარიყო და ერთიანი საქართველოს სიმბოლოდ ქცეულიყო.

ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პოლიტიკურ ნებას წინ საპატრიარქოს სურვილი უძღოდა. საპატრიარქო წლების განმავლობაში ამტკიცებდა, რომ ტაძარი ნირვა-ლოცვის გარეშე არ უნდა არსებულებოდა და მის რეკონსტრუქციას ითხოვდა. ნირვა-ლოცვის აღსასრულებლად, წესისამებრ, ტაძარს გუმბათი უნდა ჰქონდეს, გუმბათის დადგმა კი ამ სიძველისა და მდგომარეობის ძეგლისთვის რეკონსტრუქციის გარეშე შეუძლებელი იყო.

ტაძრის რესტავრაცია ხმაურით მიმდინა-

რობდა. რესტავრაციის პროექტის დამტკიცებისა და რესტავრაციის დაწყებისთანავე ხელოვნებათმცოდნეები ბაგრატის ტაძრის ავთენტურობის დაკარგვის საფრთხეზე ალაპარაკდნენ. მათი შეშფოთება იუნესკომაც გაიზიარა და ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის შეჩერება არაერთხელ მოითხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ბაგრატს კულტურული მემკვიდრეობის სიიდან ამოღება დაეშუქრა.

2008 წელს იუნესკოს ექსპერტებმა ბაგრატის ტაძრის დათვალიერების შემდეგ გადანყვიტეს, რომ ძეგლი სასწრაფოდ უნდა გამაგრებულიყო, თუმცა გამაგრების მაგივრად, ტაძრის სრული რეაბილიტაციის გეგ-

მა კულტურის სამინისტრომ 2009 წლის 31 ივნისს დაამტკიცა.

ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის ირგვლივ ხმაური განსაკუთრებით 2012 წლის ზაფხულში გაძლიერდა. თავდაპირველად იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ბაგრატის ტაძარი საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა სიაში გადაიტანა, ხოლო 36-ე სესიაზე საკუთარ წინასწარ დასკვნაში ორგანიზაციამ მწუხარება გამოთქვა, რომ ბაგრატის ტაძრის ავთენტური სახის დაცვა ვერ მოახერხა. იუნესკოს დასკვნით ძეგლის საფუძველში მიმდინარე რკინა-ბეტონის სამუშაოები ტაძარს ავთენტურ სახეს სრულიად უკარგავდა.

„უკიდურესად შეწუხებულები აღვნიშნავთ, რომ ბაგრატის რეკონსტრუქცია უკვე სერიოზულ ფაზაში შესული და იმ გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, რომელზეც კომიტეტმა 34-ე სესიაზე უარი განაცხადა. რეკონსტრუქციისას რკინა-ბეტონი, გუმბათი და გამოყენებული ქვები თითქმის მთლიანად ფარავს ორიგინალურ და ავთენტურ ქვისწყობას“, – ეწერა იუნესკოს 36-ე სესიის დასკვნაში.

იუნესკო ხაზს უსვამს, რომ შენობის ტოპოლოგიური და არქეოლოგიური კვლევის მიუხედავად, რეკონსტრუქციისას ჩამოცვენილი და გადარჩენილი დაახლოებით 400-მდე ქვა არ გამოიყენეს, თუმცა, მათი ზუსტი ადგილმდებარეობა ცნობილი იყო.

„ძლიერ განვიცდით, რომ ქვათა ორიგინალური წყობა რეკონსტრუქციამდე მხედველობაში გათვალისწინებული არ იყო. ინტერვენციის შეუქცევადი ხასიათის გამო ამის გათვალისწინება უკვე შეუძლებელია. ვწუხვართ, რომ ბაგრატის კათედრალის დაცვა ვერ მოვახერხეთ“, – ეწერა ორგანიზაციის დასკვნაში.

მამინ „ლიბერალთან“ საუბრისას ძეგლთა დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ნიკა ვაჩიშვილი იუნესკოს წინასწარ დასკვნას არაკვალიფიციურს უწოდებდა და ბაგრატის ტაძრის რესტავრაციაც გაგრძელდა.

ბაგრატის ტაძრის პროექტის ინტერნეტში გავრცელების შემდეგ ხელოვნებათმცოდნეებისა და იუნესკოს აქტიურობას სოციალური ქსელების მომხმარებლებიც დაემატა. განსაკუთრებით საკამათო აღმოჩნდა ტაძრის დასავლეთ ფრთაში ლიფტისა და შუ-

შის კონსტრუქციის არსებობა.

ავთენტური სახის დაკარგვის, რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენებისა და ქვათა ძველებური თანწყობის არევის ნაცვლად საპატრიარქომ მხოლოდ ლიფტის კონსტრუქცია მიიჩნია მიუღებლად. ბაგრატის ტაძრის რეკონსტრუქცია ცოცხალი შიშით და სამინისტრომ ბაგრატის ტაძრის ლიფტის გარეშე აშენების პირობა დადო. მიუხედავად ამ პირობისა, ბაგრატის ტაძარს ამჟამად ლიფტი მაინც ემსახურება.

ბაგრატის ტაძარი მრავალმხრივი წინააღმდეგობის მიუხედავად, ფაქტობრივად, ხელახლა აშენდა. პოლიტიკურ, პატრიოტულ თუ სხვა ვენებებს, ხელოვნებათმცოდნეთა ნაწილის აზრით, ბაგრატის ტაძრის ავთენტურობა შეენირა. ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია „ლიბერალთან“ საუბრისას ამბობდა, რომ რესტავრირებულ ბაგრატს პირვანდელ სახესთან საერთო აღარაფერი ექნებოდა.

„ესაა მიშას და არა ბაგრატის ტაძარი“, – ამბობდა ის.

**„ძლიერ განვიცდით, რომ ქვათა ორიგინალური წყობა რეკონსტრუქციამდე მხედველობაში გათვალისწინებული არ იყო. ინტერვენციის შეუქცევადი ხასიათის გამო ამის გათვალისწინება უკვე შეუძლებელია. ვწუხვართ, რომ ბაგრატის კათედრალის დაცვა ვერ მოვახერხეთ“.**

იუნესკო 2013 წელს გადანყევტს, ამოიღოს თუ არა ბაგრატის ტაძარი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან. მანამდე, 2009 წელს, იუნესკომ მცხეთის ისტორიული კომპლექსი, კონსერვაციის პირობების დარღვევის გამო, მსოფლიოს მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში გადაიტანა. **📍**

**ჯომენსაჰი**



**თამარ ამაშუკელი**  
ხელოვნებათმცოდნე

2012 წელს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმართ დამოკიდებულება წინა წლებთან განსხვავდებოდა. ტენდენციაა, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რესტავრაცია ჩქარ ტემპებში მიმდინარეობდა და ილახებოდა არა მხოლოდ მათი მდგომარეობა, არამედ მათი ავთენტურობაც. ეს ვნახეთ ციხისუბანში, აღმაშენებელზე, იგივე გაკეთდა ბაგრატზეც. რესტავრაციას დიდი დრო სჭირდება, ხშირად წინასამუშაო დოკუმენტების მოშადავებს უფრო დიდი დრო მიაქვს, ვიდრე რესტავრაციის უშუალო პროცესს. ჩვენთან, ხშირად კვლევა, დოკუმენტების მოშადავება და რესტავრაცია პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს. ამან, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, პრობლემა არ წარმოქმნას

რეაბილიტაცია რეაბილიტაციისთვის არ მიმდინარეობდა, ეს უფრო ფასადური, პოლიტიკური ქულების დასაწერი პროექტები იყო. ამიტომაც იყო, რომ ძირითადად კეთდებოდა ის ქუჩები, რომელიც ცენტრალურ უბნებზე გამოდიოდა. არსებობს მეტ-ნაკლებად ღირებული და მეტ-ნაკლებად დაზიანებული ძეგლები და შერჩევაც ამ პრინციპით უნდა მომხდარიყო და არა პოპულისტური მიზნებიდან გამომდინარე. ძეგლების რესტავრაცია საჭირო იყო პოლიტიკური მიზნებისთვის, ნაკლები ყურადღება ექცეოდა როგორ კეთდებოდა. მთავარი იყო, გაკეთებინათ და გაეხსნათ. ესწრებოდა თუ არ ესწრებოდა, მნიშვნელობა არ ჰქონდა, სახელმწიფო საკუთარ თავს ბოლო ვადად არანორმალურ თარიღებს უწესებდა – მაგალითად, 26 მაისი, 23 ნოემბერი და ა. შ. ამიტომაც იყო, რომ ნახევარი აღმაშენებელი გახსნისას მუყაოთი იყო შეფუთული. პოპულისტური და დაჩქარებული რეაბილიტაციის გარდა, ასევე, როდესაც ინვესტორსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს შორის უნდა გაკეთებულიყო არჩევანი, ყოველთვის ინვესტორის სასარგებლოდ კეთდებოდა. ეს დამღუპველია, ინვესტორს ისედაც დიდი ფული აქვს და ისედაც უპირატეს მდგომარეობაშია, სახელმწიფო ძეგლის მხარეს უნდა დადგეს.



# ჩაშლილი მსვლელობა

ნინო ბექაშვილი

2012 წლის 17 მაისს გვი აქტივისტები და რამდენიმე მოქალაქე, რომლებიც მათ სოლიდარობას უცხადებდნენ, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზთან, ფილარმონიასთან შეიკრიბნენ.

აქცია არასამთავრობო ორგანიზაცია „იდენტობის“ მიერ იყო ორგანიზებული. მონაწილეები განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანების მიმართ სიძულვილს აპროტესტებდნენ და თავისუფლების მოედნამდე მსვლელობას გეგმავდნენ.

აქცია სრულიად მშვიდობიანი იყო. მონაწილეებს ფერადი დროშები და ჰომოფობიის

სანიშანდღეგო პლაკატები ეჭირათ. „მე მიყვარს ჩემი გვი მეგობარი“ და „ჰომოფობია არჩევანია, ჰომოსექსუალობა – არა“ – ეწერა პლაკატებზე. იქვე იყვნენ ჟურნალისტებიც.

ეს საქართველოში ლგბტ ადამიანების პირველი ღია მსვლელობა იყო საკუთარი უფლებების დასაცავად.

მანამ, სანამ მსვლელობა დაიწყებოდა, აქციის მონაწილეებთან ერთი ქალბატონი მივიდა, რომელიც მათ უხსნიდა, რომ „ეს ცოდვაა“, „გარყვნილების პროპაგანდა“ და ურჩევდა, არ გაემართათ მსვლელობა და დაშლილიყვნენ.

აქციას, იქვე, ფილარმონიასთან რამდენიმე წუთით შეუერთდა გვი წყვილი გერმანიიდან, რომლებმაც განაცხადეს, რომ დაქორწინებულები არიან და ერთმანეთს აკოცეს.

მსვლელობის მონაწილეებმა მშვიდობიანად სულ რამდენიმე ათეული მეტრის გავალა შეძლეს. ჭოველიძის ქუჩის დასაწყისში მათ პირველი წინააღმდეგობა შეხვდათ – რამდენიმე ახალგაზრდა მამაკაცმა მათი შეჩერება სცადა.

გამვლელები ინტერესით აკვირდებოდნენ ფერადი დროშებითა და პლაკატებით შეიარაღებულ დემონსტრანტებს. სახეზე

ბერს გაოცება ეხატა, იყო შეურაცხყოფელი შეძახილებიც მათი მისამართით.

აქცია რუსთაველზე, მეცნიერებათა აკადემიის წინ შეწყდა, რადგან მსვლელობის მონაწილეებს წინ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის“, „წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის კავშირის“ წევრები – სასულიერო პირები და მათ მიერ ნაქეზებული ჩვეულებრივი მოქალაქეები გადაეღობნენ და დემონსტრანტებს გზის გაგრძელების საშუალება აღარ მისცეს.

სანამ მსვლელობა დაიწყებოდა, ფილარმონიის მიდამოებში პოლიციის რამდენიმე მანქანა იდგა, მაგრამ როცა სასულიერო პირებმა და მრევლმა დემონსტრანტებს გავლის საშუალება აღარ მისცეს და სიტყვიერი დაპირისპირება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, დაახლოებით 20 წუთის განმავლობაში, პოლიცია უკვე არსად ჩანდა.

პატრული დაგვიანებით მოვიდა, მაგრამ მშვიდობიანი მსვლელობის გაგრძელებისთვის არაფერი გაუკეთებია. პოლიციელებს არ უცდიათ, დემონსტრანტებისთვის გზა გაეხსნათ. ისინი მშვიდად ისმენდნენ სასულიერო პირების მოწოდებას, აღეკვეთათ ეს „უმსგავსობა, ხოლო, მას შემდეგ, რაც სასონარკვეთილმა მონაწილეებმა გზის გადაკეტვა სცადეს, პოლიციამ აქციის ორი მონაწილე დააკავა და პატრულის მანქანით სადღაც წაიყვანა. დაახლოებით ერთ საათში მონაწილეები ისევ აქციის ადგილას მოიყვანეს.

აქციის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, აღარ გაეგრძელებინათ მსვლელობა – რამდენიმე აქტივისტი ნაცემი იყო, დახეული ფერადი დროშები და პლაკატები კი ძირს ეყარა.


სახალხო დამცველმა იმავე დღეს გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნა, რომ „საქართველოში პოლიტიკოსებისთვის, სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებისთვის უმნიშვნელოვანესი უნდა გახდეს ტოლერანტობის კულტურის ხელშეწყობა, მათ შორის ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი და ინტერსექსუალი ადამიანების უფლებებით და მათ წინაშე არსებული პრობლემებით დაინტერესება. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი ჩვენი

სახელმწიფოსა და საზოგადოების დემოკრატიული და ლიბერალური განვითარება“.

მეორე დღეს, 18 მაისს, ლგბტ აქტივისტები და მათთან სოლიდარული მოქალაქეები რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის წინ შეიკრიბნენ. მათ მხარდაჭერა გამოუცხადა დიპლომატიურმა კორპუსმაც – მოვიდნენ ჰოლანდიის, გერმანიის და საფრანგეთის ელჩები.

სასულიერო პირებისა და მათი მრევლის მცდელობის მიუხედავად, რომელთაც სურდათ, ეს აქციაც ჩაეშალათ, რადგან პოლიცია ადეკვატურად იქცეოდა და დემონსტრანტებს იცავდა, შეკრებამ მშვიდობიანად ჩაიარა.

**■ პოლიციელებს არ უცდიათ, დემონსტრანტებისთვის გზა გაეხსნათ. ისინი მშვიდად ისმენდნენ სასულიერო პირების მოწოდებას, აღეკვეთათ ეს „უმსგავსობა, ხოლო, მას შემდეგ, რაც სასონარკვეთილმა მონაწილეებმა გზის გადაკეტვა სცადეს, პოლიციამ აქციის ორი მონაწილე დააკავა და პატრულის მანქანით სადღაც წაიყვანა.**

1990 წლის 17 მაისს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ჰომოსექსუალობა ფსიქიკური დაავადებების სიიდან ამოიღო. 2005 წლიდან მოყოლებული, 17 მაისი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება, როგორც ჰომოფობიისა და ტრანსფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე. 

**აომენსახი**



**ნათია გვინიშვილი**  
აქციის მონაწილე

17 მაისის აქცია რამდენიმე მიზეზის გამო იყო მნიშვნელოვანი. ეს იყო ლგბტ ადამიანების პირველი მსვლელობა, რომელსაც გამომხაურება მოჰყვა. ფილარმონიასთან იყვნენ ყურნალისტები და მედია დაფარვა ამ აქციას ნებისმიერ შემთხვევაში ექნებოდა. მეორე მხრივ, ამაღლდა თემის ხილვადობა, როგორც წესი, რაც უფრო უხილავია სოციალური ჯგუფი, მით უფრო მეტი მიდრეკილება აქვს ე.წ. უმრავლესობას, არ შეიმჩნიოს მათი პრობლემები.

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ რამდენიმე სატელევიზიო არხმა ნეიტრალურად და დაბალანსებულად გააშუქა აქცია.

ის, რომ ძალადობას ჰქონდა ადგილი და ვერ მოვახერხეთ ბოლომდე მსვლელობა, ცუდია, მაგრამ პერსპექტივაში რომ შევხედოთ, აქციას მაინც დადებითად შეაფასებდი. ლგბტ ადამიანების თემა პოლიტიკურ დისკურსში სწორედ 17 მაისის შემდეგ ჩაჯდა. საჯაროდ გამოჩნდა ჰომოფობია, როგორც პრობლემა. ქრისტიან-დემოკრატების გამოსვლა მაშინდელმა უმრავლესობის წევრებმა შეაფასეს როგორც ჰომოფობიური. ყურნალისტებმა პოლიტიკოსებს ჰკითხეს, როგორ დაიცავდნენ ლგბტ ადამიანების უფლებებს, იგივე შეკითხვები დაისვა სულ ახლახან ომბუდსმენთან დაკავშირებითაც.

ბერს კამათობენ იმაზე, რამდენად სწორი იყო ამ აქციის ჩატარება. ჩვენ თავიდანვე გავთვალეთ რისკები, მაგრამ პოლიციის ასეთ უმოქმედობას არ ველოდით. აქტივიზმი ნებისმიერ შემთხვევაში რალაციტ უნდა დაიწყოს. თუკი სოციალური ჯგუფი არ გამოვა გარეთ და არ მოითხოვს საკუთარ უფლებებს, უფრო მეტი შანსი იქნება, რომ მას ყურადღება არ მიაქციონ.

მიმაჩნია, რომ მსვლელობის ჩატარება საჭირო იყო.



ფოტო გელა მთივლიშვილი

# დაფანჯურის სჯესოჯეხასია

## ბეკა ქურხული

28 აგვისტოს მთელი საქართველო შეანრილა ლაფანჯურის ხეობაში შემავალი სამხედრო მანქანების კადრებმა. მანამდე მთელი წელი საუბრობდნენ არჩევნების წინ მოსალოდნელ პროვოკაციებზე, რომელშიც მაშინდელი ხელისუფლება რუსულ კვალს ხედავდა, ხოლო ოპოზიცია, ხელისუფლების „ბნელ ზრახვებს“ გულისხმობდა – ხელოვნური დესტაბილიზაციის შექმნას, არჩევნების გადადებას და ახალ შეიარაღებულ კონფლიქტს.

საზოგადოებამ რამდენიმე დღის განმავლობაში არ იცოდა, რა ხდებოდა ლაფანჯურის ხეობაში, შსს ავრცელებდა ინფორმაციას, რომ ლაფანჯურიდან, იქვე ხევში წასული 5 ახალგაზრდა დაიკარგა. ამას გარდა, იყო საეჭვო „დამთხვევები“:

იმ სამშაბათს დაღესტნის მუფთი ააფეთქეს ისლამისტმა მეზრძოლებმა, რის შემდეგაც საქართველო-დაღესტნის საზღვრის ეს მონაკვეთი რუსული ჯარით გაივსო, ახლა ბევრს არ ახსოვს, მაგრამ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსმა მესაზღვრემ, თუ არ ვცდები, გვარად ალიევა, თანამეზრძოლები დაცხრილა, იარაღი გაიტაცა, გაიქცა, დაბოლოს – სპეცოპერაციის წინა დღეს, თელავის რაიონის პატარა წყნარ სოფელ ლაფანჯურში, იმავე სოფლის მცხოვრებმა, თავდაცვის სამინისტროს ყოფილმა თანამშრომელმა თავი მოიკლა.

მოსახლეობაში, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები: – რა სპეცოპერაცია ტარდება? ვის წინააღმდეგ? რომელი შეიარაღებული ჯგუფია საქართველოს ტერიტორიაზე შე-

მოჭრილი? ვის ვებრძვით? მთელი დღის განმავლობაში ამ კითხვებზე კონკრეტული პასუხი არ იყო.


ბევრი შეკითხვა გაჩნდა – ლაფანჯურელი ახალგაზრდები კვირას დაიკარგნენ, ხოლო დაღესტნის მუფთი სამშაბათს, ორი დღის შემდეგ ააფეთქეს, ადგილობრივების მტკიცებით, სპეცოპერაციამდე ერთი-ორი კვირით ადრე, ქართველი სამართალდამცავები აქტიურად მოძრაობდნენ ხეობაში, სოფელ ართანასთან თხრიდნენ სანგრებს. სპეცოპერაცია დაიწყო მას შემდეგ, რაც მძევლები უკვე გაათავისუფლეს, მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, რომ ლაფანჯურელები დაკარგული ახალგაზრდების ძებნის დროს წააწყდნენ უცნობ შეიარაღებულ დაჯგუფებას, ხოლო მათ ნაბინადარზე ქართული





აომენსახი

მეკა ხანგოშვილი  
ჩეჩნური დიასპორის  
წარმომადგენელი



აფხაზეთის ომის შემდეგ ის ხიდი, რომელიც ჩეჩნეთ-საქართველოს შორის ჩატყდა, ძლივს აღდგა; ურთიერთობები, როგორც იქნა, აღვადგინეთ და ამ დროს მსგავსი რამ მოხდა.

დავუშვათ, მოხდა გაუგებრობა. ხომ შეიძლება, ამ დაჯგუფების დაკავება და არა მათი ლიკვიდაცია? ესაა პანკისის მოსახლეობის ყველაზე დიდი პრეტენზია.

პანკისელი ახალგაზრდები არასწორად იქცეოდნენ, მაგრამ როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ისინიც მოტყუებულიები, ხაფანგში აღმოჩნდნენ.

ამ ბიჭების დახოცვა ძალიან ცუდი ფაქტია ქვეყნისთვის და ქართულ-ჩეჩნური ურთიერთობისთვისაც, რაც ამ ბოლო დროს, მესამე ძალის ჩარევით, სამწუხაროდ, ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

უკანასკნელ წლებში ეთნიკური ჩეჩნების უფლებები საქართველოში ძალიან ბევრჯერ დაირღვა, არა ხალხის, არამედ ხელისუფლების მხრიდან.

ბევრჯერ ჩეჩნები, რომლებიც აქ თავს აფარებდნენ, რუსულ მხარეს ისე გადასცეს, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი იცოდა.

ქისტური გვართ ადამიანებს საათობით აკავებდნენ საზღვარზე. ჩეჩნეთის მოქალაქეებისთვის საქართველოს საზღვრის გადმოკვეთა ძალიან ძნელია, მე თვითონაც რამდენჯერმე დიდი ხნით დავუკავებია საზღვრის გადმოკვეთის დროს.

ჩეჩნებს ქართველი ხალხის მიმართ პრეტენზია არ აქვთ, იციან, რომ ისტორიული მეგობრობა აუცილებლად გაგრძელდება, მაგრამ წინა ხელისუფლების მიმართ უნდობლობა ნამდვილად გაჩნდა.

წარმოების „ბარამბოს“ შოკოლადებს და ჩურჩხლებს. შსს-მ, როგორც იქნა, ღამის 12 საათზე გააგრძელა ინფორმაცია: – საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთთან, საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია შეიარაღებული ჯგუფი. ხორციელდება დევნა. დაახლოებით ერთ საათში თქვეს 3 დაღუპული ჯარისკაცის და 5 დაჭრილის შესახებ. ლუდუშაურის სახელობის საავადმყოფოში სამხედრო ვერტმფრენი დაჯდა.

იყო მცდელობა, ეს შეიარაღებული დაჯგუფება, ჩრდილო კავკასიელ მოჯაჰედებად გაესაღებინათ, რომლებმაც რუსეთის სადამსჯელო ოპერაცია შეამონმეს საქართველოში, მაგრამ ძალიან მალე გაირკვა, რომ ეს შეიარაღებული რაზმი, სინამდვილეში, პანკისის ხეობაში შეიქმნა, ადგილობრივი ქისტი და ჩეჩენი ახალგაზრდებისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტყუებული გამოქცეული ბიჭებისგან. „ლიბერალის“ ინფორმაციით, ამ ჯგუფებიდან საბრძოლო გამოცდილება მხოლოდ აჰმად ჩატაევს იგივე „ცალხელა ახმადას“ და აჰმედ ზაკაევის ერთ-ერთ მცველს, დუკვაჰა დოშუევს ჰქონდა. რაზმის დაღუპული წევრებიდან ორი – ბაჰაუდინ აღდამოვი და ასლან მარგოშვილი საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. თუმცა, 30 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე შსს-ს პრესსპიკერი სალომე მახარაძე, მაშინდელი შს მინისტრის მოადგილეები შოთა ხიზანიშვილი და ეკა ზღულაძე ამტკიცებდნენ, რომ სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა შორის საქართველოს მოქალაქე არცერთი არ ყოფილა. თუმცა 3 სექტემბერს შსს იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ „იდენტიფიცირებული 7 ცხედრიდან 2 საქართველოს მოქალაქეა.

ვინ შეკრიბა ეს რაზმი, ვინ შეაიარაღა, ვინ გაუკეთა ორგანიზება მათ მოძრაობას საქართველოს ტერიტორიაზე, რა მიზნით, ბოლოს კი ვინ დახოცა და შემდეგ ვინ ევაჭრა ჭირისუფლებს ცხედრებით, ვინ დაუკეტა გლოვის ნიშნად გაღებული ჭიშკარი და აიძულა ღამე მალულად დაესაფლავებინათ გარდაცვლილები, ვინ მოაწყო საქართველოში კიდევ ერთი სასაკლავო? ამ კითხვებზე პასუხს ელიან როგორც ჭირისუფლები, ისე საზოგადოება. როგორც ჩანს, მომავალი წელი კითხვებზე პასუხის გაცემის წელი იქნება. **□**

**■ შს მინისტრის მოადგილეები ამტკიცებდნენ, რომ სპეცოპერაციის დროს დაღუპულთა შორის საქართველოს მოქალაქე არცერთი არ ყოფილა. თუმცა 3 სექტემბერს შსს იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ „იდენტიფიცირებული 7 ცხედრიდან 2 საქართველოს მოქალაქეა.**

# სიხის სხანდაი

## ზურაბ ვარდიაშვილი

„ქურობა გინდა? გცივა ხო? ჩაინიე ტრუსიკი და სამჯერ ქენი ბუქნი, შემოტრიალდი, კიდევ გააკეთე... ჩაცივი... ახლა ქათამი ხარ უკვე, შენი დედაც... გადაგიღებ და რუსთაველზე გავაკრავ“.

„შემოტრიალდი, ნაიკუზე, გაუკეთე ისევ... „გთხოვ, შეწყვიტეთ, ყველაფერს გავაკეთებ, არ გინდათ“ – ტირის პატიმარი... „რა იყო, გეტკინა? ძაან გეტკინა? არ გსიამოვნებს?“ – ისმის პასუხად...

ოცამდე ბადრაგის წრეში სათითაოდ შეჰყავთ ხელბეჭეტილი პატიმრები. მათ აგინებენ, აფურთხებენ, ურტყამენ ხელკეტებს, ფეხებს. პატიმრები ეცემიან, დახმარებას ითხოვენ, თუმცა კვლავ აყენებენ, ისევ ურტყამენ, გაჰყავთ... შემდეგი...

ნახევრად შიშველ არასრულწლოვან პატიმარს ეკითხებიან „სცემს თუ არა პატივს ქურდებს“, გამუდმებით ურტყამენ ხელკეტებს, ემუქრებიან გაუპატიურებით. ისმის არასრულწლოვნის ტირილი – „გთხოვ, შეწყვიტეთ...“, „გამიშვით!“, „ნუ მკლავთ!“.

ვიდეოკადრებში ჩანს, როგორ სცემენ, აწამებენ, აუპატიურებენ პატიმრებს. ამისთვის იყენებენ ხელკეტს, ცოცხს, სიგარეტს... შემდეგ პატიმარს აიძულებენ ეს სიგარეტი მოწიოს. ისმის მსჯავდრებულთა ყვირილი, კვნესა, ტირილი... ისინი ციხის თანამშრომლებს სთხოვენ, შეწყვიტონ წამება, თუმცა ამოდ...

18 სექტემბერს გლდანის N8 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრებისადმი არადამიანური მოპყრობის კადრები გავრცელდა. კადრების გავრცელებას ქვეყანაში საპროტესტო ტალღის აზვირთება მოჰყვა.

პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალის გავრცელების შემდეგ

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო განცხადება გაავრცელა. პრეზიდენტის თქმით, ნანახმა იგი ძალიან გააბრაზა და „სულით ხორცამდე შეძრა“. პრეზიდენტმა მომხდარს „ადამიანის უფლებების წინააღმდეგ მიმართული შემზარავი აქტი“ უწოდა.

„ის, ვინც ეს ჩაიდინა, გაძლევთ სიტყვას, ციხეში მრავალ წელს გაატარებს“, – თქვა პრეზიდენტმა.

18 სექტემბრის საღამოს, კადრების გავრცელებისთანავე, საპროტესტო ტალღა სპონტანურად აგორდა. ადამიანებმა შეკრება ფილარმონიასთან დაიწყეს და მელოქიშვილის გამზირი გადაკეტეს, აქციის მონაწილეებს უფლებადამცველებმა სიტყვით მიმართეს. მიტინგზე „ქართული ოცნების“ მაისურებში ჩაცმული აქტივისტებიც გამოჩნდნენ, სიტყვით გამოვიდნენ კოალიციის წარმომადგენლები. მალე კოსტავას ქუჩაც გადაიკეტა. აქცია ღამის ოთხ საათამდე გაგრძელდა.

დემონსტრაცია მეორე დღეს, 12:00 საათზე განახლდა, 15:00 საათზე საპროტესტო გამოსვლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა დაიწყეს, მალე მათ ილიას, სოხუმის, თეატრისა და კინოს, სამედიცინო და საქართველოს უნივერსიტეტების სტუდენტებიც შეუერთდნენ.

პარალელურად დემონსტრაციები გაიმართა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: ბათუმში, ქუთაისში, თელავში, გორში...

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ თანამდებობა დატოვა. მანამდე კი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ჭაკუა გაათავისუფლა. თანამდებობიდან მოხსნეს



ფოტო: სპონტანური აქცია

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების დირექტორები.

20 სექტემბრის საღამოს საპროტესტო ტალღის პიკზე, შინაგან საქმეთა მინისტრი ბაჩო ახალაია თანამდებობიდან გადადგა, მან გლდანის ციხეში მომხდარს „ამაზრუნეი ფაქტი“ უწოდა. ექსმინისტრი ამჟამად მატროსოვის ციხეში წინასწარ პატიმრობას იხდის და სასამართლო პროცესს ელოდება.

მერვე საპყრობილეში პატიმართა წამების შესახებ ვიდეოების გავრცელებას საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია მოჰყვა. ისინი აქცენტს სწრაფ გამოძიებაზე, დამნაშავეების დასჯაზე, პატიმრების უსაფრთხოებასა და მსგავსი შემთხვევების პრევენციაზე აკეთებდნენ.

„საპყრობილეში პატიმართა მიმართ მოპყრობის შემადრწუნებელი



## ქომენტარი

ბაჩო ჩალათაშვილი / პატიმარი

სექტემბერში, კადრების გავრცელების დროს რუსთავის მეექვსე დანესებულებაში ვიჯექი. ტელევიზორი არ გვქონდა, რადიოთი მოვისმინე, ორი დღე შოკიდან ვერ გამოვდიოდი. მკვდარივით ვიყავი.

რუსთავის მეექვსე ცოცხალი ციხეა. სულ ხმაურია, გადაძახილები და ა.შ. ის დღეები ციხე დუმდა, საოცარი სიჩუმე იყო.

ეს წამება, დამცირება და შეურაცხყოფა საკუთარ თავზე მივიღე. ფსიქოლოგიურად იგივე განვიცადე, რაც იმ გაჭირვებულმა პატიმრებმა.

მე-7 წელია ვზივარ და ასეთი რამე თუ შესაძლებელი იყო, ვერ წარმოვიდგენდი. „მალალებს“ ბავშვებს რას უშვებოდნენ... ცუდად ვხდები, რომ მაგონდება.

## ბადრი პატარაია / პატიმარი

წამების კადრები ქსნის მეთხუთმეტე დანესებულებაში, ტელევიზიით ვნახე. ფსიქიკა ისედაც შერყეული მაქვს. ტელევიზიით ვუყურებდი, გარეთ რა ხდებოდა, ხალხს რა რეაქციები ჰქონდა. წარმოვიდგინე, აქ რა დაგვემართებოდა.

კადრების ნახვის შემდეგ თვითდაზიანებები მივიყენე, მუცელი, ხელები და ფეხები დავისერე, თითქმის ჭკუიდან გადავედი.

ასეთ რამეს მხოლოდ ავადმყოფები თუ ჩაიდენდნენ, რამდენიმე დღე ხმას ვერ ვიღებდი. „სვიდანიაზე“ დედა ტიროდა. აქეთ ვაწყნარებდი.

2010-ში გლდანში ვიჯექი. ოლეგ ფაცაცია, რომელიც წამებაში მონაწილეობდა, ჩემთანაც იყო, საკანში. წამლის მიღებას ვითხოვდი. მაშინ მითხრა, დაწყნარდი, თორემ ჩამოგახრჩობო. ცემა-ტყევა ჩვეულებრივი ამბავი იყო, ნიხლებს კანფეტებით არიგებდნენ. მაგრამ ასეთი დამცირება, წამება, გაუპატიურება, ასეთი სისასტიკე... გარეთ მყოფებთან შედარებით, ჩვენ ათმაგად და ასმაგად განვიცადეთ.


■ „ის, ვინც ეს ჩაიდინა, გაძლევთ სიტყვას, ციხეში მრავალ წელს გაატარებს“, – თქვა პრეზიდენტმა.

კადრების“ ნახვით „შოკირებული“ იყო საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების მისიებთან შეთანხმებით გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნულია:

„სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ეს და სხვა ინციდენტები სიღრმისეულად და გამჭვირვალედ იქნას გამოძიებული და პასუხისმგებელი პირები მართლმსაჯულების წინაშე

წარსდგნენ. პატიმართა მიმართ დამცირებელი მოპყრობა ადამიანის უფლებათა დარღვევის უმნიშვნელოვანესი საკითხია, როგორც ეს სახალხო დამცველის ანგარიშებშია მოხსენიებული“.

Human Rights Watch-ის განცხადებით, აუცილებელია სწრაფი და დამოუკიდებელი გამოძიება, პასუხისმგებელი პირების დაკავება, მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა და ამგვარი ფაქტების განმეორების აღსაკვეთად ზომების მიღება.

ციხის კადრების გავრცელება არჩევნების წინა დღეებს დაემთხვა. ექსპერტებისა და პოლიტოლოგების მოსაზრებით, ნაციონალური მოძრაობის მარცხი დიდწილად სწორედ ამ სკანდალმა განსაზღვრა. 



ფოტო: ლეანა ხარაშულიძე

# სისხემა უნდა დაინახეს

გიორგი გოგუა

18 სექტემბერს, ტელეკომპანია „მე-9 არხის“ საღამოს ეთერით გადმოცემულმა ვიდეომასალამ საზოგადოების მწვავე რეაქცია გამოიწვია. კადრებში ნაჩვენები იყო, თუ როგორ ანამებდნენ ციხის ზედაშედეგელები პატიმრებს გლდანის მე-8 საპრობილეში. კადრები რამდენიმე წუთში სოციალურ ქსელშიც გავრცელდა და მწვავე განხილვის საგანი გახდა. ღამის თორმეტი საათისათვის კი საპროტესტო ტალღამ ინტერნეტ სივრციდან მედიის ვიდეოს გამზირზე, ფილარმონიასთან გადაინაცვლა.

„არ ანამო!“ სკანდირებდნენ დემონსტრანტები, რომელთა უმრავლესობაც სტუდენტებისგან შედგებოდა. მათი მთავარი

მოთხოვნა სასაჯელალსრულების მინისტრის, ხათუნა კალმახელიძის გადადგომა იყო. ფილარმონიასთან შეკრებილმა რამდენიმე ასულმა დემონსტრანტმა მედიის ვიდეოს გამზირი რამდენიმე საათით გადაკეტა. ისინი აქციების გაგრძელებას მანამ გეგმავდნენ, სანამ მათი მოთხოვნები არ შესრულდებოდა.

იმავე დღეს, სასაჯელალსრულების მინისტრმა პრეზიდენტ სააკაშვილს გადადგომის თხოვნით მიმართა, თუმცა, დღის სამ საათზე საპროტესტო აქციები მაინც განახლდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში ათასობით სტუდენტი შეიკრიბა, რომელთაც

სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები შეუერთდნენ. დემონსტრანტებმა ახალი მოთხოვნები წამოაყენეს: ვანო მერაბიშვილის, ზურაბ ადეიშვილისა და ბაჩო ახალაიას გადადგომა.

უნივერსიტეტის გადავსებულ ეზოში სტუდენტები საქმის სრულფასოვან გამოძიებასა და პატიმრების წამებასთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო მოხელის დასჯას მოითხოვდნენ: „არ გვჭირდება მშენებლობები, როცა ქვეყანაში უსამართლობა ხდება. ნუ დაგვცინიან, არ შევეგუებით უსამართლობას“, – ამბობდნენ ისინი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აქტუალური

ხატია ნადარაია  
თსუ-ს მაგისტრანტი



სექტემბრის გამოსვლები იყო პასუხი იმ სოციო-პოლიტიკურ რეალობზე, რომელიც წლების განმავლობაში ქვეყანაში შეიქმნა. შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზაციების საზოგადოება არსებობდა, ე.წ. „პოლიტიკური ელიტა“ და ხალხი. ადამიანები არ მონაწილეობდნენ იმ თამაშის წესების შექმნაში, რომელთა მიხედვითაც შემდეგ მათ ცხოვრება უნდა წარმართულიყო.

მმართველი გუნდის პოლიტიკა „ჩვენ უკეთ ვიცით, თქვენ რაც გჭირდებოდა“, თამაშ გარე სიტუაციაში ტოვებდა ადამიანებს და აჩენდა აპათიისა და სოციალური ინსტიტუტებისადმი უნდობლობის განცდას. ამიტომაც, „სისტემა უნდა დაინგრეს“ გამოხატვად განწყობას და მოთხოვნას, რომ რეალობა თვისებრივად უნდა შეცვლილიყო, ჩვენ არამხოლოდ ადამიანთა ერთი ჯგუფი უნდა ჩაგვენაცვლებინა მეორით, არამედ შეგვეცვალა „თამაშის წესები.“

არ არსებობდა ე. წ. საჯარო სივრცე, ვარდების რევოლუციის შემდეგ ადამიანები დაყოფილი იყვნენ დამარცხებულებად და გამარჯვებულებად. სოციალური სიდუხჭირე, ნეპოტიზმი, განვითარებისა და თვითრეალიზაციის შეუძლებლობა რეალობა იყო საზოგადოებისთვის, მმართველი ელიტა კი სხვა სურათს წარმოაჩენდა, თითქოს პარალელურ რეალობებში ვარსებობდით. გამომდინარე აქედან, სექტემბრის გამოსვლები არ იყო მხოლოდ სპონტანური რეაქცია ე. წ. „ციხის კადრებზე“, ეს იყო დაგროვილი ბრავის შედეგი და რეალობის შეცვლის სურვილი, რომლისთვისაც იმ პერიოდის პოლიტიკურმა ვითარებამ კატალიზატორის როლი შეასრულა.

ასევე, გარკვეულწილად სექტემბრის გამოსვლები იმის გაცნობიერებაც იყო, რომ შესაძლოა თითოეულ ჩვენგანს ჰქონდეს ინდივიდუალური „პროტესტები“, მაგრამ კოლექტიური ქმედების გარეშე პოლიტიკურ რეალობას ვერ შევცვლით.

სტუდენტებს ნახევარ საათში ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და სხვა სასწავლებლების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ. ხუთი საათისათვის კი მათ ყაზბეგის გამზირის გავლით „მოდულის“ შენობისკენ მსვლელობა წამოიწყეს. ათასობით სტუდენტმა ყაზბეგის გამზირზე ტრანსპორტის მოძრაობა რამდენიმე საათით შეაფერხა: „არ ანამო“ – ხმამაღლა სკანდირებდნენ დემონსტრანტები, რომლებსაც მოსახლეობა სოლიდარობის ნიშნად აიგნებოდნენ ცოცხების ქნევით ესალმებოდა. თბილისის პარალელურად სტუდენტური გამოსვლები დაიწყო ბათუმსა და ქუთაისშიც.

მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე, 20 სექტემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბაჩო ახალაიამ თანამდებობა დატოვა, ხოლო პრეზიდენტმა სასჯელად-სრულების მინისტრად ყოფილი სახალხო დამცველი გიორგი ტულუში დანიშნა. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციების ტალღა არც ამის შემდეგ ჩამცხრალა.

21 სექტემბერს, რამდენიმე მუსიკოსის მიერ ჩაწერილმა სიმღერამ „სისტემა უნდა დაინგრეს“ აქციებს ახალი მიმართულება მისცა. სწორედ ამ სიმღერის სათაურმა ჩანაცვლა დემონსტრანტების თავდაპირველი ლოზუნგი „არ ანამო!“.

შეიცვალა გამომსვლელთა მოთხოვნაც: სტუდენტები, რომლებიც უკვე გლდანის მე-8 საპყრობილესთან იკრიბებოდნენ, ბაჩო ახალაიას გასამართლებას მოითხოვდნენ.

დემონსტრაციები თითქმის მთელ ქალაქს მოედო: სტუდენტები უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში, სასჯელადსრულების სამინისტროსთან, იუსტიციის სახლთან, გლდანის მე-8 საპყრობილესთან და პრეზიდენტის რეზიდენციასთან იკრიბებოდნენ ტრანსფარანტებით: „ძირს ახალაია!“ „We are Fucking Angry“, „სისტემა უნდა დაინგრეს!“

24 სექტემბერს, ამავე სახელწოდებით პირველი კორპუსის ეზოში გამართული საპროტესტო კონცერტის შემდეგ, გვიან ღამით, აქციის ერთ-ერთი ორგანიზატორი, „ლაბორატორია 1918“-ის წევრი, სანდრო ცაგარელი დააპატიმრეს, თუმცა იმავე ღამეს აგორებული საპროტესტო ტალღის შემდეგ მეორე დილასვე გაათავისუფლეს.

დღითიდღე იზრდებოდა აქციებში ჩართული სტუდენტური გაერთიანებების რიცხვიც, რამაც დემონსტრანტებს შორის დაპირისპირებაც გამოიწვია. 21 სექტემბერს პატრიარქ ილია II-ის მიერ გავრცელებულ მიმართვას, აქციების დაშლის შესახებ, სტუდენტთა ერთი ჯგუფი მწვავე კრიტიკით შეხვდა, რამაც სტუდენტთა მეორე ნაწილის გალიზიანება გამოიწვია. ამ იდეურ დაპირისპირებას ფიზიკური შეხლა-შემოხლაც მოჰყვა.

26 სექტემბერს ათამდე სტუდენტურმა გაერთიანებამ აქციების უკეთ ორგანიზებისათვის „სტუდენტთა საკოორდინაციო საბჭო“ ჩამოაყალიბა, თუმცა მომდევნო დღეებში დემონსტრანტების რიცხვი რამდენიმე ათასიდან რამდენიმე ასეულამდე ჩამოვიდა.

**■ მასობრივი საპროტესტო აქციების ფონზე, 20 სექტემბერს, შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბაჩო ახალაიამ თანამდებობა დატოვა, ხოლო პრეზიდენტმა სასჯელად-სრულების მინისტრად ყოფილი სახალხო დამცველი, გიორგი ტულუში დანიშნა. მიუხედავად ამისა, დემონსტრაციების ტალღა არც ამის შემდეგ ჩამცხრალა.**

28 სექტემბერს სტუდენტურმა გაერთიანებმა „ლაბორატორია 1918“-მა უარი განაცხადა შეერთებოდა კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ მომდევნო დღეს დაგეგმილ აქციას. „ლაბორატორია 1918“-ს სხვა სტუდენტური გაერთიანებებიც შეუერთდნენ, რის შემდეგაც თავისუფალ სტუდენტთა საპროტესტო გამოსვლები შეწყდა. □

# ახრევენები 2012

## სოფო აფციაური

საპარლამენტო არჩევნების დღე პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არჩევნებამდე ორი თვით ადრე დაასახელა. პრეზიდენტის პრესსპიკერის განცხადებით, პრეზიდენტი მოსახლეობას არჩევნებში აქტიური მონაწილეობისკენ მოუწოდებდა.

1 ოქტომბერს, საარჩევნო ოლქები 8 საათზე გაიხსნა. 20 საათისთვის უბნების საერთო რაოდენობის 98%-ის მიხედვით, ამომრჩეველთა აქტივობა 61%-ს შეადგენდა, რაც 2008 წლის არჩევნებთან შედარებით, 8%-ით მეტი იყო.

„გარკვეული პროცედურული დარღვევების მიუხედავად, არჩევნები დღის განმავლობაში ძირითადად მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობდა. გამონაკლისი იყო ხაშურის 35-ე ოლქი, სადაც სპეციალური დანიშნულების რაზმი რამდენიმე უბანზე ხმის დათვლის პროცესში ჩაერიო“, – ეს განცხადება „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ“ არჩევნების დღის ბოლოს გააკეთა. დღის განმავლობაში პროცესს 61 საერთაშორისო და 50 ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია აკვირდებოდა. მათ შორის იყო „სამართლიანი არჩევნები“, და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“.

ეგზიტპოლის შედეგების გამოცხადება 20 საათის შემდეგ დაიწყო. კომპანია GFK-ის შედეგების მიხედვით, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და „ქართულ ოცნებას“ 33-33% ჰქონდათ. „ედისონ რისერჩის“ შედეგების მიხედვით კი (ეს კომპანია „რუსთავი 2“-მა დაიქირავა) „ქართულ ოცნებას“ ხმების 50% ჰქონდა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ – 41%.

სალამოს 9 საათის შემდეგ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებმა თავისუფლების მოედანზე შეკრება დაიწყეს.



ფოტო დარი სულაშვილი

შეძახილებითა და ტრანსპარანტებით, გვიანობამდე არჩევნების შედეგებს ელოდებოდნენ.

კენჭისყრის დასრულებისთანავე, მიხეილ სააკაშვილმა პირველი განცხადება გააკეთა და პროპორციულ კენჭისყრაში „ქართული ოცნების“ უპირატესობა დაადასტურა და აღნიშნა, რომ მაჟორიტარული წესით „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობდა.

კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისიდან მიმართა და არჩევნებში გამარჯვება მიულოცა.

„ეგზიტპოლების შედეგებით, ჩვენ დიდი უპირატესობით გავიმარჯვეთ. გილოცავთ გამარჯვებას“, – განაცხადა ივანიშვილმა და ყველას, ვინც ერთი

წლის განმავლობაში მის გუნდთან ერთად იყო, მადლობა გადაუხადა.

არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადება „ცესკომ“ 1 ოქტომბრის ღამის 12 საათისთვის დაიწყო.

ბიძინა ივანიშვილი „ქართული ოცნება“ – 54,97% (სულ 1181862 ხმა)

მიხეილ სააკაშვილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 40,34% (867432)

გიორგი თარგამაძე „ქრისტინ დემოკრატიული პარტია“ – 2.04% (43805).

შალვა ნათელაშვილი „ლეიბორისტული პარტია“ – 1.24% (26621).

არჩევნების მეორე დღეს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ამბობდნენ, რომ მკვეთრად პოლარიზებული წინასაარჩევნო პერიოდის მიუხედავად, ქართველმა ხალხმა საარჩევნო ყუთთან თავისი ნება თავისუფლად გამოხატა. თუმცა



აომენსახი

რამაზ საყვარელიძე  
პოლიტოლოგი



სანამ არჩევნების პროცესზე ვისაუბრებდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო ფონი ძალიან მძიმე იყო და დემოკრატიასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

ასეთივე პირობითა საბოლოო შედეგების შეფასებაც. ნაციონალურ მოძრაობას, როგორც ახლა ჩანს, ნამდვილად არ ჰქონდა 40%-იანი მხარდაჭერა. თუმცა, კარგი ფაქტია, რომ გაიმარჯვა იმ პარტიამ, ვისი გამარჯვებაც ხალხს სურდა.

რაც შეეხება ახლანდელ უმრავლესობასა და უმცირესობას შორის თანამშრომლობას, დღევანდელ პირობებში ეს პრაქტიკულად შეუძლებელია. არჩევნების წინა პროცესი მიუთითებდა, რომ მაშინდელ მმართველ ჯგუფში, ანუ დღევანდელ უმცირესობაში ძალიან ბევრი კრიმინალური წარმომავლობის პირები იყვნენ და ამიტომ, ახლანდელმა ხელისუფლებამ პოლიციელის ფუნქცია შეითვისა. პოლიციელისა და კრიმინალის ურთიერთთანამშრომლობა გაგივიტ სადმე?

ამის პარალელურად, ძველ ხელისუფლებას თავისი შეცდომების მონანიების არანაირი სურვილი არ აქვს. არცერთი მათგანის ლოგიკური პასუხი არჩევნებში დამარცხების მიზეზებზე არ მინახავს. გუშინდელი პრეზიდენტის გამოსვლაც ამის კარგი მაგალითია.

ამიტომ, შეცდომების გადაფარვის მიზნით, გამიზნულად საუბრობენ აბსტრაქტულად.

რაც შეეხება ახლანდელი უმრავლესობის მუშაობას, ის დათმობაზე ვერ წავა, რადგან სამართალი აღსადგენია. უბრალოდ, მათი შეცდომა ისაა, რომ სათანადოდ ოპერატიულები და ორგანიზაციულები არ არიან.

დამკვირვებლები 1 ოქტომბრის ღამეს ცალკეულ უბნებთან პოლიციისა და სპეცრაზმის მობილიზების გამო შემფოთებას გამოთქვამდნენ.

საბოლოო შედეგები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 4 ოქტომბერს გამოაცხადა, უბნების 99,5% პროცენტის დათვლის შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ ხმათა 54,92% პროცენტი მიიღო, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ კი – 40, 35%. პარლამენტში მოსახვედრად აუცილებელი ბარიერი ვერცერთმა სხვა ძალამ ვერ გადალახა.

საბოლოო შედეგების გამოცხადებიდან მეორე დღეს სახელმწიფო კანცელარიაში კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და მმართველი პარტიის წარმომადგენლების პირველი შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრას „ქართული ოცნებიდან“ ესწრებოდნენ: ირაკლი ალასანია, დავით უსუფაშვილი, სოზარ სუბარი და ირაკლი ღარიბაშვილი. „ნაციონალური მოძრაობიდან“ კი – გიგა ბოკერია, გიგი უგულავა, დავით ბაქრაძე და პავლე კუბლაშვილი.

9 ოქტომბერს, არჩევნებიდან 8 დღეში, „ქართული ოცნების“ ლიდერი და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი შეხვდნენ. ნახევარსაათიანი შეხვედრის შემდეგ პრეზიდენტმა საქართველოში მიმდინარე პროცესებს ისტორიული უწოდა და აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული წესით გადაცემა ქართველი ხალხის ნებით ხდებოდა.

8 ოქტომბერს ბიძინა ივანიშვილმა ახალი მინისტრთა კაბინეტი დაასახელა.

19 ოქტომბერს ცესკომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი დაამტკიცა. საბოლოო შედეგების მიხედვით არჩევნებში მონაწილეობა 2 215 661 ამომრჩეველმა მიიღო. მიცემულ ხმათა რაოდენობის მიხედვით „ქართულმა ოცნებამ“ ამომრჩეველთა 54,97%-ის მხარდაჭერა მიიღო. „ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი – 40,34%-ის.

25 ოქტომბერს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრებმა 88 ხმით 54-ის წინააღმდეგ ახალი მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცეს.

■ **კენჭისყრის დასრულებისთანავე, მიხეილ სააკაშვილმა პირველი განცხადება გააკეთა და პროპორციულ კენჭისყრაში „ქართული ოცნების“ უპირატესობა დაადასტურა და აღნიშნა, რომ მაჟორიტარული წესით „ნაციონალური მოძრაობა“ ლიდერობდა.**



ფოტო ინფორმანსი

# ჰოსტსაუხჩეჰნო სვციღეზი თავდასვის სამინისტროში

გიორგი ჭეიშვილი

8 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ამავდროულად ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდალია, შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის უფროსად ბრიგადის გენარალი გიორგი კალანდაძე დანიშნა.

თანამდებობაზე დანიშნვიდან თითქმის ერთი თვის შემდეგ, თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, საქართველოს იუსტიციის მინისტრმა

თეა წულუკიანმა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით (სისხლის სამართლის 333-ე მუხლის მესამე ნაწილით) გენერალი გიორგი კალანდაძე დააკავა.

დაკავების საფუძველი მოწმეების – ყოფილი ჯარისკაცების – ჩვენებები გახდა, რომლებიც დაკავებულებს: გიორგი კალანდაძეს, ბაჩო ახალაიასა და ზურაბ შამათავას ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ.

9 ნოემბერს, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გენშტაბის მოქმედი უფროსი, გიორგი კალანდაძე და მე-4 ბრიგადის მეთაური ზურაბ შამათავა 20 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას კი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

პატიმრობიდან გაათავისუფლების მეორე დღეს, გენერალი კალანდაძე საქართველოს პრეზიდენტს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, კალან-



დაძმე გენშტაბის უფროსის პოსტზე გა-  
ნაგრძო მუშაობა.

ამავე დღეს გაერთიანებული შტაბის  
ხელმძღვანელობასთან შეხვედრაზე თა-  
ვდაცვის მინისტრმა, ირაკლი ალასანიამ  
განაცხადა, რომ ბრალის დადასტურება-  
მდე კალანდაძე უდანაშაულოა, თუმცა  
ვინაიდან გამოძიება კვლავ მიმდინარე-  
ობს, შესაძლოა მისი უფლებამოსილების  
შეჩერების საკითხი დადგეს. აღნიშნული  
შუამდგომლობით პროკურატურამ სასა-  
მართლოს მიმართა.

13 ნოემბერს ბაჩო ახალაიასა და გიორ-  
გი კალანდაძის წინააღმდეგ პროკურა-  
ტურამ ახალი ეპიზოდი გამოაქვეყნა და  
სასამართლოს კალანდაძის დაპატიმრე-  
ბის შუამდგომლობით მიმართა.

მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშ-  
ვილი აცხადებდა, რომ ჯარისკაცების  
ცემით, რასაც 19 დაზარალებულისა და  
სხვა მოწმეთა ჩვენებები ადასტურებდა,  
გიორგი კალანდაძემ სისხლის სამარ-  
თლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვა-  
ლისწინებული დანაშაული ჩაიდინა, რაც  
5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვე-  
თას ითვალისწინებს.

14 ნოემბერს თბილისის საქალაქო  
სასამართლომ გიორგი კალანდაძეს აღ-  
მკვეთ ღონისძიებად 10 ათას ლარიანი  
გირაო შეუფარდა.

თავდაცვის მინისტრისა და საქართვე-  
ლოს პრეზიდენტის კონსულტაციების  
შედეგად, 4 დეკემბერს გაერთიანებუ-  
ლი შტაბის უფროსის თანამდებობაზე  
პოლკოვნიკი ირაკლი ძნელაძე დაინიშნა.


6 დეკემბერს თავდაცვის სამინისტ-  
რომ საბრძოლო მასალების შესყიდვის  
შესახებ არსებულ დოკუმენტაციას გრი-  
ფით საიდუმლო მოხსნა. უწყების გე-  
ნერალური ინსპექციის ინფორმაციით,  
ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროს სა-  
მინისტრომ მეორადი და კუსტარულად  
შეკეთებული „კალაშნიკოვის“ ავტომა-  
ტური ცეცხლსასროლი იარაღი თითო  
290 ევროდ შეიძინა, მაშინ, როცა მათი  
რეალური ფასი 50 ევროს არ აღემატე-  
ბოდა. ცეცხლსასროლ იარაღში გადა-  
ხდილმა თანხამ ჯამში 12 მილიონი ევრო  
შეადგინა. თავდაცვის სამინისტრომ  
საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას  
გადაუგზავნა.

იარაღის საქმესთან დაკავშირებით  
საპატიმროდან განცხადება გაავრცელა  
ბაჩო ახალაიამ, რომელმაც აღნიშნა,  
რომ იარაღის შესყიდვისა თუ სხვა ქმე-  
დებების დროს, ყოველთვის სახელმწი-  
ფო ინტერესებიდან გამომდინარე მოქ-  
მედებდა.


13 დეკემბერს ცნობილი გახდა, რომ  
თავდაცვის სამინისტროს გადაწყვე-  
ტილებით საქართველოს პრეზიდენტს  
თვითმფრინავი „Gulfstream V“ ჩამო-  
ერთმევა და სალიზინგო კომპანიას გა-  
დაეცემა. უწყების განცხადებებს პრეზი-  
დენტის პრესსპიკერი გამოეხმაურა და  
აღნიშნა, რომ მიხილ სააკაშვილს ორი  
თვითმფრინავი არასდროს ჰყოლია. მთა-  
ვრობის გადაწყვეტილებით, 800 ათასი  
ლარი, რომელიც ბონინგს ხმარდებოდა,  
ჯარის სოციალური მდგომარეობის გაუ-  
მჯობესებაზე დაიხარჯება.

ამავე დღეს თავდაცვის მინისტრმა  
ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ამე-  
რიკიდან საქართველოსთვის შეიარაღების

**■ მთავარი პროკურორი არ-  
ჩილ კბილაშვილი აცხადებ-  
და, რომ ჯარისკაცების  
ცემით, რასაც 19 დაზარა-  
ლებულისა და სხვა მოწმეთა  
ჩვენებები ადასტურებდა,  
გიორგი კალანდაძემ სისხ-  
ლის სამართლის კოდექსის  
333-ე მუხლით გათვალ-  
ისწინებული დანაშაული  
ჩაიდინა.**

მიწოდებაზე შეზღუდვა მოიხსნა, სა-  
ტრანსპორტო და საფრენი აპარატების  
შეძენაზე კი მოლაპარაკება გაგრძელდება.  
ე.წ. ჩუმი ემბარგო ორ ქვეყანას შორის  
2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონ-  
ფლიქტის შემდეგ დაწესდა. 

**აომენსახი**



**თამაზ ბლიაძე**  
ყოფილი სამხედრო  
კაპიტანი

ისეთ ჩაკეტილ სისტემაში, როგორც  
თავდაცვის სამინისტრო და ჯარია, გარე-  
დან ბევრი რამე არ ჩანს. როცა შიგნით ხარ  
და, მით უმეტეს, დაბალ თანამდებობაზე,  
ყველაფერს კარგად ხედავ.

2005 წლიდან ყველას გვეგონა, რომ სის-  
ტემას წინსვლა ჰქონდა, რეალურად კი  
ყველაფერი პირიქით ხდებოდა. მაღალი  
ეშელონებიდან დაბალი სამხედრო ჩინის  
სამხედროებზე გამუდმებული წნეხი იყო,  
განსაკუთრებით იმათ მიმართ, ვინც რიგი  
გადაწყვეტილებების წინააღმდეგ მიდიო-  
და. ამ ყველაფერს თან ერთვოდა საშინე-  
ლი კორუფცია.

2006 წელს აბსურდული ბრალდებით  
დამაკავეს, ამიტომაც მიჭირს ხელალებით  
ვთქვა, უნდა დააკავო თუ არა ადამიანი,  
განსაკუთრებით კი სამხედრო პირი, თა-  
ნაც გენერალი.

თავდაცვის სამინისტროში დღეს რე-  
ფორმების გატარებაც კი რთულია. სხვა  
სამინისტროებზე ეს დიდად არ აისახება,  
თავდაცვის სტრუქტურაზე კი აშკარად  
მოქმედებს, განსაკუთრებით მაშინ, რო-  
დესაც სამინისტროს გენშტაბს და ჯარს  
უმაღლესი მთავარსარდალი ხელმძღვა-  
ნელობს.

ადრე თუ გვიან უწყებიდან იმაზე მძიმე  
ინფორმაცია გამოვა, ვიდრე ჯარისკაცე-  
ბის ცემაა. ამაზე სამხედროები დღესაც  
ვერ საუბრობენ, ვერც იმას ამბობენ, თუ  
რა შებოჭილი იყო ჯარისკაცი და რა ფუ-  
ფუნებაში იყო მმართველობა.

ბევრი ოფიცერი უკანონოდაა გამოგ-  
დებული, ნაწილი დაპატიმრებულია. თა-  
ვდაცვის სისტემაში ჩვენი დაბრუნება  
არ იქნება მარტივი, რადგან ამას სამარ-  
თლიანი სასამართლო სჭირდება და არა  
ჩვენი დღევანდელი სასამართლო, რო-  
მელიც ამას ვერ შეძლებს. პრობლემების  
მოსაგვარებლად დროა საჭირო, თუმცა  
ამ ეტაპზე მათი გადაჭრის გზებს ვერ  
ხედავ.

# საყოველთაო დაზღვევა

ლიკა ზაკაშვილი



მომავალი თებერვლიდან საქართველოში არადაზღვეული მოსახლეობა 5-ლარიან საბაზო პაკეტს მიიღებს, საბაზო პაკეტი ამბოლატორიული და გადაუდებელი სამედიცინო საჭიროებებს დააზღვევს. უფრო ზუსტად კი, 5-ლარიანი მინიმალური პაკეტი მოიცავს 2 მთავარ ბლოკს: ოჯახის ექიმთან ვიზიტს შეუზღუდავად, თანაგადახდის გარეშე და გადაუდებელი შემთხვევების მართვას, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ დონეზე. ამას ემატება ის დიაგნოსტიკური კვლევები, რომელიც საჭიროა ამბოლატორიული პირველადი შეფასებისთვის.

ამ ნაბიჯით პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში მოსულმა გუნდმა უნივერსალური დაზღვევის დაპირება მეტნაკლებად სისრულეში მოიყვანა.

„უნივერსალური დაზღვევის მოდელი უფასო მედიცინას არ ნიშნავს. ეს ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობის 100% -ს ექნება დაზღვევა, თუმცა, ზოგ მათგანს ექნება საბაზისო, ზოგს უფრო მეტი. ორიენტირებული იქნება სოციალურ და ასაკობრივ კატეგორიებზე. ეს იქნება ძირითადი და აუცილებელი სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფა“, – ამბობს ჯანდაცვის მინისტრი.

თებერვლიდან საქართველოში მცხოვრები ყველა მოქალაქე დაზღვეული იქნება და ძვირადღირებული სამედიცინო სერვისის მიღება საკუთარი ჯიბიდან გადახდილი ფულით დაფარვა აღარ მოუწევს, მთავრობა ამბობს, რომ ამ დაზღვევით ისინი მოსახლეობას კატასტროფული დანახარჯებისგან დაიცავენ.

ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგენკო ამბობს, რომ ივლისიდან 5-ლარიანი პაკეტის მოსარგებლე მოქალაქეები მინიმალური 5-ლარიანი პაკეტის ნაცვლად საბაზო პაკეტს მიიღებს, რომელიც გვემთხვევს ოპერაციებზე მომსახუ-

რების დაფარვასაც გულისხმობს.

„პირველი ივლისიდან არსებულ პაკეტს დაემატება გეგმიური სერვისი, როგორც ამბულატორიულ, ისე სტაციონარულ დონეზე. ასევე გაფართოვდება ამბულატორიული და დიაგნოსტიკური კვლევების ჩამონათვალის და დაფინანსდება ორსულობაც და მშობიარობაც“, – განაცხადა მინისტრმა „ლიბერალთან“ საუბრისას.

საქართველოში მოსახლეობის ნაწილი, სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო დაზღვევას აქამდეც იღებდა.


სულ პირველად სახელმწიფომ ლატაკი მოსახლეობა დააზღვია. სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფის პირველი სახელმწიფო პილოტური პროგრამა 2007 წელს შემუშავდა. 2008 წლიდან მოსახლეობის დაზღვევა მთელი საქართველოს მასშტაბით ეტაპობრივად დაიწყო. 2008 წლის ბოლოსა-

ველობამოკლებული ბავშვები, სახალხო არტისტები, პედაგოგები. 2012 წლის სექტემბრიდან ამ ჩამონათვალს 6 წლამდე ბავშვები, სტუდენტები, პენსიონერები, და შეზღუდული შესაძლებლობების პირები დაემატა. ამ ეტაპზე მოსახლეობის 40%-ია დაზღვეული. მილიონ ნახევარი ადამიანი კი კორპორატიული დაზღვევით სარგებლობს. ეს კონტინგენტი სახელმწიფო დაზღვევას არ მიიღებს.

უნივერსალური დაზღვევის შემოღებას ჯანდაცვის ექსპერტთა ნაწილი არ იზიარებს, რადგან მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს დახმარება მიმართული უნდა იყოს გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისაკენ, რომელთაც ამ დახმარების გარეშე გალატაკება ეშუქრებათ. შესაბამისად, სახელმწიფო დახმარებამ არ უნდა მოიცვას ყველა: ლატაკიც, შეძლებულიც და საშუალო ფენაც.


„ჩემი აზრით, დაფინანსება კონცენტრირებული უნდა იყოს მათზე, ვისაც ამ პაკეტის შექმნა თვითონ არ შეუძლია. ჩვენ არ გავგანჩია იმდენი ფული, რომ ყველა მოქალაქისთვის სრული პაკეტის დაფინანსება უზრუნველყოფთ“, – ამბობს ჯანდაცვის ექსპერტი კაკი ზოიძე და მიაჩნია, რომ უფრო სწორი და სამართლიანი არაღირბი მოსახლეობისთვის კატასტროფული სამედიცინო დანახარჯების დაზღვევა იქნებოდა.

2012 წლის დანახარჯების სტრუქტურის მიხედვით, საერთო სამედიცინო დანახარჯებიდან 60% მედიკამენტებზე იხარჯება. ამიტომაც, კაკი ზოიძე ფიქრობს, რომ თუ ახალ პაკეტში მედიკამენტების დაფინანსების წილი არ გაიზარდა, ეს პაკეტი კატასტროფულ დანახარჯებზე გავლენას ვერ მოახდენს.

„თუ გვაქვს ფული და ჯანდაცვა მართლაც პრიორიტეტი გახდა, მაშინ მე ამ თანხას უმწეოთა პეკეტის გაფართოებაზე მივმართავდი. „ქართული ოცნების“ პროგრამაში წერია, რომ პირველადი მოხმარების (ესენციურ) მედიკამენტებზე 50%-იანი ფასდაკლება შევა, თუმცა ლიმიტი დაკონკრეტებული არ არის“, – ამბობს კაკი ზოიძე. 

**აომენსახი**

**თენგიზ ვერულავა**  
ჯანდაცვის ექსპერტი



მსოფლიოში ორი მიდგომა არსებობს. ერთი – საყოველთაო მიდგომა, რომელიც ნიშნავს, რომ სამედიცინო მომსახურებით მოცულია ყველა. ეს არის ევროპული გზა. მეორე მიმართულება ამერიკულია. რეზიდუალური, ანუ შერჩევითი მიდგომა, როდესაც შენ მთელ მოსახლეობას კი არ მოიცავს ჯანდაცვის სერვისებით, არამედ იმ კატეგორიას, რომელსაც ყველაზე მეტად სჭირდება მოცვა, ეს არის, უპირველესად, უმწეო მოსახლეობა და პენსიონერები. დანარჩენებმა ნებაყოფლობით უნდა დაიზღვიონ თავი. ამერიკაში არსებობს სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევა.

ჩვენნაირი ქვეყნებისთვის უფრო მეტად მისაღებია რეზიდუალური, ანუ შერჩევითი მიდგომა, ამას რამოდენიმე მიზეზი აქვს. ერთი მიზეზი ის არის, რომ ამ მოწყვლად ჯგუფებს უნდა შეუქმნას ისეთი პაკეტი, რომ მათ არ დასჭირდეთ თანხის გადახდა სერვისის მიღებისთვის, ეს უნდა იყოს მდიდარი პაკეტი. საქართველოში უმწეოთა პაკეტი ძალიან კარგია. მაგრამ იქაც არის გარკვეული სერვისები, მაგალითად, მედიკამენტები, რომელსაც უმწეოთა სადაზღვევო პაკეტი მცირედით მოიცავს. ამ დროს ჩვენთვის ცნობილია სტატისტიკა, რომლის მიხედვით ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში (მთლიანი ხარჯები 2 მილიარდი ლარია) 60 % მედიკამენტების ხარჯია. უმწეოებს ვაძლევთ სერვისებს, მაგრამ მედიკამენტების თანხას – არა, ამიტომ უმჯობესია, ის თანხა, რომლის გამოყოფასაც სახელმწიფო აპირებს, გამოიყოს მედიკამენტებზე. ეს ეთიკურადაც გამართლებულია. ასევე, შესაძლებელია იმ ფულით, რომელსაც მთავრობა გამოყოფს, გაიზარდოს უმწეოთა ქულა, ეს ქულა შეიძლება გავზარდოთ ასი ათას ქულაზე. ეს უფრო ეფექტიანი და სამართლიანი იქნება.

**■ უნივერსალური დაზღვევის შემოღებას ჯანდაცვის ექსპერტთა ნაწილი არ იზიარებს, რადგან მიაჩნიათ, რომ სახელმწიფოს დახმარება მიმართული უნდა იყოს გაჭირვებაში მყოფი იმ ადამიანების ყოფის გაუმჯობესებისაკენ, რომელთაც ამ დახმარების გარეშე გალატაკება ეშუქრებათ.**

თვის პოლისი 666 651 ადამიანს გადაეცა. 2010 წლის აპრილის მონაცემებით, სამედიცინო მომსახურებით დაზღვეული იყო 1 104 785 ადამიანი. მათ შორის: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, დევნილი პირები, მზრუნ-



ფოტო: მონიკა კოლა

# ბაფისვების ტანჯა ხიჩვანების შიმდებ

სოფო აფციაური

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, დაახლოებით ერთი თვის მანძილზე მუშათა გაფიცვების სერია გაიმართა. გაფიცვები მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა სანარმოებში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მიმდინარეობდა. გაფიცვების ნაწილი კანონით დადგენილი პროცედურების უგულბებლყოფით დაიწყო – მუშები გამაფრთხილებელი გაფიცვის გარეშე გადადიოდნენ სრულმასშტაბიან გაფიცვაზე. საქართველოს პროფესიულ კავშირთა გაერთიანება გაფიცვებისა და მოლაპარაკებების მხოლოდ ნაწილის ორგანიზებაში იყო ჩართული.

პირველი გაფიცვა 10 ოქტომბერს ფოთის პორტში დაიწყო. 200-ზე მეტმა დასაქმებულმა მუშაობა 2 საათით შეწყვიტა. ისინი ხელფასის გაზრდას, შრომითი პირობების გაუმჯობესებასა და ახალი შრომითი ხელშეკრულებების დადებას ითხოვდნენ. მაშინ პორტის ადმინისტრაცია მუშებს საკითხის

ინდივიდუალურ განხილვას დაპირდა. თუმცა, გაფიცვები შემდგომში უფრო ფართო მასშტაბით განმეორდა.

14 ოქტომბერს სრულმასშტაბიანი უვადო გაფიცვა გამოაცხადეს ჭიათურელმა მალაროს მუშებმა. ისინი ხელფასების 100%-ით გაზრდას, სამუშაო პირობების გაუმჯობესებასა და სოციალურ გარანტიებს ითხოვდნენ. გაფიცვა თითქმის ერთ თვეს გაგრძელდა. მალაროების ექსპლუატატორ კომპანიასთან, „ჯორჯიან მარგანეზთან“ ვერც მუშებმა და ვერც ახალი ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. თუმცა, მუშების მიერ სანარმოს ადმინისტრაციული შენობის პიკეტირების შემდეგ „ჯორჯიან მარგანეზის“ მფლობელები მოლაპარაკებების მაგიდას კიდევ ერთხელ მიუსხდნენ.

გაფიცვა გამოაცხადეს ტყიბულელმა მუშებმა, კომპანია „თელასისა“ და „ბორჯომის“ თანამშრომლებმა, თბილისის მეტროს

**■ მუშების გააქტიურება არჩევნების შემდეგ იმან გამოიწვია, რომ ზეგავლენა და წნეხი შემცირდა და საკუთარ პრობლემებზე საუბრისა და მათი მოგვარებისთვის ბრძოლის საშუალება მიეცათ.**

თანამშრომლებმა და ავტობუსების მძღოლებმა...

24 ოქტომბერს 2-საათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა მოაწყვეს თბილისის მახარისხებელი დეპოს თანამშრომლებმა.

რკინიგზელებმა პროფკავშირების გაერთიანებასთან ერთად გაფიცვის გადაწყვეტილება „საქართველოს რკინიგზის“ ხელმძღვანელობასთან უშედეგო მოლაპარაკების შემდეგ მიიღეს და მათი მოთხოვნების იგნორირების შემთხვევაში სრულმასშტაბიანი გაფიცვის გამოცხადებას აპირებდნენ.

რკინიგზელთა გამაფრთხილებელი გაფიცვის შემდეგ პრემიერმინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა გაფიცვების ტალღა სავარაუდოდ ნაციონალური მოძრაობის მიერ ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამონვევის მცდელობას დაუკავშირა. „არ ველოდებოდი რკინიგზის თანამშრომლების გაფიცვას. არ გამოვიცხავ, რომ იქ გარკვეული ტიპის საბოტაჟიც კი იყო, რადგანაც იქ ხელფასები გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა სფეროებში, თუმცა ესეც უნდა განვიხილოთ“, – განაცხადა პრემიერმა. თუმცა მოგვიანებით, ივანიშვილმა მუშებს გაფიცვების შეწყვეტის მოთხოვნის სანაცვლოდ მათი პრობლემების ეტაპობრივ მოგვარებაში პირადად მისი ჩართულობის გარანტია მისცა.

მუშების თქმით, მათი გააქტიურება არჩევნების შემდეგ იმან გამოიწვია, რომ ზეგავლენა და წნეხი შემცირდა და საკუთარ პრობლემებზე საუბრისა და მათი მოგვარებისთვის ბრძოლის საშუალება მიეცათ, რაც წინა მთავრობის პირობებში არ ჰქონიათ. ჭიათურელი მალაროელები იხსენებენ, რომ გაფიცვის ყველა მცდელობას არა მარტო სანარმოს ადმინისტრაციის, არამედ პოლიციისა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა და მუქარა მოჰყვებოდა. გაფიცვებით მათ პოლიტიკური მმართველობის ცვლილების პარალელურად დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის თამაშის წესების ცვლილება დააფიქსირეს. მუშათა არცერთი გაფიცვა მოთხოვნების 100%-იანი შესრულებით არ დასრულებულა, მაგრამ მუშები შრომითი ურთიერთობის სუბიექტებად იქცნენ – მათ დამსაქმებლებთან მოლაპარაკებები და პროფესიული კავშირების გამართვა დაიწყეს. შარშანდელი „ჰერკულესის“ გაფიცვისგან განსხვავებით, წელს არცერთი მუშა გაფიცვების შემდეგ სამსახურიდან არ გაუთავისუფლებიათ და არც გაფიცულებზე პოლიციის მემფოვით ზეწოლის მცდელობა არ ყოფილა. **■**

**აომენსაჩი**

**ილია ლეჟავა**  
რკინიგზელ  
მუშათა გაფიცვის  
ორგანიზატორი,  
მემანქანის თანამშემნე



ჩვენი უკმაყოფილების მიზეზი მძიმე შრომითი პირობები და ხელფასები იყო. რკინიგზაში საშუალო ხელფასი 250 ლარია, ზოგი 80 ლარსაც კი იღებს. მე მემანქანის თანამშემნე ვარ და უმძიმესი გრაფიკი მაქვს. ეზუგბაიას მოსვლის შემდეგ მოგვეხსნა ლამის საათებსა და დღე-სასწაულების დროს მუშაობის ანაზღაურება, დამსახურებული თანამშრომლებისთვის დანამატები... არც შრომის პირობები და უსაფრთხოების ნორმები იყო დაცული. ასეთ პირობებში ხმის ამოღების უფლებასაც გვართმევდნენ. როგორც კი ვინმე ხმის ამოღებას გაბედავდა, ათავისუფლებდნენ, საგაფიცვო კომიტეტის ორგანიზების გამო ზოგი დაიჭირეს კიდევ. არჩევნების შემდეგ კი, ბუნებრივია, სიტუაცია შეიცვალა და ჩვენ უფრო გაბედულად დავიწყეთ ჩვენი უფლებებისთვის ბრძოლა.

გაფიცვამდე ეზუგბაიას იანვარში მოცემული დაპირებების შესრულება მოვთხოვეთ. სამი დღის დაწყებული გვექონდა მოლაპარაკება, რომ გადადგა. როცა გამაფრთხილებელი გაფიცვა მოვანწყვეთ, ბიძინა ივანიშვილმა საბოტაჟს მიამსგავსა. ისე დაემთხვა, რომ ძალიან ბევრი სამსახური გაიფიცა, მაგრამ ძველმა მმართველობამ ჩვენ მოქმედების სხვა გზა არ დაგვიტოვა. ორსათიანი გამაფრთხილებელი გაფიცვა სპეციალურად, შესვენებების დროს მოვანწყვეთ, რომ რკინიგზისთვის და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის ზიანი არ მიგვეყენებინა. სრულმასშტაბიან გაფიცვაზე კი არ გადავსულვართ, რადგან ეკომონიკის მინისტრი შეგვხვდა და მოვილაპარაკეთ. ახლა პროფკავშირებთან ერთად კოლექტიურ ხელშეკრულებას ვამზადებთ, სადაც ჩვენი შრომითი უფლებების დაცვის გაცილებით მეტი გარანტია იქნება ჩადებული.

**აომენსაჩი**

**როლანდ აბდუშელიძე**  
საგაფიცვო  
კომიტეტის წევრი.  
ჭიათურელ მუშათა  
ლიდერი.




არჩევნების მერე ხალხს ხელფასები დააკლდა. გამწარებული ხალხი 350 ლარს რომ ელოდა, ზოგს 100 ლარი ჰქონდა დაქვითული. არჩევნების დროს ნაციონალურმა მოძრაობამ რაც ფული დახარჯა, ამის ამოღება ყველაზე სანყალი ხალხის, მალაროელების კისერზე გადაწყვიტეს. ჩვენი გაფიცვის საბაბი ეს გახდა.

გაფიცვა 14 ოქტომბერს დავიწყეთ, ლამის მესამე ცვლიდან და 8 ნოემბრამდე გაგრძელდა. გაფიცვის მეხუთე დღიდან მალაროში მჯდომარე აქცია დავიწყეთ, რომელსაც მოგვიანებით ქალი მუშებიც შეუერთდნენ. ერთი ფეხმძიმე ქალიც კი იყო. მაინც ვერაფერს რომ ვერ მივალნიეთ, მარგანეზის სათავო ოფისის პიკეტირება მოვანწყვეთ და ხელმძღვანელობა შენობაში აღარ შევუშვით. 2-3 დღის შემდეგ ისევ ჩამოვიდნენ სათავო ოფისიდან და ხელახლა დავიწყეთ მოლაპარაკება. მაგრამ, რომ ვუკვირდები, არაფერი შეცვლილა. თანამდებობის პირები სადღაც გადამაღეს, მაგრამ ადგილებს ინარჩუნებენ, მუშა ხალხი კი იგივე მდგომარეობაშია. ერთადერთი, ითხვისის მალაროში დაიწყეს აბანოს მშენებლობა. თითქოს კვების ფული 30 000-დან 45 000-მდე გაიზარდა, მაგრამ ჩვენ ისევ იმავე უფარგის საკვებს ვიღებთ. ხელფასებიც, სინამდვილეში 9%-ით გაგვიზარდეს. 32%-ს ამბობენ, მაგრამ 23% პრემიების გაუქმების ხარჯზე მოდის.

ახლა პროფკავშირებს ვქმნით და ჩვენს კოლექტიურ მოთხოვნებს დეტალურად ვაყალიბებთ, მათ შორისაა ხელფასების მატება ინფლაციის დროს, პროდუქტების გაძვირების, ან ჩვენი ნაწარმოები პროდუქციის გაძვირების შემთხვევაში, უქმე დღეების ჩამონათვალი და ა. შ.

# შესახებთა მოხიბი ბანანსვცაბა

ლაშა ქავთარაძე



ილუსტრაცია: სურენ არმუხაძე/ თეზაზი

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ქართულ მედიასივრცეში, ტელევიზიების მფლობელთა გადაჯგუფება კიდევ ერთხელ დაინყო.

არჩევნებიდან დაახლოებით ორ კვირაში ტელეკომპანია „იმედი“ ეკონომიკის ყოფილი მინისტრის გიორგი არველაძის მფლობელობაში არსებულმა „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპმა“ ბადრი პატარკაციშ-

ვილის ოჯახს გადასცა. პატარკაციშვილის ქვრივის, ინა გუდავაძის თქმით, ტელევიზიის მათთვის გადაცემის ინიციატივა თავად „იმედის“ იმდროინდელი მენეჯმენტის მხრიდან წამოვიდა და ერთადერთი პირობა ის იყო, რომ პროცესი მშვიდობიანი ყოფილიყო და გადაბარება ექსცესების გარეშე მომხდარიყო.

17 ოქტომბერს, ტელეკომპანიის ოფისში

მისულ პატარკაციშვილის ოჯახის წევრებს „იმედის“ თანამშრომლები ტაშით შეხვდნენ.

საპარლამენტო არჩევნების ჩატარებლიან ოთხ დღეში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის 40%-იანი წილი თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა, დავით კეზერაშვილმა შეიძინა. რამდენიმე დღეში კი კეზერაშვილმა კუთვნილი წილი ტელეკომპანიაში ისევ ძველ მფლობელს გიორგი ყარამანიშვილს მიჰყი-

და, რომელიც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებული პირია. 2012 წლის 15 ნოემბერს კი „რუსთავი 2“-ის 51%-იანი ნილის მფლობელი ტელეკომპანია „საქართველო“ გახდა, გენერალური დირექტორი კი – იუსტიციისა და განათლების ყოფილი მინისტრი ნიკა გვარამია, რომელიც განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებისა და ამ დანაშაულის შენიღბვის ბრალდებით 19 დეკემბერს დააკავეს. „რუსთავი 2“-ის 60%-ის დასაბრუნებლად არხის ყოფილი მფლობელები დავით დვალი და ჯარჯი აქიმიძე უახლოეს მომავალში პროკურატურაში განცხადების შეტანას აპირებენ. მათი მტკიცებით, კუთვნილი ნილები ჯერ კიდევ 2004 წელს იძულებით, მუქარის ძალით დაათმობინეს. როგორც ცნობილია, „რუსთავი 2“-ში საკუთარ ნილებზე პრეტენზიის განცხადებას კიდევ ერთი ყოფილი მფლობელი ქიბარ ხალვაშიც აპირებს.

სასამართლო დავა, სავარაუდოდ, კიდევ ერთ ტელეკომპანიაზე, „მზეზე“ გაიმართება, რომლის ყოფილი მფლობელი ვანო ჩხარტიშვილი, ტელეკომპანიის დაბრუნებას საერთაშორისო სასამართლოს გზით ცდილობს. ამის პარალელურად კი ჩხარტიშვილი ახალი ტელევიზიის „მზერა TV“-ის ეთერში გაშვებას გეგმავს. „მზერა TV“, სავარაუდოდ, ტელეკომპანია „გურიის“ სიხშირეზე გავა, რომლის 51%-იც ასევე არჩევნების შემდგომ ვანო ჩხარტიშვილის შვილის მფლობელობაში არსებულმა კომპანიამ შეიძინა. ტელეკომპანია „გურია“ კი წლების განმავლობაში სასამართლო დავების საგანი იყო და მისი დაბრუნება ერთ-ერთმა თანამფლობელმა, ხათუნა სიორიძემ მხოლოდ არჩევნების შემდეგ, 9 ოქტომბერს მოახერხა.

ტელეკომპანია „მე-9 არხი“ კი კვლავ პრემიერ-მინისტრის მეუღლის, ეკატერინე ხვედელიძის მფლობელობაში რჩება. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მას არ სურს, რომ ტელეკომპანია მისი მეუღლის მფლობელობაში იყოს. ამ განცხადებიდან რამდენიმე დღეში არხი გენერალურმა დირექტორმა კახა ბექაურმა დატოვა და მის ნაცვლად „ქართული ოცნების“ დეპუტატის, შალვა შავგულიძის მეუღლე, ლუბა ელიაშვილი დაინიშნა. ელიაშვილის არხში მისვლას კი არხიდან წამყვანი ჟურნალის-

ტების წამოსვლა მოჰყვა. არხი დატოვა საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა თამარ რუსაძემაც, რომელმაც პორტალ media.ge-სთან საუბარში აღნიშნა, რომ ლუბა ელიაშვილი „ქართული ოცნების“ პოზიტიურად გაშუქებას ითხოვდა.

საზოგადოებრივ მაუწყებელთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორის ინტერესი კვლავ მაღალია. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც არხის გენერალურმა დირექტორმა, გია ჭანტურამ თანამდებობა დატოვა. არხის ახალი გენერალური დირექტორის ვინაობა კი ორეტაიანი კონკურსის შემდეგ გახდება ცნობილი.

რეზონანსული აღმოჩნდა „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის“ კუთვნილი 100 000 სატელიტური ანტენის დაყადაღებაც, რომელიც მედიისა და სამოქალაქო სექტორის ნაწილმა თავისუფალ მედიაზე ზენოლად შეაფასა, თავის მხრივ, ანტენების მოსახლეობისათვის დარიგება პროკურატურის მიერ „ქართული ოცნების“ მხრიდან ამომრჩეველთა მოსყიდვად შეფასდა.

**ქართული მედიაგარემო კვლავაც კონკრეტული პოლიტიკური ძალების გავლენას განიცდის, რასაც საია-ს მიერ 19 დეკემბერს გამოქვეყნებული კვლევის ანგარიშიც ცხადყოფს.**

საერთო ჯამში, ქართული მედიაგარემო კვლავაც კონკრეტული პოლიტიკური ძალების გავლენას განიცდის, რასაც საია-ს მიერ 19 დეკემბერს გამოქვეყნებული კვლევის ანგარიშიც ცხადყოფს. კვლევაში აღნიშნულია, რომ მედიაბიზნესთან პოლიტიკოსების კავშირები აშკარაა, რაც მნიშვნელოვან ჩრდილს აყენებს მედიის მიერ შექმნილ პროდუქტს. გარდა ამისა, არასამთავრობო ორგანიზაცია არასაკმარისად მიიჩნევს მედიამფლობელების გამჭვირვალობის სტანდარტს საქართველოს კანონმდებლობაში. **■**

**აომენსახი**



მაია ნიკლაური  
media.ge-ს რედაქტორი

2012 წელს კიდევ ერთხელ გამოიკვეთა, რომ ქართული მედიაგარემო არასტაბილურია. კომპანიები იღებენ დაფინანსებას, თუმცა ერთეულების გარდა, მათი დიდი ნაწილი მოგებაზე არ, ან ვერ მუშაობს. მედიასაშუალებები, ძირითადად, ან უცხოელ დონორებზე არიან დამოკიდებული, ან – კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებზე.

პოლიტიკური გარემო კი ის ინდიკატორია, რომლის ცვლაც პირდაპირპროპორციულად ცვლის მედიას. პოლიტიკური პროცესების პარალელურად წელს 10-მდე რეგიონულმა და ეროვნულმა მაუწყებელმა შეიცვალა მფლობელი. განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი ამ პროცესმა არჩევნების შემდეგ მიიღო. თითქოს სხვადასხვა ძალამ პოლიტიკურ გადაადგილებებთან ერთად, მედიაგადაიარაღებაც დაიწყო.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ დაიხურა 3 ტელეკომპანია: „პიკი“, „საქართველო“ და „რეალ ტვ“. ტელეკომპანია „მეცხრე არხზე“, რომელიც პრემიერმინისტრის ოჯახს ეკუთვნის, შეიცვალა ხელმძღვანელობა და რამდენიმე ჟურნალისტმა დატოვა არხი. მფლობელები და ხელმძღვანელობა შეიცვალა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-მაც. გადადგა საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორი. „იმედი“, რომელიც მანამდე პროსახელისუფლებო არხად მოიაზრებოდა, დაუბრუნდა პატარკაციაშვილების ოჯახს 4 ლარად. ეს მაშინ, როდესაც რეგიონული ტელეკომპანიის 10 პროცენტი „მეცხრე არხმა“ შეიძინა დაახლოებით 2 მილიონ ლარად.

ამ ფონზე საინტერესოა, სახელმწიფოს ლოიალური დამოკიდებულება ზოგიერთი ტელეკომპანიის მიმართ. ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს, „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს 2012 წლის ოქტომბერში რამდენიმე მილიონიანი დავალიანება შეუმცირდათ, რითაც მთავრობამ ტელებაზრის მოთამაშეები არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩააყენა. მანამდე კი ტელეკომპანია „კავკასია“ 2,5 ლარიანი დავალიანების გამო დააჯარიმეს.

# დაპირისპირება მუსლიმებთან

ნინო ბექაშვილი



ფოტო: ბორის ბონუა

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდა ის, რასაც ასე ღიად და ამკარად საქართველოში წლებია, ადგილი აღარ ჰქონია.

ჯერ გურიაში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზიანში, ხოლო შემდეგ – თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ წინწყაროში მართლმადიდებლური აღმსარებლობის ადგილობრივი მოსახლეობა ეკომიგრანტებს – აჭარიდან ჩამოსახლებულ მუსლიმებს რელიგიურ ნიადაგზე დაუპირისპირდა.

ნიგვზიანში დაპირისპირება ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის 26 ოქტომბერს დაიწყო. მუსლიმებს, რომლებიც პარასკევის ღოცვის, ე.წ. ნამაზის ჩასატარებლად, ტრადიციულად, ერთად იკრიბებიან ხოლმე, ღოცვის დასრულების შემდეგ თანასოფლელები დახვდნენ და კატეგორიულად მოსთხოვეს, აღარ შეკრებილიყვნენ სალოცავად. ტელევიზიით გავრცელდა კადრები, სადაც ნათლად ჩანდა, როგორ ემუქრებოდნენ თანასოფლელები მუსლიმებს.

ნიგვზიანელი ქრისტიანები საკმაოდ კატეგორიულები იყვნენ მედიასთანაც: „თქვენ ამბობთ, რომ აქ ომია. ა, ბატონო, სადაა ომი?! ჩვენ, უბრალოდ, არ გვინდა, მაგენმა აქ მეჩეთი დაგვიდგან. ილოცონ თავიანთ სახლებში“, – განუცხადა ერთ-ერთმა ნიგვზიანელმა „ლიბერალს“.


ერთი კვირის შემდეგ, ასევე პარასკევ დღეს, მოსახლეობის ნაწილმა, უკვე მართლმადიდებელ სასულიერო პირებთან ერთად ისევ სცადა მუსლიმთა ღოცვისთვის ხელის შეშლა.

ნიგვზიანში მომხდარ ინციდენტს პოლიტიკოსები გამოეხმაურნენ. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ინციდენტის პროვოცირებაში ყოფილ მთავრობასა და პრეზიდენტს ადანაშაულებდა და პროვოკაციის კვალს ხედავდა. იუსტიციის მინისტრი, თეა



აქტუალური

ტარიელ ნაკაიძე  
„მუსლიმთა კავშირის“  
თავმჯდომარე



ნიგვზიანსა და წინწყაროში განვითარებული მოვლენების მთავარი მიზეზი მოსახლეობის გაუნათლებლობა და შეუწყნარებლობაა. როცა გაირკვა, რომ ისლამი არ არის ისეთი რელიგია, რომელიც თუნდაც მეზობლებს მოუტანს ზიანს და ზარალს, შედეგი სახეზე გვაქვს – დღეს ორივეგან ჩვეულებრივად აღეკვლინება ლოცვა.

ეს პროცესები ჩემი აზრით, პროვოცირებული და დაგეგმილი არ ყოფილა. ადრე ამ სოფლებში მეჩეთი არ არსებებდა, და ამიტომაც, მოსახლეობამ არ იცოდა, ეს რა იყო – აქაც ისევე განათლების პრობლემაა დღე მივდივართ.

საქართველოში ისლამოფობია იმ სახით, როგორც ეს დასავლეთშია, სადაც ისლამი ტერორიზმთან ასოცირდება, არ არსებობს. ამიტომ, არა მგონია, საქართველოს მოსახლეობას მუსლიმებთან დასაპირისპირებლად ეს მიზეზი ჰქონდეთ. სამაგიეროდ, ისტორიული ფაქტორია მნიშვნელოვანი. ისლამური ქვეყნებისა და ჩვენი სამშობლოს ისტორიული ურთიერთობა შეიძლება უფრო იყოს იმის საფუძველი, რომ ქრისტიან მოსახლეობას საკუთარ სოფელში მეჩეთის არსებობა არ სურდეს.

ნებისმიერი ხელისუფლება ვალდებულია, სახელმწიფოში აღასრულოს კანონი და მოსპოს ძალადობა ნებისმიერის მიმართ – უმცირესობა იქნება ეს თუ უმრავლესობა. ამის გარეშე დემოკრატიის განვითარება შეუძლებელია.

ვფიქრობ, რომ სახელმწიფოს მოქმედება ნიგვზიანის მოვლენებთან უფრო ნაკლებად ეფექტური იყო, ვიდრე წინწყაროსთან დაკავშირებით. როგორც მე ვიცი, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და გამოიძიება მიმდინარეობს. თუკი გაგრძელდება ეს საქმეები და კანონდამრღვევები დაისჯებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო საკუთარ კონსტიტუციას იცავს.

წულუკიანი პრობლემის გადაჭრის ადეკვატურ გზად საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმთა თემს შორის მოლაპარაკებას მიიჩნევდა, ხოლო ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია აცხადებდა, რომ ნიგვზიანში მუსლიმთა უფლებები არ დარღვეულა.

საქართველოს პატრიარქის მდივანი მიქაელ ბოტკოველი „ლიბერალთან“ საუბრისას ნიგვზიანის ინციდენტის მოგვარებაში საპატრიარქოს ჩარევის შესაძლებლობას უარყოფდა. მისი თქმით, ეს უთანხმოება სახელმწიფოს უნდა მოეგვარებინა, თუმცა, იმავე საღამოს, „მეცხრე არხის“ ეთერში საქართველოს საპატრიარქოსა და მუსლიმთა თემს შორის შეთანხმების დეტალები აჩვენეს და განაცხადეს, რომ შეთანხმების მიხედვით, ნიგვზიანში მეჩეთი აღარ აშენდებოდა და რეგიონში მცხოვრები მუსლიმები ნიგვზიანში სალოცავად აღარ შეიკრიბებოდნენ.

**■ ნიგვზიანში მომხდარ ინციდენტს პოლიტიკოსები გამოეხმაურნენ. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ინციდენტის პროვოცირებაში ყოფილ მთავრობასა და პრეზიდენტს ადანაშაულებდა და პროვოკაციის კვალს ხედავდა.**

სახელმწიფოს ნიგვზიანის ინციდენტთან დაკავშირებით ძალოვანებისთვის არ მიუშართავს, თუმცა, კონფლიქტის გადაჭრაში მაინც ჩაერია. მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის მომხდარი დაპირისპირება პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის სხდომაზე განიხილეს. კომიტეტის სხდომას ესწრე-

ბოდნენ მუსლიმთა სამმართველოს, მუფთის ხელმძღვანელი, სახალხო დამცველისა და სხვა უმცირესობის წარმომადგენლებიც. სხდომაზე მონაწილე იყვნენ საპატრიარქოს წარმომადგენლებიც. მათ შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილიც.

ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები პრობლემის მოგვარებაში პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებდნენ და უმოქმედობაში ადანაშაულებდნენ.

ნოემბრის ბოლოს ზუსტად იგივე სცენარი თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროშიც გათამაშდა. ადგილობრივი მცხოვრებლები – ეკომიგრანტები სვანეთიდან – ცდილობდნენ ლოცვაში ხელი შეეშალათ ასევე ეკომიგრანტებისთვის – მუსლიმი აჭარლებისთვის. სახელმწიფოს ამ შემთხვევაში მოუწია უფრო გადამჭრელი ზომების მიღება. იქ დაპირისპირება 23 ნოემბერს დაიწყო, ხოლო 30 ნოემბერს პარაკევის ტრადიციული ლოცვის დროს შეკრებილ მუსლიმებს პოლიცია იცავდა.

ორივე შემთხვევაში განცხადება გაავრცელა და სახელმწიფოსგან გადამჭრელი ზომების მიღება მოითხოვა მუსლიმთა კავშირმა.

„მივმართავთ საქართველოს მთავრობას, მყისიერად მოახდინოს რეაგირება, რათა აღნიშნულმა ფაქტებმა არ მიიღოს სისტემატური ხასიათი; შესაბამისმა ორგანოებმა უზრუნველყონ საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სინდისისა და რელიგიის თავისუფლების მხრივ საქართველოს მოქალაქე მუსლიმი მრევლის უფლებების რეალიზება. ვთხოვთ უფლებადამცველ ორგანიზაციებს, საერთაშორისო დიპლომატიურ კორპუსს, აქტიური მონაწილეობა მიიღონ და თავიდან ავიცილოთ შესაძლო რელიგიური დაპირისპირება“, – ნათქვამი იყო მათ განცხადებაში.

ნიგვზიანში და წინწყაროში მომხდარი ფაქტები უფლებადამცველებმა შეაფასეს, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუნდამენტური უფლების – რელიგიის თავისუფლების – შელახვა. **■**

თვალსაზრისი

# საქართველო-ჩინეთი პილანების დიალოგის პიკური მსაჯობა და უსივრცის მომავალი

რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობისას თბილისმა პრიორიტეტები კარგად უნდა განსაზღვროს, რათა არ მოხდეს მოსკოვისთვის იმაზე მეტის დათმობა, ვიდრე ამას სახელმწიფო ინტერესები ითვალისწინებს

ვასო კუჭუხიძე

14 დეკემბერს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელს, ზურაბ აბაშიძესა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, გრიგორი კარასინს შორის მოლაპარაკება გაიმართა.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ეს რუსეთ-საქართველოს შორის შემდგარი პირველი ორმხრივი შეხვედრა იყო. მართალია, რუს და ქართველ დიპლომატებს ერთმანეთთან კონტაქტი ამ შეხვედრამდეც ჰქონდათ, თუმცა ეს ხდებოდა შვეიცარიის დიპლომატიური მისიის მედიაციით. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრას რაიმე კონკრეტული შეთანხმება არ მოჰყოლია, საერთაშორისო თანამეგობრობამ იგი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის ნორმალიზების ამ მცდელობად შეაფასა.

მოლაპარაკებების დაწყებამდე ორივე ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ გაკეთებული განცხადებებიდან ჩანდა, რომ არცერთი მხარე მნიშვნელოვან შედეგებს არ ელოდა. შეხვედრა წმინდა ტექნიკურ ხასიათს ატარებდა და განისაზღვრა ის ფორმატი, რომელშიც დიპლომატები მომავალში ითანამშრომლებენ. აბაშიძის განცხადებით, მხოლოდ იმ საკითხებზე შედგა საუბარი, რომლებსაც არ ფარავს ჟენევის მრავალმხრივი მოლაპარაკებები და შეთანხმება იმაზე იქნა მიღწეული, რომ ორმხრივი შეხვედრები რეგულარულ ხასიათს მიიღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობას ახლო მომავალში არავინ ელოდება, ამჟამად გამოიკვეთა ის ტენდენცია, რომ საქართველოს

ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში მისი წინამორბედის პოლიტიკური კურსის გაგრძელებას არ გეგმავს. რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობა უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოადგენდა დაშინებაზე აწყობილ თამაშს, რომლითაც ორივე მხარე სარგებლობდა. რუსეთი ამას იყენებდა საკუთარი აღმავლობის ხაზგასასმელად და ძალის დემონსტრირებისათვის, თბილისი – საერთაშორისო ასპარეზზე გოლიათთან მებრძოლი დავითის იმიჯის შესაქმნელად, აგვისტოს ომის შემდეგ კი საკუთარი ვიქტიმიზაციისთვის. ორივე მხარის პოლიტიკური ისტეგლიშმენტისათვის მომგებიანმა ამ თამაშმა ორ ქვეყანას შორის არსებული ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კავშირები მოშალა, ისედაც დაძაბული ურთიერთობა კი გრძელვადიან მოუგვარებელ კონფლიქტად აქცია.

საკაპიტლის აგრესიულმა ანტირუსულმა საგარეო პოლიტიკამ მას პროდასავლურობის იმიჯი შესძინა და ამერიკელ ნეოკონსერვატორთა გარკვეულ ჯგუფში მხარდაჭერა მოუტანა, მაგრამ ამით საფრთხე შეუქმნა არამარტო ქვეყნის სტაბილურობას, არამედ დასავლეთსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებებში ხელისშემშლელ ფაქტორად იქცა. ვაშინგტონი და, განსაკუთრებით, ბრიუსელი კი მოსკოვთან თანამშრომლობას საერთაშორისო საკითხებში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ და შესაბამისად, საქართველოს „გოლიათთან მებრძოლი დავითის“ კურსი დროიდან ამოვარდნილად იქცა. ნატო-ს უკანასკნელ სამიტებზეც არაერთხელ გაკეთდა განცხადე-

ბა თბილისის მისამართით, რომ ალიანსში შესვლამდე საქართველოს რუსეთთან უნდა მოეგვარებინა ურთიერთობა. მიუხედავად ამ მოწოდებებისა, თბილისი აგრესიულ ანტირუსულ პროპაგანდას აგრძელებდა და მოსკოვთან ურთიერთობის მოგვარების პერსპექტივას სულ უფრო არარეალურს ხდიდა.

სწორედ ამიტომაც საქართველოს ახალი ხელისუფლების მიერ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებისათვის გადადგმულ ნაბიჯებს, დასავლეთში პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა. აბაშიძე-კარასინის შეხვედრის დროს თბილისში ვიზიტით მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილემ ტომას მელიამ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები დადებითად უყურებს ქვეყნებს შორის ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობას.

რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა კი ნამდვილად არ იქნება ოლი საქმე, რომლის მიღწევაც მოკლე ვადაში გახდება შესაძლებელი. მოსკოვი ამ ეტაპზე დაინტერესებულია საქართველოსთან მიმართებაში სტატუს ქვოს შენარჩუნებით, რაც ივანიშვილის ხელისუფლებას სანყის ეტაპზევე წამგებიან პოზიციაში აყენებს. ქართულ დიპლომატიას სერიოზული მუშაობა მოუწევს კონკრეტული საკითხების წინ წამოსანევადად. თუმცა, აუცილებელია, ურთიერთობის ნორმალიზების მცდელობისას თბილისმა პრიორიტეტები კარგად განსაზღვროს, რათა არ მოხდეს მოსკოვისთვის იმაზე მეტის დათმობა, ვიდრე ამას სახელმწიფო ინტერესები ითვალისწინებს. როგორც ამერიკელმა



ანალიტიკოსმა პოლ რიმპლიმ განაცხადა, შეთავაზებები უნდა იყოს ადეკვატური და საქართველომ რუსეთის ჯარის ყოფნა საკუთარ ტერიტორიაზე არ უნდა დაუშვას მაგალითად, იაფი ენერგორესურსების სა-ნაცვლოდ.

ხელისუფლებაში მოსული „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის დანყებისთვის მზადყოფნაზე საუბრისას მუდმივად ხდება ხაზგასმა ე.წ. „წითელ ხაზებზე“, რომელთა გადაკვეთა არ უნდა მოხდეს. ერთ-ერთ ასეთ „წითელ ხაზად“ შეგვიძლია განვიხილოთ საქართველოს სწრაფვა ევროატლანტიკური სივრცისაკენ. დასავლურ ანალიტიკურ წრეებში შიშობენ, რომ მოსკოვი ეცდება უკრაინის მსგავსად საქართველოც გადაიყვანოს პროდასავლური რელსებიდან საკმაოდ მიმზიდველი ეკონომიკური შეთავაზებებით. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია საზოგადოების განწყობა. მართალია, ქვეყანაში მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი მიესალმება რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას, მაგრამ უკრაინისგან განსხვავებით საქართველოში პროდასავლური კურსის მხარდაჭერის მაღალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოების დაკვეთაა, რუსეთთან დაახლოება არ მოხდეს დასავლეთთან დაპირების ხარჯზე.

ასევე რუსეთი ეცდება საქართველოს დსთ-ში დაბრუნებასა და ინსტიტუციური თვალსაზრისით მასზე გარკვეული გავლენის აღდგენას. თუმცა, ამ მხრივ პირდაპირ ნაბიჯებს ერიდება და მხოლოდ მისდამი

ლოიალური ლიდერების საშუალებით ახმოვანებს ზრახვებს. ამის მაგალითია ბელორუსის პრეზიდენტის მიერ რამდენიმე კვირის წინ გაკეთებული განცხადება, რომ ის მზადაა დაუჩოქოს და ისე თხოვოს საქართველოს ახალ ხელისუფლებას დსთ-ში დაბრუნება. შესაძლოა, ეკონომიკური და საემიგრაციო თვალსაზრისით საქართველოსთვის მომგებიანიც კი იყოს დსთ-ში დაბრუნება, მაგრამ პოლიტიკური კუთხით აუცილებლად დაახარალებს ქვეყანას და მის საერთაშორისო იმიჯს. კრემლს კი, დამატებით ბერკეტებს მისცემს საქართველოზე გავლენის აღსადგენად.

საქართველოში მოსკოვთან ურთიერთობის აღდგენის საკითხი ძირითადად ეკონომიკურ კონტექსტში განიხილება და ქართული პროდუქციის რუსეთში დაბრუნების პერსპექტივაზე დიდი იმედებიც მყარდება. შეხვედრის შემდეგ აბაშიძის მიერ გაკეთებული განცხადებებიდანაც ჩანს, რომ მოლაპარაკებების დროს ამ საკითხებზე იქნა ყურადღება გამახვილებული. რუსულ საინფორმაციო წყაროებშიც გავრცელდა ინფორმაცია ქართული პროდუქციის შესაძლო დაბრუნების შესახებ. ორ ქვეყანას შორის სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენა ნამდვილად პოზიტიური მოვლენაა, თუმცა, არ უნდა შეწყდეს ბაზრის დივერსიფიკაციის პოლიტიკა და არ უნდა მოხდეს რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა. როგორც კლაუს ნორი აღნიშნავს, როდესაც ქვეყანა მცირე სახეობის პროდუქციას აწარმოებს და შეზღუდულია მისი სავაჭრო პარტნიორთა რიცხვი, ის ეკონო-

მიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან დაუცველია.

ქართული მხარისთვის ამ ეტაპზე ერთ-ერთი სერიოზული ხელჩასაჭიდი თემა არის სოჭის 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადა. რუსეთისთვის მისი უსაფრთხოდ ჩატარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ეს საკითხი შესაძლოა საქართველომ თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელიც ოლიმპიადის ჩაშლა/ბოიკოტზე აკეთებდა აქცენტს, ახალმა ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიაში მშვიდობის დამყარებაში და ტურნირის უსაფრთხოდ ჩატარებაში თანამშრომლობა შესთავაზოს რუსეთს. სანაცვლოდ კი, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში კრემლისგან გარკვეული დათმობები მოითხოვოს.

წლის შემაჯამებელ პრესკონფერენციაზე პუტინმა საქართველოს თემას ყურადღება დაუთმო და ხაზგასმით განაცხადა, რომ რუსეთი არა მხოლოდ ამჩნევს, არამედ მიესალმება საქართველოს მხრიდან ურთიერთობის ნორმალიზაციისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. მიუხედავად ამისა, რუსეთის მოქმედებიდან ჩანს, რომ კრემლი თბილისის მზადყოფნას სკეპტიკურად უყურებს და სხვადასხვა მეთოდით ეცდება მის შემონეშებას. ერთ-ერთ ასეთ „გამოცდად“ შეიძლება შეფასდეს მოსკოვის მხრიდან გივი თარგამაძის გადაცემის მოთხოვნა, რომელსაც რუსი სამართალდამცავები ქვეყანაში ოპოზიციასთან ერთად არეულობის მოწყობის მცდელობაში სდებენ ბრალს. ■

# დახრება თუ ახა პარლამენტი ქუთაისში?

საკონსტიტუციო ცვლილების მოლოდინის ფონზე ქუთაისი გაურკვევლობის რეჟიმში ცხოვრობს. დარჩება თუ არა პარლამენტი ქუთაისში – ამ კითხვაზე პასუხი დეპუტატებზე მეტად, ქუთაისელებს ერქარებათ.

## ნათია ბილიხოძე

ორი თვეა ქუთაისი საპარლამენტო ქალაქის ფუნქციას ითავსებს. პოლიტიკურ ორომტრიალს, რომელიც დროდადრო თავს იჩენს ხოლმე, ახლად ამენებული პარლამენტის შენობაში, ბევრად არ შეუცვლია ქუთაისის ცხოვრების რიტმი – ტიპური, რეგიონული ქალაქისთვის დამახასიათებელი ცხოვრების ერთფეროვნება.

ჯერ მხოლოდ ორი თვეა, რაც პარლამენტი ქუთაისში მუშაობს და უკვე დღის წესრიგში დგება მორიგი საკონსტიტუციო ცვლილების საკითხი – საპარლამენტო უმრავლესობა გამოდის ინიციატივით, შეიცვალოს კონსტიტუციის 28-ე პრიმა მუხლი, რომლის თანახმად, პარლამენტის ადგილსამყოფელად ცალსახად ქუთაისია განსაზღვრული. უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პარლამენტის ლოკაციის ადგილი, რომელიც კონსტიტუციაში მხოლოდ 2009 წელს გაჩნდა, არ უნდა იყოს დაკონკრეტებული.

საკონსტიტუციო ცვლილების მოლოდინის ფონზე ქუთაისი გაურკვევლობის რეჟიმში ცხოვრობს. ისევე როგორც, პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა მთელი გუნდი, რომელიც პარლამენტს თბილისიდან რომ გადმოჰყვება – დაცვის თანამშრომლებით დაწყებული, ტექნიკური პერსონალით დამთავრებული. ისინი ჩემოდნებზე სხედან და თბილისში დაბრუნებას ელიან. ამიტომაც დღეს ქუთაისი არათუ საპარლამენტო ქალაქია, არამედ პარლამენტის, უბრალოდ, დროებითი, შემთხვევითი მასპინძელი.

ერთ-ერთი უმთავრესი მოტივი, რის გამოც პარლამენტი ქუთაისში გადმოიტანეს, ქალაქისთვის ქვეყნის მეორე დედაქალა-



ფოტო: სოფო კობახიძე

ქის ფუნქციის მინიჭება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო. თუმცა, გაურკვევლობის რეჟიმში მცხოვრებ ქუთაისში დღეს გრძელვადიანი ეკონომიკური გეგმების დასახვას ვერაფერს რისკავს.

საბჭოთა პერიოდში ქუთაისის ფუნქციას მთლიანად საინდუსტრიო გარემო განსაზღვრავდა. 90-იან წლებში სანარმოების მომლამ ქუთაისი, რომელიც სიდიდით მეორე ქალაქია საქართველოში, ერთ-ერთ ყველაზე ღარიბ ქალაქად აქცია ბოლო წლების განმავლობაში. ეკონომიკური გაანგარიშებით, რომელიც ქალაქის მოსახლეობისა და ადგილობრივი ბიუჯეტის პროპორციულობით განისაზღვრება, ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხა წლიურად 68 ლარს შეადგენს. თბილისში ის 225 ლარია, ხოლო სხვა დანარჩენ თვითმმართველ

ქალაქებში, და ასეთი საქართველოში ხუთია, 100-120 ლარის ფარგლებში მერყეობს.

ქუთაისის 2012 წლის ბიუჯეტი 40 მილიონს შეადგენს. აქედან ადგილობრივი შემოსავლები მხოლოდ 12 მილიონი ლარია, დანარჩენი კი ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი. წლების განმავლობაში წვრილი, საშუალო ვაჭრობა და მომსახურება ერთადერთი იყო, რაც ვითარდებოდა ქალაქში.

ამ რთული ეკონომიკური მდგომარეობისა და მწირი ციფრების ფონზე სრული გარღვევა იყო 4,5 მილიონიანი, ძირითადად, შენობობების პრივატიზებითა და სასტუმროების ბიზნესით შემოსული უცხოური ინვესტიცია, რომელიც ქუთაისში 2011 წელს გაჩნდა და, რომელსაც პირდაპირ უკავშირებენ ქუთაისისთვის საპარლამენ-

ტო სტატუსის მინიჭებას. სწორედ ამ სტატუსის წარმოშობას უკავშირდება ქალაქში ერთადერთი სწრაფი კვების ობიექტის, მსოფლიოში ცნობილი ბრენდის – მაკდონალდსის და ერთადერთი სუპერმარკეტის გაჩენაც.

ადგილობრივ თვითმმართველობაში აცხადებენ, რომ თავდაპირველად, მოლაპარაკებების ეტაპზე საკმაოდ საინტერესო, რამდენიმე მილიონიანი საინვესტიციო პროექტები იყო, რომლებიც ამ ეტაპზე შეჩერებულია. პროექტების დამუხრუჭება პარლამენტის ქუთაისში ყოფნა-არყოფნის გაურკვეველობამ განაპირობა. „ქუთაისის საინვესტიციოდ მიმზიდველი ხდებოდა მხოლოდ ახალი სტატუსის პირობებში. შექმნილ სიტუაციაში, ბიზნესმენს უჭირს ინვესტიციების ჩადება“, – ამბობს ქუთაისის მერი ბესიკ ბრეგაძე.

ორიოდე წლის წინ იგივე დეცენტრალიზაციისა და ეკონომიკური ეფექტის მოხდენის მოტივით, ქუთაისში საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი კომისია და აუდიტის სამსახური გადმოიტანეს. თუმცა, ამ სტრუქტურების ქუთაისში გადმოსვლას, რაიმე განსაკუთრებული ეკონომიკური ეფექტი არ ჰქონია. შემოსავლების სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, სახელმწიფო ბიუჯეტში ქუთაისიდან შესული საგადასახადო შემოსავლები 2009-ში 159 022 ლარი იყო, 2010-ში – 149 663, ხოლო 2011 წელს 139 358 ლარი, ანუ საგადასახადო კუთხით, თვალშისაცემი ცვლილებები არ მომხდარა.

პარლამენტის ქუთაისში დამკვიდრება, თავის მხრივ, მოახდენდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ სხვადასხვა დიპლომატიური სტრუქტურის ოფისების გახსნას. საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაც კი, საერთაშორისო დელეგაციების მიმოსვლის უზრუნველსაყოფად იყო გათვლილი. მოკლედ, „პარლამენტი ქუთაისში“ საკმაოდ მასშტაბური პროექტი იყო თავისი გათვლებით, თუმცა ეს იდეა, ამ ეტაპზე მხოლოდ პროექტად რჩება.

ამასობაში საპარლამენტო სტატუსმა საგრძნობლად გაზარდა ფასი მიწაზე და უძრავ ქონებაზე. თუ მიწის კვადრატული მეტრის ფასი წინა წლებში 4-დან 8 ლარამდე მერყეობდა, ახლა გაათმაგებულია. მაგალითად, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელიც გარეუბანს განეკუთვნება

და პირველი ზონის ქვესტატუსი მიენიჭა, კვადრატული მეტრის ფასმა 100-120 ლარამდე აიწია.

ამ ეტაპზე ერთადერთი „ბიზნესი“, რომელიც „მუშაობს“, ბინების გაქირავებაა. ამ მხრივაც სერიოზული ზრდა შეინიშნება, თუ აქამდე 100 ლარად შეიძლებოდა საცხოვრებელი ფართის დაქირავება, ახლა ფასი დაახლოებით 500 ლარამდე ადის. „ქუთაისში ბევრი ბინა რომ გაქირავდა პარლამენტის წევრებსა და აპარატის თანამშრომლებზე, ეს არ შეიძლება ჩაითვალოს ქუთაისში ჩადებულ ინვესტიციად“, – ოპონირებს სა-

**ადგილობრივ თვითმმართველობაში აცხადებენ, რომ თავდაპირველად, მოლაპარაკებების ეტაპზე საკმაოდ საინტერესო, რამდენიმე მილიონიანი საინვესტიციო პროექტები იყო, რომლებიც ამ ეტაპზე შეჩერებულია.**

პარლამენტო უმრავლესობის წევრი დავით ბერძენიშვილი.

უმრავლესობის განცხადებითვე ძვირია ძვირადღირებული შენობის შენახვაც, რომელიც მთლიანად კონდიციონების სისტემაზეა გათვლილი. ამ არგუმენტს მრიცხველების ჩვენებებით უპირისპირდება ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური. საქმე ის არის, რომ ქუთაისის მერია ახორციელებს ტექნიკურ ზედამხედველობას კომუნალური პრობლემების მოგვარებაზე. სამსახურის უფროსის, ლევან ჭანჭალიაშვილის განცხადებით, ნოემბრის თვეში პარლამენტმა 32 ათასი ლარის ელექტროენერჯია, 7 ათასი ლარის გაზი მოიხმარა, რაც იმაზე იაფია, ვიდრე პარლამენტს თბილისში სჭირდებოდა. პარლამენტში კი აცხადებენ, რომ შენობა

ჯერ ექსპლუატაციაშიც არ არის შესული და ყოველგვარ ოფიციალურ ხარჯებზე საუბარი ნაადრევია.

საქართველოს პარლამენტს ქუთაისში უმცირესობისა და უმრავლესობის წევრები ორი სხვადასხვა პოლუსიდან აფასებენ, ამის დასტურად ეს ორი განსხვავებული აზრიც საკმარისია:

დავით ბერძენიშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი: „მსოფლიო პრაქტიკაა პარლამენტი დედაქალაქში, რადგან ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი დედაქალაქშია. 5 მილიონი უჯდება საქართველოს ბიუჯეტს ქუთაისში პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლების ცხოვრების ხარჯები. ამას ემატება სანგავი და მუდმივი მოძრაობა თბილისსა და ქუთაისში, რაც ძალიან ძვირია. ქუთაისი ისედაც არის თავისი სტატუსით ქვეყნის მეორე ქალაქი“.

გიორგი თევდორაძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი, ქუთაისის ყოფილი მერი: „პარლამენტი ნიშნავს ქალაქისათვის ფუნქციის შექმნას, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ქუთაისის მომავალ განვითარებას. თუ პარლამენტი თბილისში გადავა და ამას დავემატება ისიც, რომ ახალი ავტობანის მეშვეობით, თბილისი-ბათუმის მაგისტრალი ასცდება ქუთაისს, ჩვენ მხოლოდ ამინდის პროგნოზებში დავრჩებით“.

340 მილიონი ის თანხაა, რომელიც პარლამენტის აშენებას დასჭირდა. ოპონენტების აზრით, ამ თანხის ინვესტირება ისედაც მოახდენდა ქუთაისზე ეკონომიკურ ეფექტს.

საპარლამენტო ქალაქის სტატუსი თუ ქალაქის საჭიროებებისთვის დახარჯული 340 მილიონი ლარი – რომელი უფრო გააუმჯობესებდა ქალაქში მდგომარეობას? ეს კითხვა ქუთაისის მერს, ბესიკ ბრეგაძეს დაუფუსვით. მან გვიპასუხა: „ეს თანხა წარმოუდგენელ ეფექტს მოგვცემდა. გვექნებოდა განათებული ქუჩები, დაგებული გზები, მონესრიგებული სანიღვრე სისტემა, იმუშავებდა გადაუღებელი დახმარების სამსახურები, მაგრამ ეს ყველაფერი იქნებოდა ერთჯერადი ეფექტი. ეს პროცესი დავემგანებოდა სიტუაციას, როდესაც დიდ ტორტს ჭრი და ჭამ, მაგრამ ახალს ვეღარ აცხობ. ამიტომ მრავალწლიანი ეფექტისთვის, არჩევანი ისევ სტატუსია“.

# დიდი შეთანხმება ბეიჯინგისა და პატიარკაციშვილის შორის

ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს შორის 4-წლიანი სასამართლო დავა მორიგებით დასრულდა – პატარკაციშვილის ოჯახმა ბერეზოვსკის Salford Capital Partners-ის მართვაში არსებული ფონდ VDP-ის კუთვნილი რამდენიმე კომპანიის 30%-დან 50%-მდე წილი დაუთმო. Salford Capital Partners-ი საქართველოში რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარად შეფასებულ აქტივებს მართავდა, მათ შორის, „აიდიეს ბორჯომს“ და ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია „მაგთიკომის“ 46%-ის მფლობელ Metromedia Group Internationale-ს.

## მანანა ვარდიაშვილი

რუსეთიდან დიდ ბრიტანეთში გადახვეწილი მილიარდერის, ბორის ბერეზოვსკისა და გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებს შორის დავა 2008 წელს დაიწყო. პატარკაციშვილის ქვრივმა, ინა გუდავაძემ მეუღლის გარდაცვალებიდან მეორე დღეს, 2008 წლის 12 თებერვალს ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც ბერეზოვსკი ქმრის მიერ დატოვებული მემკვიდრეობის 50%-იანი წილის მფლობელად აღიარა. მოგვიანებით

მან განაცხადა, რომ მეუღლის უეცარი გარდაცვალებით ისე იყო თავზარდაცემული, რომ ადვოკატების მიერ წარდგენილ საბუთებს ხელი საქმის არსში გარკვევის გარეშე მოაწერა და საკუთარი ხელმოწერა უკან გამოითხოვა. ბერეზოვსკიმ ლონდონის სასამართლოს მიმართა და ყოფილი ბიზნეს-პარტნიორის ოჯახისგან 3 მილიარდი დოლარის გადახდა მოითხოვა.

ლონდონის სასამართლოში შეტანილ სარჩელში ბერეზოვსკი აცხადებდა, რომ რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის მხრიდან არსებული საფრთხის გამო საკუთარი აქტივები ბადრი პატარკაციშვილს გადაუფორმა. ბიზნესმენის განცხადებით, პარტნიორებს შორის არსებული მაღალი ურთიერთნდობის გამო მათი შეთანხმება ფურცელზე არასოდეს ფორმდებოდა, არაოფიციალური, სიტყვიერი კონტრაქტი კი მოგების შუაზე გაყოფას ითვალისწინებდა. ინა გუდავაძე ბერეზოვსკის მოთხოვნებს არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ შეთანხმება მის მეუღლესა და ბერეზოვსკის შორის არაოფიციალური იყო და ის ინგლისური სამართლის სუბიექტს არ წარმოადგენდა. პატარკაციშვილის მემკვიდრეებმა გარდაცვლილი ბიზნესმენის ყოფილ პარტნიორს ლონდონის სასამართლოში შემხვედრი სარჩელი შეაგებეს.

იმავე პერიოდში ბერეზოვსკის ლონდონის სასამართლოში ყოფილი ბიზნესპარტნიორების წინააღმდეგ კიდევ 2 სარჩელი ჰქონდა შეტანილი. რუსი ოლიგარქი „მეტალინვესტის“ მფლობელის, ვასილი ანისიმოვისგან 2 მლრდ აშშ დოლარის, ხოლო საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მფლობელ რომან აბრამოვიჩისგან 5,6 მლრდ აშშ დოლარის გადახდას ითხოვდა.

პატარკაციშვილებისა და ანისიმოვის წინააღმდეგ აღძრული საქმეების ბედი დიდწილად, აბრამოვიჩთან წარმოებულმა სასამართლო დავამ განსაზღვრა. ბერეზოვსკი აცხადებდა, რომ ის და ბადრი პატარკაციშვილი აბრამოვიჩის საქმიანი პარტნიორები იყვნენ და „სინეფტის“ 43%-ს და „რუსალის“ 25%-ს ფლობდნენ. ოლიგარქის მტკიცებით, აბრამოვიჩმა მისი და რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის კონფლიქტით ისარგებლა და კომპანიის აქტივების გაყიდვა რეალურ საბაზრო ღირებულებასთან შედარებით ბევრად დაბალ ფასში აიძულა. ბერეზოვსკი „ჩელსის“ მფლობელისგან აქტივების რეალურ ღირებულებასა და რეალიზა-



ციის ფასს შორის არსებული სხვაობის – 5,6 მილიარდი დოლარის დაბრუნებას ითხოვდა.

რომან აბრამოვიჩმა ბერეზოვსკის ყველა პრეტენზია უარყო და განაცხადა, რომ ის ოლიგარქს ფულს არა წილის სანაცვლოდ, არამედ კრემლის კულუარებში საქმეების მოგვარებისა და პოლიტიკური მფარველობისთვის უხდოდა. ლონდონის სასამართლოს მოსამართლე ელიზაბეტ გლოსტერმა ბორის ბერეზოვსკი არასანდო მონმედ მიიჩნია. „ის შეკითხვებისთვის თავის არიდებას ცდილობდა გრძელი და არამნიშვნელოვანი საუბრებით. ასევე, აცხადებდა, რომ დაკარგა მისი ბრალდების დამადასტურებელი დოკუმენტები“, – განაცხადა გლოსტერმა და აღნიშნა, რომ რომან აბრამოვიჩმა, მეტოქისგან განსხვავებით, ბევრად უფრო დამაჯერებელი და „ბოლომდე საიმედო მონმის“ შთაბეჭდილება დატოვა – ლონდონის სასამართლომ ბორის ბერეზოვსკის სარჩელი არ დააკმაყოფილა.

„მოსამართლე გლოსტერმა თავიდან დანერა რუსეთის უახლესი ისტორია. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სასამართლოს თავად პუტინმა დაუწერა განაჩენი“, – განაცხადა პროცესის დასრულების შემდეგ ბორის ბერეზოვსკიმ და სასამართლოს გადაწყვეტილებას „გამაოგნებელი“ უწოდა. ის მართლაც გაოგნებული იყო. გარდა იმისა, რომ ბერეზოვსკიმ ვერ მიიღო მის მიერ მოთხოვნილი 5,6 მლნ აშშ დოლარი, იძულებული გახდა დაეფარა დიდი ბრიტანეთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული სასამართლო პროცესის ხარჯი – 40 მლნ ფუნტი სტერლინგი.

აბრამოვიჩთან სასასამართლო პროცესის წაგებით, ზარალი მიადგა არამარტო ბერეზოვსკის ფინანსურ იმპერიას, არამედ მის რეპუტაციასაც. შანსი, მოეგო დარჩენილი 2 სასამართლო პროცესი, კიდევ უფრო შემცირდა. ადვოკატებმა მას ანისიმოვთან და ბადრი პატარკაციშვილის მემკვიდრეებთან მორიგება ურჩიეს.

ბერეზოვსკისა და პატარკაციშვილის ოჯახს შორის სამშვიდობო შეთანხმება გაფორმდა. ჟურნალ Forbes-ის ინფორმაციით, მხარეებმა მოილაპარაკეს, რომ პატარკაციშვილის ოჯახი ბერეზოვსკის Salford Capital Partners-ის მართვაში არსებულ ფონდ DVP-ის გარკვეული აქტივების 30%-დან 50%-მდე წილს გადასცემს. Salford Capital Partners-ი კი წევრებს მუშაობას.

Salford Capital Partners-ის ქონება 500 მლნ დოლარადაა შეფასებული. მის აქტივებში შედის: ცნობილი რძის პროდუქტების მწარმოებელი ბრენდი „შუბოტიცა“ და მინერალური წყლების, ენერგეტიკული სასმელებისა და წველების მწარმოებელი კომპანია Knjaz Milos-ი სერბეთში, საკონდიტრო პროდუქციის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია სერბეთსა და ჩერნიგორიაში Bambi, რძისა და რძის პროდუქტების მწარმოებელი კომპანია Imlek-ი, „IDS ბორჯომი“ და „მაგთიკომი“ საქართველოში.

ჟურნალ Forbes-ის მონაცემებით, „IDS ბორჯომი“ 400 მლნ აშშ დოლარად, ხოლო კომპანიაში ბერეზოვსკის და პატარკაციშვილის წილი 150 მლნ აშშ დოლარად არის შეფასებული. „IDS ბორჯომი“, რომელიც მინერალურ წყლებს საქართველოში, რუსეთსა და უკრაინაში აწარმოებს („ბორჯომი“, „ლიკანი“, „ბაკურიანი“, „Святой источник“, „Миргородская“, „Эдельвейс“), საქართველოს ბაზრის – 45%-ს, რუსეთის ბაზრის – 4%-ს და უკრაინული ბაზრის 30%-ს აკონტროლებს.

გავრცელებული ინფორმაციით, ბორის ბერეზოვსკიმ და პატარკაციშვილის ოჯახმა „IDS ბორჯომის“ წილი გადაინაწილეს, წილების

გაყოფის შემდეგ კი ბერეზოვსკიმ საკუთარი აქტივი გაყიდა. „IDS ბორჯომის“ ქართველი მენილე, მამუკა ხაზარაძე ამ ინფორმაციას ქართულ მედიასთან საუბარში ადასტურებს. თუმცა, გარიგების ოდენობას და მყიდველის ვინაობას კომპანია არ ასახელებს.

Salford Capital Partners-ი მართავს „მაგთიკომის“ 46%-ის მფლობელ კომპანია Metromedia Group Internationale-საც. მობილური კავშირგაბმულობის ქართული კომპანიის აქტივი Salford Capital Partners-მა Sun Capital Partners-თან ერთად 2007 წელს შეიძინა. აქტივი, რომელიც 2007 წელს 180 მლნ აშშ დოლარი ღირდა, Forbes-ის ინფორმაციით, 2010 წელს უკვე 240 მლნ აშშ დოლარად იყო შეფასებული.

გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის შვილი, ლია პატარკაციშვილი „ლიბერალთან“ საუბარში აცხადებს, რომ: „ამ ეტაპზე „IDS ბორჯომის“ მთავარი მესაკუთრე ისევ პატარკაციშვილების ოჯახია. რაც შეეხება Metromedia Group Internationale-ს, ბორის ბერეზოვსკის ამ კომპანიაში წილი არასოდეს ჰქონია“.

ლონდონის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბორის ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს შორის მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების დეტალები კონფიდენციალურია. ბერეზოვსკიმ პირობა დადო, რომ მას Salford Capital Partners-ის მართვაში არსებულ არცერთ აქტივთან დაკავშირებით ყოფილი ბიზნესპარტნიორის მემკვიდრეებთან პრეტენზია აღარ ექნება. წილი ნაყარია – ბერეზოვსკისა და ბადრი პატარკაციშვილის ოჯახს შორის ყოველგვარი ურთიერთობა შეწყდა. ■



# ქართულ-აფხაზური ხონფიციის ხიდიბიური ასპექტი

დემის პოლანდოვი, რადიო „ეხო კავკაზას“ აფხაზური ბლოკის რედაქტორი, „რადიო თავისუფლება/რადიო თავისუფალი ევროპის“ მიმომხილველი

ფოტო: თინათინ მორია



80-90-იანი წლების სამხრეთ კავკასიაში განვითარებული კონფლიქტები რელიგიური ბუნებისა არ ყოფილა – ამაზე ყველა თანხმდება, მაშინაც კი, როცა საქმე სომხურ-აზერბაიჯანულ დაპირისპირებას ეხება ხოლმე. მით უფრო, არავინ ეძებს რელიგიურ სარჩულს ქართულ-აფხაზურ და ქართულ-ოსურ კონფლიქტებში – აფხაზების, ისევე როგორც, ოსების დიდი უმეტესობა ხომ, ქართველებით, მართლმადიდებელი ქრისტიანია. თუმცა, ამის მოუხედავად, რელიგია იყო და დღემდე რჩება ერთ-ერთ ისეთ ფაქტორად, რომლის გაუთვალისწინებლადაც კონფლიქტის, კერძოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სურათის ერთიანად დანახვა შეუძლებელია.

## სხვისი დანაშაულის ძიებაში

ჩვეულებრივ, ქართულ-აფხაზური „შეტაკებები“ საინფორმაციო სივრცეში ამ საკითხს არ ეხება. თუმცა, დროდადრო, აფხაზი პუბლიცისტები და ინტერნეტმომხმარებლები კონფლიქტების გამწვავებაში ქართველი პატრიარქის, ილია მეორის როლს ასხენებენ ხოლმე; თუნდაც იმას, რომ მან ლამის ანათემას გადასცა ყველა, ვინც ქართველზე ხელს აღმართავდა. მოლიანობაში კი, ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას

ბრალად იმას უყენებენ, რომ სამხედრო მოქმედებების დაწყებას ხელი არ შეუშალა, ეგზალტირებულ ქართულ ნაციონალიზმს არ დაუპირისპირდა, მეტიც – დაპირისპირების მაგიერ მას დოქტრინული საფუძველი შეუქმნა.

ქართველი ოპონენტები ამ ბრალდების სამართლიანობას არ იზიარებენ და მართლმადიდებლურ საეკლესიო დოგმებს და ისტორიის საკუთარ ხედვას ეყარებიან – მათი თქმით, აფხაზებმა და ოსებმა დედა ეკლესიაზე და ქრისტიან თანამოძმეებზე აღმართეს ხელი. იმასაც იხსენებენ, როგორ გადაარჩინეს ქართველმა მღვდლებმა მე-19 საუკუნეში ათასობით აფხაზი მუჰაჯირობას, როცა მათ მასობრივად ნათლავდნენ – იმ ხანებში ხომ სწორედ მუსლიმი აფხაზების დეპორტირება ხდებოდა. ქართველი პოლემისტების აზრით, აფხაზებს დღეს თავიანთ ცოდვაში გაჯიუტება სჭირთ, თავიანთ პატრიარქსა და ეპისკოპოსს არ ცნობენ, და კარგი მართლმადიდებლები რომ იყვნენ, დიდი ხნის მონანიებული ექნებოდათ და ქართული ეკლესიის წიაღსა და ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში დაბრუნდებოდნენ.

რას ნიშნავს რელიგიური ასპექტი ქართული საზოგადოების რელიგიურობაზე

განსჯაში ვერ შევალ, თუმცა, რეიტინგების, გამოკითხვების მიხედვითა თუ ექსპერტების შეფასებით, ის ძალიან რელიგიური უნდა იყოს. საქართველოს პატრიარქის ავტორიტეტი იმდენად დიდია, პოლიტიკოსებს მხოლოდ ოცნება შეუძლიათ ასეთ სახალხო მხარდაჭერაზე.

რელიგიურობის მხრივ აფხაზეთში სურათი სულ სხვაა. მართლმადიდებლობის როლი, რასაკვირველია, დიდია, მაგრამ განმსაზღვრელ პოლიტიკურ ძალად არ აღიქმება, არც აფხაზური სეპარატიზმი აღმოცენებულა რელიგიურ ნიადაგზე. ის ადამიანები, რომლებიც აფხაზი მართლმადიდებლების მიმართ მიმართვებს ადგენენ და მონანიებისკენ, შემდეგ კი დედაეკლესიის წიაღში დაბრუნებისკენ მოუწოდებენ, ამ ფაქტორს არ ითვალისწინებენ.

მართლმადიდებლური თვითიდენტიფიკაცია „აფხაზობის“ სინონიმად სულაც არ ითვლება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ აფხაზთა მეტი ნაწილი მუსლიმია, მოუხედავად იმისა, რომ თვით აფხაზეთში ისინი უმცირესობას შეადგენენ. აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილი წინაპრების ტრადიციულ რწმენას აღიარებს – ნარმართობად მისი მოხსენიება აქ არაა მიღებული – უფრო ხშირად აფხაზების „ბუნებრივ მონოთეიზმად“ მოიხსენიება. ამ რელიგიურ ჯგუფებს შორის ზღვრები ბუნდოვანია, ბევრი ტრადიციული რწმენის და მართლმადიდებლური აღმსარებლობის შეთავსებასაც ახერხებს. სხვადასხვა კონფესიის ადამიანებს შორის ქორწინება – ჩვეულებრივი მოვლენაა, და ისედაც, რეალურად, ეკლესიური მართლმადიდებლობის რაოდენობა, ისეთებისა, ვინც აღსარებას ამბობს და ზიარებას იღებს, ძალზე მცირეა.

სურათის ამგვარი სიჭრელე კავკასიის რეგიონისთვის უნიკალურია. აფხაზეთში შენარჩუნებულია უძველესი რიტუალები, რომლებიც ადიღურ-აფხაზური სამყაროს სხვა არეალებში დიდი ხნის დავიწყებული აქვთ და მათ შესახებ ინფორმაცია მხოლოდ სპეციალურ ლიტერატურაში მოიპოვება. ჩემი აზრით, ამ სიჭრელისა და თვითმყოფადობის მიზეზი სწორედ ისაა, რომ



ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში იყო და არის. ქართულ ენაზე ღვთისმსახურება, იმ პირობებში, როცა აფხაზთა შორის ქართული თითქმის არაფერი იცოდა, საეკლესიო ცხოვრებისგან გაუცხოების საუკეთესო ფორმულა იყო. განსაკუთრებით, თუკი გავითვალისწინებთ, რომ აფხაზი მღვდლები ძალზე ცოტანი იყვნენ, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ ეკლესიის იერარქებს შორის ერთი აფხაზიც არ ყოფილა. ეს უკანასკნელი მომენტი, თავის მხრივ, აფხაზური მართლმადიდებლობის დღევანდელი მდგომარეობის მიზეზი გახდა.

„ეკლესია უპასუხოდ არ არსებობს“

ქართული ეკლესიის ეროვნულობა სულაც არ არის უნიკალური მოვლენა, ეს მართლმადიდებელ სამყაროში ჩვეულებრივი ამბავია. ბიზანტიის იმპერიის ამბიციამთავისებური რუსეთიც კი ვერ გახდა ის ცენტრი, რომლისგანაც სხვა ხალხები „ქრისტეს რწმენით გაბრწყინდებოდნენ“. რუსეთის იმპერიაში ეკლესია მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ იყო მოქცეული და თავის ფუნქციას ასრულებდა – მცირე ხალხებს საკუთარ რწმენაზე აქცევდა და არუსებდა. ქართული ეგზარხატის მდგომარეობა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში უფრო რთული იყო, თუმცა, იმპერიული საეკლესიო გამოკვებების ყველა „სიკეთე“ ქართველებმაც განიცადეს. ამიტომ იყო, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე საკუთარი ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ გამოაცხადეს, შემდეგ კი ვერ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის, მერე – სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების თანხმობას დიდხანს ელოდებოდნენ.

როგორც არ უნდა უნდოდეთ აფხაზ მართლმადიდებლებს პარალელის გაღება იმ ორ მოვლენას შორის, თუ როგორ გამოეყო მათი ეკლესია ქართულს და როგორ მოხდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, კანონიკური თვალსაზრისით, ასეთი შედარება უსაფუძვლოა. ქართული ეკლესია მკაფიოდ იცავდა „ეროვნული საკითხით“ განპირობებულ პოლიტიკას და აფხაზებს ეპისკოპოსობას არ ანიჭებდა. აფხაზეთის ეპარქიის მეთაური ბესარიონი (აპლია) და მისი რამდენიმე თანამოაზრე სხვადასხვა ვარიანტს იყენებდნენ – ხან რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას სთხოვდნენ აფხაზების მიღებას საკუთარ წიაღში, ხანაც აფხაზური მართლმადიდებელი ეკლესიის აღდგინებაზე საუბრობდნენ. ასე გაგრძელდა ოცი წელი, სა-

ნამ, ასე ვთქვათ, ამბოხი არ მოხდა.

ახალი ათონის „ახალგაზრდა მღვდელმსახურთა“ აჯანყებას ბევრი მიზეზი ჰქონდა. იყო პირადი მოტივებიც, პოლიტიკაც (შიდა და საგარეო), მაგრამ პირველ რიგში, კონფლიქტი კანონიკურ ნიადაგზე მოხდა. რუსეთსა და საბერძნეთში მიღებული ბრწყინვალე რელიგიური განათლების მქონე არქიმანდრიტმა დოროთემ (დბარი), ბერმონაზვნებმა დავითმა (სარსანია) და ანდრია ამპარამ პირდაპირ, შეულამაზებლად უთხრეს თავიანთ სამწყსოს, რომ არანაირი ეკლესია კანონიკური თვალსაზრისით აფხაზეთში არ არსებობს. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარგზავნილი მღვდელმსახურები, რომლებიც საქართველოს კანონიკურ ტერიტორიაზე მსახურებას ქართული ეკლესიის ნების გარეშე აღავლენდნენ, ან ქართული ეკლესიიდან დარჩენილი თითო-ორილა მღვდელი, რომელიც საკუთარ პატრიარქს არ აღიარებდა – ამ ყველაფერს, მათი თქმით, ნორმალურ მართლმადიდებელ საეკლესიო ცხოვრებასთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა. „ეკლესია უეპისკოპოსოდ ვერ იარსებებს“ – მამსადადამე, არც აფხაზურ მართლმადიდებლობას აქვს პერსპექტივა. ქართულ ეკლესიას ჰქონდა აღიარების ლოდიინის ფუფუნება – მას ეპისკოპატი ჰყავდა, არც ხელდასხმის უფლება დაუკარგავს. ზოგი ეკლესია ამას საუკუნეები ელოდებოდა. აფხაზებს რისი იმედი უნდა ჰქონოდათ?!

მწარე სიმართლემ შეძრა აფხაზური საზოგადოება. ახალ ათონში წმინდა სამიტროპოლიტოს შექმნა ამავე დროს აფხაზური ეკლესიის აღდგინებასაც ნიშნავდა. რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რეაქციას არ დაუსანებია – მისივე ხელდასხმულ ახალგაზრდა მღვდლებს ღვთისმსახურება აეკრძალათ.

ინტრიბა შინარჩუნებაში

დღეს ძნელად მოიძებნება ექსპერტი, რომელიც მიიჩნევს, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი რომელიმე ვარიანტით უახლოეს წლებში მოგვარდება. იმ სტატუსს ქვოს შეცვლა, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის და აფხაზეთის აღიარების შემდეგ შეიქმნა, დღევანდელ პირობებში შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც უნაყოფო ჟენევის დისკუსიები, რომელთა მონაწილეები დიამეტრულად განსხვავებულ პოზიციებზე დგანან.

ამ ფონზე საეკლესიო სიტუაცია ბევრად უფრო ცოცხლად გამოიყურება და მოვლენათა შესაძლო განვითარების არაპროგნოზირებად

სპექტრს შეიცავს. „ახალგაზრდა მღვდელმსახურებმა“ აფხაზეთის საეკლესიო საკითხი საეკლესიო გეოპოლიტიკის ობიექტად აქციეს, როცა დახმარებისთვის უშუალოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქატს მიმართეს. 20 წლის განმავლობაში სულიერად დაუპირისპირებელი ტერიტორია, რომელზეც ჯერ კიდევ მასპრობლები ქადაგებდნენ ქრისტიანობას – საეკლესიო ისტორიაში ეს უპრეცედენტო შემთხვევაა, რომლის არსებობასაც მსოფლიოს მართლმადიდებელი სამყარო ვერ წაუყრუებს, განსაკუთრებით, სამხრეთ ოსეთის სიტუაციის გათვალისწინებით, სადაც ეკლესია განხეთქილებამ მოიცვა და ბერძენი მეძველსტილებების გავლენის ქვეშ მოექცა.

ქართულ ეკლესიაში სიტუაციის სიმწვავე კარგად ესმით. არც ბესარიონ აპლია, არც მღვდელმონაზონი დავითი, „ახალგაზრდა მღვდელმსახურების“ წარმომადგენელი, ქართული ეკლესიის მხრიდან მსახურების აკრძალვით არ დასჯილა, იმის მიუხედავად, რომ ისინი სწორედ ქართული ეკლესიის ხელდასხმულები არიან. ეს მღვდლები ერთდერთი ძაფია, რომელიც თუნდაც ნომინალურად, მაგრამ მინც გვაძლევს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და აფხაზეთის კავშირზე ლაპარაკის საშუალებას. მაგრამ საკმარისია კი ეს კონსტანტინეპოლში ახლანდელ (და საკმაოდ ინტენსიურ) მოლაპარაკებებზე არგუმენტირებისთვის? მით უფრო, რომ კონსტანტინეპოლის ლოგიკა მხოლოდ კანონიკური კი არა, პოლიტიკურიცაა. რუსეთის ეკლესიას კონსტანტინეპოლთან ძალიან რთული ურთიერთობა აქვს, მათ შორის გლობალური ბრძოლაა გაჩაღებული მსოფლიო მართლმადიდებლობის საჭტომპყრობლობის მოსაპოვებლად.

რუსული ეკლესია, თავის მხრივ, საკუთარი სტატუსს ქვოს შესანარჩუნებლად იბრძვის – მას სურს, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკურ ტერიტორიაზე სარწმუნოებრივი გამოკვების დროებითი უფლება შეინარჩუნოს. მაგრამ არაფერია ისეთი მარადიული, როგორც დროებითი, ქართველ იერარქებს მშვენივრად ესმით ეს, რაკი რუსული ეკლესიის ამ წინადადებაზე არ თანხმდებიან. **□**



სტატია მომზადებულია ჰაინრიხ ბოლის ფონდის მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს ჰაინრიხ ბოლის ფონდის შეხედულებებს.

# ეუსმინისტიკები მახთმსახურების ჰიხისჰიხ

ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დაპატიმრებები გრძელდება, ამჯერად გამოძიების მიზანში მინისტრთა კაბინეტის ყოფილი წევრები არიან.

## ზურაბ ვარდიანი

19 დეკემბერს, დილის 11 საათზე, „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი და ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში დაიბარეს.

დაკითხვა რამდენიმე საათს გაგრძელდა და ყოფილი მაღალჩინოსნების დაპატიმრებით დასრულდა. გვარამიასა და ხეთაგურთან ერთად ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილე კახა დამენია და თელასის გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი დააკავეს.

ნიკა გვარამია 2004-2007 წლებში საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, 2007 წლიდან მთავარი პროკურორის მოადგილედ მუშაობდა, 2008 წელს იუსტიციის მინისტრად დაინიშნა, საიდანაც, ათთვიანი საქმიანობის შემდეგ, განათლების მინისტრის თანამდებობაზე გადაინაცვლა. ამ დროისთვის ის ტელეკომპანია „რუსთავის 2“-ის გენერალური დირექტორია.

საქართველოს გაზისა და ნავთობის კორპორაციის გენერალური დირექტორი ალექსანდრე ხეთაგური 2007 წელს ენერგეტიკის მინისტრად დაინიშნა, 2012 წლიდან ხელისუფლების შეცვლამდე კი ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობდა.

### ოფიციალური ვერსია

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მტკიცებით, გამოვლენილია დანაშაულებრივი სქემა, რომლის



**■ ალექსანდრე ხეთაგური მოდულის შენობაში გადაიყვანეს, ნიკა გვარამიას შსს-ს მთავარი სამართველოს იზოლაცორში მოათავსეს. ნიკა გვარამიას ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის თქმით, გვარამია ბრალს არ აღიარებს და მის დაკავებას „რუსთავი 2“-ზე ზეწოლად აფასებს.**

მეშვეობითაც ყოფილმა მაღალჩინოსნებმა დიდი რაოდენობით ქრთამი აიღეს და დანაშაულის შესანიღბად ოფიციალური და საგადასახადო დოკუმენტები გააყალბეს.

გამოძიების ინფორმაციით, კომპანია „ინტერრაოს“ წარმომადგენელი ვადიმ მიტიუშინი მაშინდელი ენერგეტიკის მინისტრს, ალექსანდრე ხეთაგურს დაუკავშირდა. „ინტერრაო“ საქართველოში ენერგეტიკული კომპანიების – „ხრამჭესი 1“, „ხრამჭესი 2“, „მტკვარი ენერგეტიკის“ და თელასის მფლობელია.

კომპანიის წარმომადგენელს სახელმწიფოსთან ისეთი შეთანხმების მიღწევა სურდა, რომლის შედეგადაც, საგადასახადო შემოსემებს თავიდან აიცილებდა. მოლაპარაკებაში „ორივე მხარისთვის სანდო პირი“, თელასის გენერალური დირექტორი დევი კანდელაკი ჩაერთო.

როგორც პროკურატურა ამტკიცებს, კანდელაკმა ენერგეტიკის მინისტრს მილიონი დოლარი ქრთამი შესთავაზა. ხეთაგური წინადადებას დაეთანხმა და კანდელაკი „ფულის აღებისთვის კანონიერი სახის მისაცემად, დანაშაულებრივი სქემის შემუშავებისა და განხორციელებისთვის“ ნიკა გვარამიასთან გაგზავნა.

ჭაჭავაძის გამზირზე მდებარე ოფისში, ე.წ. „პიქსელის“ შენობაში, იუსტიციისა და განათლების ექსმინისტრმა თელასის გენდირექტორს „დანაშაულებრივი გეგმა აუხსნა“.

# იოტა iOS-ისთვის



ლიბერალი - ახლა უკვე თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

იპითხე ყველგან!

იპითხე კომფორტულად!

[www.lit.ge](http://www.lit.ge)

იოტა iOS-ისთვის ხაზვალეებს გაძღვნი მარტივად იპითხეთ [lit.ge](http://lit.ge)-ს ნიშნები და პერიოდობა თქვენს iPhone, iPad და iPod Touch-ზე

აკლიკების გადმონახვად, თქვენი მონეტარილიდან iTunes-ზე მოძიებნით „IOTA READER“



## მატიკაჯელები

გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, შპს „ელენდეფ სერვისისთვის“ თანხების ჩარიცხვის საბანკო ამონაწერი, „თელასის“ მიერ თანხების გადარიცხვაზე გამონერილი ინვოისი და სალაროს ქვითარი, „ხრამჭესი1“, „ხრამჭესი2“ და „მტკვარი ენერჯეტიკას“ მიერ შპს „ელენდეფ სერვისისთვის“ თანხების გადარიცხვის დოკუმენტები, „ლიბერთი ბანკი“-დან გიორგი ნემსინვერიდის მიერ თანხის გატანის ჩეკი, მონემთა ჩვენები... ეს ის მტკიცებულებებია, რომლითაც გამოძიებას ბრალდების გამყარება სურს.



**■ აქციაზე ყოფილი ხელისუფლების წევრები და მათი მხარდამჭერები აქტიურობდნენ: გიორგი ვაშაძე, კობა ხაბაზი, გიგა ნასარიძე, თამარ ჩერგოლეიშვილი, ლექსო მაჭავარიანი... სიტყვით გამომსვლელები ახალ ხელისუფლებას „სამარცხვინო რეჟიმად“ მოიხსენიებდნენ და დაკავებულებს სოლიდარობას უცხადებდნენ.**

ამის შემდეგ, ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ნიკა გვარამია საკუთარ მეგობარს, გიორგი ნემსინვერიდეს დაუკავშირდა და შეუთანხმდა, რომ მას ფიქტიური შპს „ელენდეფ სერვისი“ დაეარსებინა, „რომლის ფუნქციაც ვითომდა საკონსულტაციო საქმიანობით განისაზღვრებოდა“. შპს 2012 წლის 26 ივლისს 15:56 წთ-ზე დარეგისტრირდა.

„ელენდეფ სერვისსა“ და ენერჯეტიკულ კომპანიებს შორის ხელშეკრულებები გაფორმდა და 22 აგვისტოთი დათარიღდა. თელასიდან – 500 000, „ხრამჭესი 1“ „ხრამჭესი 2“-დან – 50 000-50 000 ათასი, ხოლო „მტკვარი ენერჯეტიკიდან“ 400 000 აშშ დოლარი „საკონსულტაციო“ ფირმის ანგარიშზე ჩაირიცხა.

როგორც გამოძიება ირწმუნება, ნემსინვერიდემ დარიცხული თანხა ანგარიშიდან გამოიტანა და გვარამიას გადასცა, „რითაც დანაშაულებრივი სქემის განხორციელება დასრულდა“.

საქმე 2012 წლის ოქტომბერში გართულდა. თელასის საფინანსო სამსახურმა აღმოაჩინა, რომ დოკუმენტაციაში არ არსებობდა გადანყვებილება, რომლის მიხედვითაც კომპანიამ საკონსულტაციო სამუშაო შეისყიდა.

იმის გამო, რომ შპს „ელენდეფ სერვისის“ ფიქტიურობა არ გამჟღავნებულა, გვარამიამ აღებული თანხის „სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევის გეგმა“ შეიმუშავა.

ყოფილი მაღალჩინოსანი შპს „გუტიძე, დამენია, ჩანტლაძე სოლუმენის“-ის დამფუძნებლებს, კახა დამენიას და იზაბელა გუტიძეს დაუკავშირდა. ამ შპს-ს და „ელენდეფს“ შორის 27 აგვისტოს თარიღით გაფორმდა კონტრაქტი, რომელიც ენერჯეტიკული კომპანიებისთვის საკონსულტაციო და სხვა სახის მომსახურებას ითვალისწინებდა.

თუმცა პრობლემები კვლავ წინ იყო – გუტიძემ, გვარამიამ და დამენიამ შეიტყვეს, რომ ამ საკითხის შესწავლით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური დაინტერესდა.

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, „გამოძიებისათვის კვალის არევის მიზნით კ. დამენიას პირად სეიფში მოთა-

ვსებულ იქნა თითქოსდა შპს „ელენდეფ სერვისის“ სალაროს ნაშთის თანხა 1 184 950 ლარი“. ამით მეგობრებმა „ელენდეფის“ ფიქტიურობის დაფაფა სცადეს.

ეს ფული გამოძიების მიერ ამოღებულია.

ალექსანდრე ხეთაგური მოდულის შენობაში გადაიყვანეს, ნიკა გვარამია კი შსს-ს მთავარი სამმართველოს იზოლაციონში მოათავსეს.

ნიკა გვარამიას ადვოკატის, მამუკა ჭაბაშვილის თქმით, გვარამია ბრალს არ აღიარებს და მის დაკავებას „რუსთავი 2“-ზე ზენოლად აფასებს.

ბრალდებას ალექსანდრე ხეთაგურიც უარყოფს, მისი ადვოკატი დავით ხაჭაღია ირწმუნება, რომ ექსმინისტრს გარიგებაში მონაწილეობა არ მიუღია.

## რეაქცია

„ნაციონალური მოძრაობა მუშაობის საგანგებო რეჟიმზე გადადის“ – მთავრობის ყოფილი წევრების დაკავებას ოპოზიციური პარტიის გენერალური მდივანი ვანო მერაბიშვილი ასე გამოეხმაურა. ექსპრემიერი მიიჩნევს, რომ „გვარამიას და მასთან ერთად რამდენიმე ყოფილი სახელმწიფო მოხელის დაკავება გაუგონარი ფაქტია“.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ნიკა გვარამიას დაუყოვნებლივი გათავისუფლება მოითხოვა – „ძალიან კარგად ვიცი, რომ „რუსთავი 2“-ის მფლობელებზე ზენოლა ხორციელდებოდა. ეს ჩემი მოგონილი არ არის, ტელევიზიითაც გაცხადდა. მფლობელებს ვერაფერი უშოვებს და სრულიად ყალბი ბრალდებით ახლა დირექტორი დააკავეს. ძალიან ჩქარა და ცუდად დამთავრდება იმათთვის ყველაფერი, ვინც ამას აკეთებს. მე, მინდა ისინი გავაფრთხილო, საქართველოში ვერავინ ვერასდროს დაამყარებს იმ რეჟიმს, რომელსაც ესწრაფვიან. სახიფათო ზღვართან ძალიან ახლოს არიან. ამას ვამბობ როგორც პრეზიდენტი და როგორც მოქალაქე“.

20 დეკემბერს პოლიციის სამმართველოსთან დაკავებულთა მხარდამჭერი საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციაზე მყოფი საპარლამენტო უმცირესობის

ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი დაპატიმრებებს ხელისუფლების უზურპაციისკენ გადადგმულ ნაბიჯს უწოდებდა და პოლიტიკურ დევნად აფასებდა.

აქციაზე ყოფილი ხელისუფლების წევრები და მათი მხარდამჭერები აქტიურობდნენ: გიორგი ვაშაძე, კობა ხაბაზი, გიგა ნასარიძე, თამარ ჩერგოლიევილი, ლექსო მაჭავარიანი... სიტყვით გამომსვლელები ახალ ხელისუფლებას „სამარცხვინო რეჟიმად“ მოიხსენიებდნენ და დაკავებულებს სოლიდარობას უცხადებდნენ.

განცხადება „რუსთავი 2“-ის დამფუძნებლებმა, დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემაც გაავრცელეს. მათ გამოთქვეს რწმენა, რომ მოქმედი გენერალური დირექტორის დაკავება მედიაზე ზეწოლის მცდელობა არ არის: „გვჯერა, რომ გამჭვირვალე და ობიექტური გამოძიების შედეგად, ერთად შევძლებთ „რუსთავი 2“-თვის თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიის სახელის

**ჩემი ქეზათ ბიანი ქაშინისხეზს?**

ექსპინისტრებს ბრალი მეორე დღეს ნაუყენეს. ხეთაგურს ორი – 194-ე და 338-ე, ხოლო გვარამიას ოთხი – 195-ე, 210-ე, 338-ე და 362-ე მუხლით.

სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლი უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას ეხება, 195-ე მუხლი – ფულის გათეთრებას, 210-ე – ყალბი დოკუმენტების დამზადებას, 362-ე – ყალბი დოკუმენტების გამოყენებას.

დაბრუნებას, გამიჯნულს ნებისმიერი პოლიტიკური და პარტიული ზეგავლენისგან“.

დაპატიმრებებს საქართველოში ამერიკის ელჩი რიჩარდ ნორლადიც გამოეხმაურა: „როდესაც სატელევიზიო კომპანიის დირექტორს აკავებენ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვები, ხომ არ

იზღუდება მედიის თავისუფლება. თუმცა, მეორე მხრივ, გავრცელებულია აზრი, რომ გვარამია ფინანსური საქმიანობის გამო დააკავეს. მნიშვნელოვანია, რომ კანონის უზენაესობა უზრუნველყოფილი იყოს და სასამართლო პროცესი სწორად წარიმართოს“.

„პოლიტიკოსების მიერ საკითხის ისე წარმოჩენა, თითქოს ნიკა გვარამიას დაპატიმრება მედიაზე ზეწოლაა, სრულიად ალოგიკურია და სიმართლეს არ შეესაბამება“, – ამბობს მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი – საქმე ისაა, რომ ნიკა გვარამია „რუსთავი-2“-ის გენერალურ დირექტორად 2012 წლის 14 ნოემბერს დაინიშნა, ხოლო გამოძიება 2012 წლის 8 ნოემბერს დაიწყო“.

პოლიტიკური დევნა, თავისუფალ მედიაზე ზეწოლა თუ მართლმსაჯულების აღსრულება? ამ კითხვას უფრო ნათელი პასუხი მას შემდეგ გაეცემა, რაც დაპატიმრებული ყოფილი მაღალჩინოსნები სასამართლოს წინაშე წარდგებიან. **□**

RadioCommersant

marketing@commersant.ge  
+995 32 2505 955



ბიზნესის პერსონალური რადიო


Commersant.ge



# ბიძონა თეხბისთვის - დახიანდჳესის საქმე

თითქმის ორთვიანი პროცესის შემდეგ, 19 დეკემბერს, სააპელაციო სასამართლომ დარიალჳესის მშენებლობის შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. „მწვანე ალტერნატივა“ საქალაქო სასამართლოს 31 მაისის გადაწყვეტილების გაუქმებას მოითხოვდა. ამ გადაწყვეტილებით, გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ დარიალჳესის მშენებლობაზე გაცემული დადებითი ეკოლოგიური დასკვნა ძალაში დარჩა.

ეკა მალალდაძე



დარიალჰესის მშენებლობა. ოქტომბერი 2012

ფოტო მხარზე აღებულია

გარემოსდამცველები სამართლებრივი ბრძოლის გაგრძელებას აპირებენ. გადანყვეტილებას საკასაციო წესით გაასაჩივრებენ. ამავე საქმეზე დოკუმენტებია წარდგენილი პროკურატურაშიც, საქმის მსვლელობისას გამოვლენილ კონკრეტულ დოკუმენტებზე კი ორგანიზაცია ახალი პრიცეის დანყებას გეგმავს.

„მწვანე ალტერნატივას“ იურისტს თამარ მახათაძეს საქმის მიმდინარეობა აფიქრებინებდა, რომ მოსამართლეები გამოიყენებდნენ კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებს, რომლითაც სასამართლოს შეუძლია საქმე გადანყვეტის გარეშე დააბრუნოს საჯარო დანესებულებაში და მისგან კანონის შესაბამისი გადანყვეტილების მიღება მოითხოვოს.

„როგორც ჩანს, სასამართლო სისტემაში არაფერი შეცვლილა და მოსამართლეებმა კვლავ კონკრეტული დირექტივა მოიიღეს. საქმიდან ცალსახად ჩანს, რომ დაირღვა დაცული ტერიტორიების შესახებ კანონი. სასამართლოც საკმაოდ დიდხანს იკვლევდა მტკიცებულებებს, დაიკითხნენ სპეციალისტებიც და რომ არა სპეციალური მითითებები, არსებულ მასალაზე დაყრდნობით, ასეთი გადანყვეტილების მიღება არ მოხდებოდა. თანაც იკვეთებოდა მოსამართლეების მოუშვადებლობა, მათ არ ესმოდათ საქმის არსი, მტკიცებულებების კვლევა კი ორივე მხარისთვის მოულოდნელად დასრულდა“.

ასოციაციის წარმომადგენლები იურიდიულთან ერთად საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებასაც გეგმევენ. „ვაპირებთ მივმართოთ უნევაში ორჰუსის კონვენციასა და ბერნის კონვენციას, რომელთა წინაშეც საქართველოს გარემოსდაცვითი ვალდებულებები აქვს ნაკისრი“.

მოსამართლეები ნანა ჭიჭილეიშვილი, თეა ძიმისტარაშვილი და თეა თადაშვილი მტკიცებულებებს თითქმის ორი თვე იკვლევდნენ. ჰიდროელექტროსადგურის გეგმა, რომელსაც მშენებელი კომპანიის დირექტორი „გარემოსთან ყველაზე მეგობრულ ჰესს“ უწოდებს, ყაზბეგში, დარიალის ხეობაში მდინარე თურგის კალაპოტში 8 კმ-ის სიგრძეზე წყლის მხოლოდ 10 %-ის დატოვებას ითვალისწინებს. წყლის დანარჩენი ნაწილი სადერივაციო გვირაბსა და მილებში მოექცევა.

პროექტი საქართველოს მთავრობასა და კომპანია „დარიალი ენერჯის“ შორის 2011

წლის 19 მაისს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ხორციელდება. ჰესის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზმ) სამეცნიერო კვლევითმა ფირმა „გამამ“ მოამზადა. „ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის“, – ვკითხულობთ გზმ-ის ანგარიშში. ამ ანგარიშის მიხედვით, 2011 წლის 28 ნოემბერს გარემოს დაცვის სამინისტრომ დადებითი ეკოლოგიური დასკვნა გასცა.

„მწვანე ალტერნატივამ“ მშენებლობის ნებართვის კანონიერებასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიმართა. მათი მტკიცებით, სამინისტრომ დასკვნა პროცედურული ვადებისა და წესების დარღვევით დაამტკიცა და ორგანიზაციას ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების საშუალება არ მიეცა, რისი უფლებაც კანონით ჰქონდა.

ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ სამინისტროდან მათი მოთხოვნის შესაბამისად, წერილობითი პირობა მიიღეს, რომ გზმ-ის განხილვისას ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩართვის საშუალება მიეცემოდათ. სამინისტროს გზმ-ის დოკუმენტი კი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან, 18 ნოემბრიდან არანაკლებ 10 და არაუმეტეს 15 დღის ვადაში უნდა დაემტკიცებინა. ამასთან, წარმოების დასრულების თავდაპირველად მითითებული ვადა 4 ნოემბერი იყო და ის მოულოდნელად შეიცვალა, ამიტომ მათი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში დასკვნის დამტკიცების შემდეგ მივიდა.

გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენელი ნანა ზამთარაძე განმარტავს, რომ სამინისტროს თავისუფლად შეეძლო წარმოდგენილი დოკუმენტი ზუსტად მე-10 დღეს დაემტკიცებინა. ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი ნიკა ჭახნაკია კი ამბობს, არ იცის, რატომ ან როდის შეიცვალა ვადები.

სამინისტროს წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების დღესვე ასოციაციასთან გასაგზავნი შეტყობინება მომზადდა, თუმცა „ალტერნატივაში“ ეს წერილი მხოლოდ 28 ნოემბერს მიიღეს, როცა ნებართვა უკვე გაცემული იყო. საქალაქო სასამართლომ კი განხილვის საგნად არ მიიჩნია არც ეს გა-

რემოება და არც ის, რომ თავდაპირველად გამოცხადებული განხილვის ვადები მოგვიანებით მოულოდნელად შეიცვალა.

არასამთავრობო ორგანიზაციამ მონაწილეობა მიიღო „დარიალი ენერჯის“ მიერ მონაწილეობის წინასწარ საჯარო განხილვებში და თავისი შენიშვნები და მოსაზრებები წარადგინა. გზმ-ის შესახებ დებულების მიხედვით, მათი გათვალისწინება-გაუთვალისწინებლობის შესახებ განმარტებები მშენებელ კომპანიას გზმ-ის საბოლოო პროექტისთვის უნდა დაერთო. თუმცა, გზმ-ის მსგავსი დოკუმენტი არ ახლავს, სასამართლომ კომპანიისგან ეს ინფორმაცია მოითხოვა, თუმცა მოგვიანებით მათზე აღარ უმსჯელია.

ორგანიზაცია მიუთითებს, რომ მშენებლობა „დარიალი ენერჯიმ“ 2011 წლის სექტემბერში შესაბამისი ნებართვის გარეშე დაიწყო და ნებართვა გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის სამინისტროებმა დე-ფაქტო, ორგანიზაციის მხრიდან ინფორმაციის გამოთხოვიდან 2 თვის შემდეგ გასცეს. თუმცა, მშენებელი კომპანია ამას კატეგორიულად უარყოფს და ყველა დოკუმენტში, როგორც მშენებლობის ადგილას გამოკრულ ბანერზე, სამუშაოების დაწყების თარიღად ნოემბერია მითითებული.

„მწვანე ალტერნატივაში“ განმარტავენ, რომ მათთვის საჯარო განხილვებისას მიწოდებული გზმ-ის დოკუმენტი, რადიკალურად განსხვავდებოდა სამინისტროში დასამტკიცებლად წარდგენილი საბოლოო დოკუმენტისგან. საბოლოო დასკვნაში ჰესის მშენებლობისთვის განკუთვნილი ტერიტორიის ნაწილი – 2.64 ჰა – მაშინ მოქმედი კანონით, ყაზბეგის ეროვნული პარკის შემადგენლობაში იყო.

ნებართვის გაცემიდან 4 თვის შემდეგ პარლამენტმა ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორია შეამცირა. კანონპროექტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ, რომ დაცული ტერიტორია „ყაზბეგის ეროვნული პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე ჰიდროენერგეტიკული პროექტის განხორციელების ხელშეწყობის აუცილებლობის გამო“ შემცირდა. ამ შემთხვევაში საუბარი იყო არა 2.64 ჰექტარზე, რომელიც გზმ-ში იყო მითითებული, არამედ 8.77 ჰა-ზე. თუმცა, საბოლოოდ, 13 მარტს მიღებული ცვლილებით, დაცული ტერიტორიის



სტატუსი 8.77-ის ნაცვლად 20.36 ჰა-ს მოქსნა.

„დაცული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით, მისი ტერიტორიის შემცირება მხოლოდ საგანგებო შემთხვევაშია დასაშვები, რომელთა ჩამონათვალშიც ჰესის მშენებლობა არ შედის. ამასთან, კანონის მიხედვით, ამ ტიპის კანონპროექტის ინიცირების უფლება მხოლოდ გარემოს დაცვის სამინისტროს აქვს, ამ შემთხვევაში კი კანონპროექტი არაუფლებამოსილი პირის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ იყო წარმოდგენილი.

„დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი ირაკლი ჟორჟოლიანი ამბობს, რომ კომპანია ამ ტერიტორიაზე მშენებლობას არ აპირებს და ის უბრალოდ „პროექტის საჭიროებისთვისაა“ მითითებული, მიღები კი მინის ქვეშ გადის.

გარემოსდამცველების შეფასებით, პროექტით გამოწვეულ ზიანთან შედარებით, ქვეყნის მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი უმნიშვნელო იქნება.

სულ 11 კმ-ის სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იან მონაკვეთზე რადიკალურად შეიცვლება ლანდშაფტი და ხეობა ისტორიულად ჩამოყალიბებულ კულტურულ-ეთნოგრაფიულ ფასეულობასა და ტურისტულ მნიშვნელობას დაკარგავს. ირაკლი მაჭარაშვილი იურიდიული დარღვევების გარდა და ჰესის მშენებლობით მოსალოდნელი ეკოლოგიური ზიანის მნიშვნელობაზე საუბრობს. მისი განმარტებით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი არასაკმარის და არარელევანტურ კვლევებს ეყრდნობა.

„შეუსწავლეოა მდინარეში წყლის რაოდენობა. დაკვირვებები, რომლებსაც კომპანია ეყრდნობა, 1928-1940 და 1953-1986 წლებში ჩატარდა, 1928-40 წლების კვლევას ეფუძნება მდინარის ნატანი მასალის რაოდენობის მონაცემებიც. შესაბამისად, მოსალოდნელი ზიანი და სარგებელი სწორად არ არის გათვლილი. თუ მილს გარეთ მდინარის წყლის მხოლოდ 10 % დარჩება, ის უცილობლად გაიყინება. განადგურება მდინარის ეკოსისტემა, ნითელი ნუსხის კალმახი, შეიცვლება მიკროკლიმატი, ზიანი მიადგება ეკოტურიზმსა და ამ სფეროში დასაქმებულ ადამიანებსაც, რადგან გაყინული მდინარისა და გუბების სანახავად აქ არაინ ჩამოვა, „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონით იკრ-

ძალბა ისეთი ქმედებები, რომლებიც შეუქცევადი ხასიათის ზიანს აყენებს გარემოს, ეს კი სწორედ ასეთი ქმედებაა“, - აცხადებს მაჭარაშვილი.

„დარიალი ენერჯის“ წარმომადგენელი ირაკლი ჟორჟოლიანი გარემოსდამცველების არგუმენტებს უსაფუძვლოს უწოდებს და ამბობს, რომ მათ საკმარისი კვლევები ჩატარეს და იქ საერთოდ ვერ აღმოაჩინეს ნითელ წიგნში შეტანილი თერგის კალმახი. „ეს არის დავა დავისთვის. არავითარი საფუძველი არ არსებობს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ზიანი მინიმალური იყოს. ვაკეთებთ სპეციალურ თევზსავალსაც, რომ თუ თევზი იქნება, მან არსებობა მოახერხოს“.

**ეს არის დავა დავისთვის. არავითარი საფუძველი არ არსებობს. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ზიანი მინიმალური იყოს.**

ჟორჟოლიანის ნათქვამს აბსურდს უწოდებს სტეფანწმინდელი შალვა ელოშვილი. მისი თქმით, ეს ნიშნავს, რომ ამ ადამიანმა მდინარესა და ხეობაზე საერთოდ არაფერი იცის.

პროცესის მიმდინარეობისას, მოსარჩეულეებმა 2003 წელს დაგეგმილი ერთ-ერთი ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული დოკუმენტები წარმოადგინეს. მათი მტკიცებით, ფირმა „მზეთა“, „დარიალი ენერჯის“ მსგავსად, სადერივაციო ჰესის მშენებლობას გეგმავდა და მისი პროექტი ლაგოდების დაცული ტერიტორიის საზღვრებში ხედებოდა. პროექტით, მილს გარეთ წყლის 25 % უნდა დარჩენილიყო. სამინისტრომ კი სწორედ იმ მიზეზებით არ გასცა დადებითი ეკოლოგიური დასკვნა, რომელთა დარღვევასა და უგულვებელყოფაზეც გარემოსდამცველები დარიალჰესთან დაკავშირებით მიუთითებენ.

უარყოფით გადაწყვეტილებას სამინისტრო ჰესის განლაგებითა და შინაარსით

ხსნიდა, ამბობდა, რომ ეს საქმიანობა გარემოსდაცვის სფეროში მოქმედი სამართლის ზოგად პრინციპებს ეწინააღმდეგებოდა, ჰიდროგეოლოგიური და ეკოსისტემის კვლევები არასაკმარისი იყო. ასოციაციის განმარტებით, ჰესის მშენებლობაზე უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის შესახებ ბრძანების ტექსტი მამუკა ივანიშვილის შედგენილია, რომელიც იმ პერიოდში გარემოს დაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი იყო და ამჟამად სასამართლოში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს.

6 დეკემბერს სასამართლომ გზშ-ს შესახებ შეკითხვები ეკოლოგიური ექსპერტიზის კომისიის წევრებსაც დაუსვა.

კომისიის თავმჯდომარემ, თეიმურაზ ტბელიაშვილმა განაცხადა, რომ ის მხოლოდ მისი სპეციალობის – ჰიდროლოგიის საკითხებზე აგებდა პასუხს და დანარჩენი მას არ ეხებოდა. „გავეცანი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს, იქ მითითებული „გამოყენებული მასალები“ გადავამოწმე და წარმოდგენილი ჰიდროლოგიური ინფორმაციის მიხედვით მივიჩნიე, რომ ამ შემთხვევაში ჰესის მშენებლობა შესაძლებელი იყო“, - ამბობს ტბელიაშვილი.

ირაკლი მაჭარაშვილის შეკითხვაზე, შეძლებს თუ არა კალაპოტში დარჩენილი მდინარის წყლის 10% (როგორც ეს ჰესის პროექტითაა გათვალისწინებული) ნატანი მასალის გატანას, ჰიდროლოგმა ტბელიაშვილმა განაცხადა, რომ ეს ვერ მოხდება. რადგან მდინარეს ზოგჯერ ახლაც კი დიდი დრო სჭირდება მისი და მისი შენაკადების მიერ ნატანი მასალის გასატანად.

მოსამართლეები დაინტერესდნენ, იყო თუ არა 25 წლის წინ ჩატარებული კვლევები 2011 წლისთვისაც რელევანტური. ტბელიაშვილის განმარტებით, ჰესის მშენებლობისთვის წყლის რაოდენობის ზუსტი ცოდნა აუცილებელია, თუმცა, იმდროინდელი კვლევები მრავალწლიანი პერიოდის ზოგად სურათს მაინც აჩვენებს. ტბელიაშვილმა სასამართლოს ვერ დაუდასტურა, რომ პროექტის განხორციელების შედეგად წყლის ეკოსისტემა არ გაუარესდება.

კომისიის სხვა ექსპერტებმაც განაცხადეს, რომ გადაწყვეტილება მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის მიხედვით მიიღეს, რადგან პროცედურა ადგილზე



დარიალჰესის მშენებლობა. ოქტომბერი 2012

გასვლის, დაკვირვების ან სხვა ტიპის შემოწმების საშუალებას არ იძლევა. ერთ-ერთი ექსპერტის თქმით, მათ გზის ნაკითხვა და შენიშვნების მომზადება 3-4 დღეში უნეფთ ხოლმე, რაც ამ საქმისთვის არარეალურად მცირე დროა.

ეკოლოგიური ექსპერტიზისა და ლიცენზირების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ჭახნაკიამ განაცხადა, რომ კანონი მათ არ ავალდებულებდა დამატებით, დამოუკიდებელი ექსპერტების მონევეს. თუმცა, გარემოსდამცველები ამტკიცებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში, კანონი მათ ამას არ უკრძალავს და სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ კონკრეტული დარგის სპეციალისტი მოეწვიათ.

ნიკოლოზ ჭახნაკიამ არ უარყო, რომ ჰესისთვის განკუთვნილი ტერიტორიისა და ეროვნული პარკის ნაწილის გადაკვეთის შესახებ მისთვის ცნობილი იყო.

„როცა აღმოვაჩინე, რომ ჰესის მშენებლობა დაცულ ტერიტორიაზე უნდა განხორციელებულიყო, ვაცნობე სამინისტროს. მეორე დღეს დავიბარე „დარიალი ენერჯის“ წარმომადგენლები. მათ მთავრობის 18 ნოემბრის განკარგულება მაჩვენეს, გადავამოწმე და აღნიშნული განკარგულება ნამდვილად იყო მიღებული, რის შემდეგაც დადებით დასკვნას მოვანერე ხელი“, – აცხადებს ჭახნაკია.

განკარგულება, რომელზეც ლიცენზირების დეპარტამენტის უფროსი მიუთითებდა, 2011 წლის 18 ნოემბერსაა გაცემული. ამ დოკუმენტით, ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე „დარიალი ჰესის“ მშენებლობისთვის საჭირო 87 737 კვ.მ მიწის ფართობის სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობაში გამოიყო.

მოსარჩელე მხარის იურისტი ირმა მახათაძე განმარტავს, რომ ეს თავისთავად კანონსაწინააღმდეგო აქტია და სამინისტროს მიერ „დაცული ტერიტორიების კანონის“ დარღვევას ვერ გაამართლებს.

„გამოდის, რომ მთავრობამ კანონსაწინააღმდეგო განკარგულება გამოცა. ის მინიმუმ ბათილად უნდა იქნას ცნობილი. ჩვენ სწორედ ამ საკითხზე მივმართეთ პროკურატურას და ეს განკარგულება პროკურატურისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებად იქცევა. ამ ტიპის განკარგულებაზე კონკრეტული პირი ხელს ვერ მოაწერდა, ეს პირდაპირ დანაშაულია, ამ შემთხვევაში კი პროკურატურამ გაარკვიოს, ვინაა პასუხისმგებელი“, – ამბობს „მწვანე ალტერნატივას“ ბიომრავალფეროვნების კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი.

სასამართლოსთვის ასოციაციის წარდგენილ დოკუმენტებში იყო ენერგეტიკის სამინისტროს ენერგეტიკული დეპარტამენტის უფროსის მოხსენებითი ბარათიც, რომელშიც მითითებულია, რომ დარიალჰესის პროექტი ყაზბეგის ეროვნულ პარკს კვეთს და დასამტკიცებელი ნუსხიდან ამოსაღებია, თუმცა დარიალჰესი სიაში მაინც დარჩა.

ამასთან, 2008 წელს მთავრობის მიერ განახლებადი ენერჯის წყაროების დამტკიცებულ ნუსხაში დარიალჰესის სიმძლავრე 50 მეგავატი უნდა ყოფილიყო, 2011 წლის მაისში მთავრობასა და კომპანიას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში კი ჰესის სიმძლავრე 110 მეგავატამდეა გაზრდილი.



ფოტო: გენანი ალბერნაშვილი

„დარიალი ენერჯის“ დირექტორი ზურაბ ალაგიძე ამბობს, რომ თავდაპირველად ისინი 70 მეგავატამდე სიმძლავრის ჰესის აშენებას გეგმავდნენ და ამ მონაცემების 110 მეგავატამდე გაზრდა სწორედ ენერგეტიკის სამინისტროს მოთხოვნით მოხდა.

ზურაბ ალაგიძე „ლიბერალთან“ სასამართლო პროცესის გამო შექმნილ პრობლემებზე საუბრობს. პროექტის დაფინანსება ამ ეტაპზე შეჩერებულია და ყაზბეგშიც მხოლოდ უმნიშვნელო სამუშაოებიღა მიმდინარეობს.

„ჩვენი ძირითადი პარტნიორები ქართული ბანკები იყვნენ, ეს უპრეცედენტო პროექტი იყო და საკმაოდ დიდი დაფინანსებაც გვქონდა, რომელიც, ფაქტობრივად, შეწყვეტილია. იმ განცხადებების ფონზე, რომლებსაც „მწვანე ალტერნატივა“ აკეთებს და იმის გამო, რომ სასამართლო დავა ამდენხანს გაგრძელდა, დაფინანსება დევარგეთ. ბანკები მეტ რისკს ხედავენ, მეტად ფრთხილობენ. გვიჭირს იმის წარმოდგენა, როგორღა უნდა მოვიპოვოთ თავიდან ეს დაფინანსება და საერთოდ ვის რაზე მოვთხოვოთ

**„ვფიქრობ, ახალი ხელისუფლების ქმედებები არ ემთხვევა მათ წინასაარჩევნო დაპირებებს, ვერ ვხედავთ, რომ მათთვის პრიორიტეტული იყოს გარემოს დაცვა, დარიალჰესის საქმე ამ პროცესის ერთ-ერთი ინდიკატორია“.**

პასუხი, დავის საგანთანაც ჩვენ არაფერ შუაში ვართ“.

ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდის“ წარმომადგენელი შოთა ბუჩუკური ამბობს, რომ ყაზბეგში ჰესის მშენებლობის შეწყვეტის მოთხოვნით ხელმოწერების შეგროვება უკვე დაწყებულია.

მიმდინარე პროცესში გარემოს დაცვის სამინისტროს ახალი შემადგენლობის როლზე ირაკლი მაჭარაშვილი საუბრობს. „მას მერე, რაც მთავრობის იმ უკანონო განკარგულების შესახებ ცნობილი გახდა, სამინისტროს ახალი შემადგენლობა ამ პროცესს უნდა გამოიჯვნოდა. ჩვენ ხომ მათი მიღებუ-

ლი გადაწყვეტილების გაუქმებას ვითხოვთ. ამ შემთხვევაში მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხიც დგას. გამოდის, რომ სამინისტრო წინა მთავრობისა და წინა შემადგენლობის ადვოკატია და მათ უკანონო გადაწყვეტილებას იცავს“, – ამბობს მაჭარაშვილი.

მისი თქმით, ახალ მინისტრს კონკრეტული პოზიცია უნდა გამოეხატა: „ვფიქრობ, ახალი ხელისუფლების ქმედებები არ ემთხვევა მათ წინასაარჩევნო დაპირებებს, ვერ ვხედავთ, რომ მათთვის პრიორიტეტული იყოს გარემოს დაცვა, დარიალჰესის საქმე ამ პროცესის ერთ-ერთი ინდიკატორია“.



ფოტო: ლევან სინკლერიძე



# პროსტიტუცია პროსტიტუციის მიღმა

16-17 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა გონიოსა და ბათუმში, შემდეგ კი, თბილისში, გოგოლის ქუჩაზე, პროსტიტუციისთვის ადგილის გამოყოფის ბრალდებით ათი პირი დააკავეს. დანაშაული, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლით ისჯება, 4 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სამართალდამცავთა ბოლოდროინდელი გააქტიურების მიუხედავად, დაწესებულებები, რომლებიც ძირითადად სექს-მუშაკებისა და მათი კლიენტებისთვისაა გათვალისწინებული, ფუნქციონირებას კვლავ განაგრძობს.

გიორგი ჭეიშვილი

12 საათი სრულდება. სიბნელეა, თოვს და თანაც ცინავს. ქუჩებში მანქანების მოძრაობა „შეთხლებულია“. ავტომობილთა უმეტესობას სახურავზე ტაქსის ყვითელი ტრაფარეტი ადევს და მათ მფლობელებს ან შეგვიანებული მგზავრი მიჰყავთ, ან კლიენტს ეძებენ. ზოგიერთი გრძელი სამუშაო ღამის მოლოდინში გაჩერებულია და ისვენებს, ნაწილი კი, როგორც თავად ამბობენ – „დროს საინტერესო კამპანიაში ატარებს“.

თბილისის ერთ-ერთი ცენტრალური გამზირის ჩაყოლებაზე, ერთმანეთისგან რამდენიმე მეტრის მოშორებით, ტროტუარზე ქალბატონები დგანან. ქურთუკის საყელოს ისწორებენ და გასათბობად აქეთ-იქით დადიან. მათი ნაწილი იქვე გაჩერებულ ტაქსებში ზის და დაორთქლილი მინების მიღმა მძღოლს ესაუბრება.

სიცივის მიუხედავად სექს-მუშაკები „სამსახურში“ მაინც გამოდიან. როგორც თავად ამბობენ, სხვა გამოსავალი არ აქვთ.

ნანა 38 წლისაა, რამდენიმე წელი თავს პროსტიტუციით ირჩენს, ქუჩაში დგომა არ უხარია, კარგი სამსახურის პოვნა უნდა, აი, ისეთის, ხელფასი რომ ეყოს – „ძირითადად სულ აქ ვდგავარ, როგორც წესი, ამ ადგილას 20-25 ქალი ვიკრიბებით, ახლა ზამთარია და ცოტანი გამოდიან. ზაფხულში ეს ქუჩა სულ სავსეა. როცა მანქანაში გვინევს სექსი 20-30 ლარად დავდივართ, თუ სასტუმროში, მაშინ – 70. ნომერი 20 ლარი ღირს, ქალი – 50. ოფიციალურ სასტუმროებში დავდივარ და არა ბორდელებში. ვაგზალზე ახლახან რომ აყარეს ხალხი, იქ ისეთი სიბინძურე და ანტისანიტარიაა, არც მე მივალ და არც კლიენტს მივიყვან; თან არც გათბობაა“.

პროსტიტუციის არალეგალურობის მიუხედავად ამ ქუჩის „მასპინძლებს“ მუშაობას არაფერს უკრძალავს, „პატრული ხმას არ იღებს, ალბათ წესრიგს არ ვარღვევთ, დანაშაულის შემთხვევაში პოლიცია ყურადღებიანია. არაფერს ვაშავებთ, ვდგავართ ჩვენთვის და რას გვეტყვიან? არც

იმათ მოსწონთ, სიტუაციას რომ ვაბინძურებთ აქ, მაგრამ არ გვიშლიან, ვეცოდებით ალბათ“, – მისხნის ნანა და ამატებს, რომ პროსტიტუციის ლეგალიზების შემთხვევაში, თუკი სპეციალურ დაწესებულებებში მოუწევთ მუშაობა, ბევრად უფრო დაცულად იგრძნობენ თავს, რადგან მიუხედავად იმისა, რომ „აქ გოგოებს თითქმის არ ცემენ, სიტყვიერი შეურაცხყოფის შემთხვევები მაინც არის, თანაც, ჯანმრთელობის კუთხითაც უკეთესია – მე ჩემი გინეკოლოგი მყავს, თუ აბორტი მჭირდება, ის მიკეთებს, პრეზერვატივის გარეშეც არ ვმუშაობ, მაგრამ აქ ისეთებიც არიან, რომლებიც რეზინას არ იყენებენ, ეს დაუშვებელია და მე თუ მკითხავთ, სულაც დანაშაულია“.

„დედას გეფიცები ძალიან მრცხვენია რასაც ვაკეთებ, სამსახურის შოვნა და აქედან ნასვლა მინდა. ხომ შეიძლება ისეთი ცხოვრება მქონდეს, როგორც ყველა ნორმალურ ქალს უნდა?! ვავიყინე, ფეხები გამეყინა, მაგრამ რა ვქნა, ამ გაჭირვებას სად გავექცე?!“, – ამბობს ნანა.

ოდნავ მოშორებით მანქანების რიგია, ტროტუარის გვერდით მიმავალი მძღოლები კი გაბმული სიგნალით ეხმიანებიან ახალგაზრდა გოგოს, რომელიც ასაკოვან კლიენტებს სხვადასხვა გზებით იცილებს თავიდან: ზოგს ეუბნება არ ვმუშაობო, ნაწილს უხსნის მელიდებიანო, პარალელურად კი ტელეფონზე საუბრობს – „პავლოვზე ვარ ბიჭო, მოდი, თუ გინდა, ვააა“. ხმაურზე საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულიდან მამაკაცი იხედება, გოგონას უყურებს, ხელს იქნევს და ფარდას სწევს.

„თავისი სასტუმროიანად ერთი საათი – ასი ლარი, სექსი, ორალი არა“, სწრაფად „არაკრავებს“ და ამატებს, რომ შეუძლია 20 ლარი დააკლოს „განწყობს? თუ გინდა – გინდა, თუ არადა – დასვიდანია. სულ ასე არ ვმოძრაობ, ზოგჯერ ჩემი მანქანითაც გამოვდივარ და ვერავინ ვერ მცნობს, მოკლედ მოიფიქრეთ“, – წინადადებას ასრულებს და მობილურს პასუხობს.

ქუჩის ბოლოს მაია დგას. ისიც, ნა-

ნას მსგავსად, ფსევდონიმს იყენებს და ნამდვილ სახელს არავის უმხელს. იუბილარია, 40 წლის გახდა, თუმცა დაბადების დღის აღნიშვნის ნაცვლად სიცივეში კლიენტს ელოდება.

„ფასი მოლაპარაკებითაა, ვისთვის როგორ, რა! დიდი სტაჟი არ მაქვს, მეორედ ხდება ჩემ ცხოვრებაში ასე, რომ ქუჩაში დაბრუნება მომინია. ერთ-ერთ კომპანიაში ვმუშაობდი, თუმცა, კონტრაქტს ვადა გაუვიდა და სამსახურის გარეშე დავრჩი. ბინა არ მქონდა და ბანკის კრედიტი ავიღე – 10 ათას დოლარამდე, რა ვიცოდი, ასეთ დღეში თუ ჩავვარდებოდი?! ვალს გავისტუმრებ და აქ გამჩერებელი არ ვარ. ღმერთმა დამიფაროს, კიდევ რომ მომიწიოს პანელზე დაბრუნება“, – ჰყვება მაია.

მაია პროსტიტუციის ლეგალიზების მომხრეა, თუმცა მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნება თუკი ეს პროფესია სულ არ იარსებებს და ამ სფეროში ჩართულ ქალებს ალტერნატიულ სამსახურში დაასაქმებენ. მისი აზრით, სექს-მუშაკების სექსობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე შემონემა აუცილებელია, რადგან ბევრს იმის საშუალებაც კი არ აქვს, რომ ექიმთან მივიდეს და საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობა აკონტროლოს.

„საზოგადოებამ ყველაფერი კარგად იცის და ჩვენს პრობლემებზე თვალს ხუჭავენ. ეს პროფესია ყველა ქვეყანაშია და მისი აღმოფხვრა საუკუნეების მანძილზე ვერ მოხერხდა. პოლიცია ყოველთვის მშვიდად არ უყურებს იმას, რაც აქ ხდება. როგორც მი-თხრეს, ამ ზაფხულს აყარეს გოგოები და 400-ლარიანი ჯარიმები გადაახდევინეს, ესაა გამოსავალი? ცოდოები არიან, 50-60 წლის ქალი რომ დადგება ქუჩაში, იმან რა უნდა იშოვოს, ან 20 წლის გოგო 5 თვის ბავშვს რომ დატოვებს და აქ გამოვა, საცოდაობა არაა? თუ ამ ხალხს არც ლეგალურად ამუშავენ და არც არალეგალურად, სხვაგან დაასაქმონ. მათი პრობლემებით არაფერს ინტერესდება“, – ამბობს მაია.

დამშვიდობებისას საკუთარ დაწერილ ლექსს გვიკითხავს; დარწმუნებულია, რომ ადრე თუ გვიან პროსტი-

ტუცისაშვილის შექმნა და წიგნს თუ არა, პატარა ბროშურას მაინც გამოსცემს.

სექს-მუშაკების ნახვა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზეცაა შესაძლებელი, სადაც „მინი მარკეტიდან“ გამოსული ორი ასაკოვანი ქალბატონი „დასეირნობს“. „ვმუშაობთ, აქ ჩვენს მეტი არავინაა“, ერთ-ერთი მეორეს ხელკავს უყრის და იმავე მაღაზიაში ბრუნდებიან, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ გამოვიდნენ.

საინფორმაციო სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრ „თანადგომის“ წარმომადგენლის, არჩილ რეხვიაშვილის თქმით, საქართველოში პროსტიტუციით დაკავებული პირები ორ ძირითად ჯგუფად – ქუჩაში და ბორდელში მომუშავე სექს-მუშაკებად იყოფიან. ქუჩაში მდგომი ადამიანები ყველაზე მეტად დაუცველები არიან, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც მათზე ძალადობენ – მომხადარი ფაქტის სასამართლო დავამდე მიყვანისგან სექს მუშაკები თავს იკავებენ.

„პროსტიტუციაში ჩართულ ადამიანებს საინფორმაციო ბუკლეტებსა და პრეზერვატივებს ვანვით, ვატარებთ სამუშაო შეხვედრებს და ტრენინგებს, სადაც სექსობრივი გზით გადამდებ დაავადებებზე უფრო ვრცლად და დეტალურად ვესაუბრებით. ელიტარულ დაწესებულებებში ასეთი დაავადებების მაჩვენებელი შედარებით ნაკლებია, რადგან, ინფექციებზე შემოწმება შედარებით რეგულარულია და სექს-მუშაკებს პრეზერვატივის მოხმარებას ავალდებულებენ. იაფფასიან დაწესებულებებში დაავადებების რიცხვი შედარებით მაღალია“, – აღნიშნავს არჩილ რეხვიაშვილი.

მისი თქმით, აივ ინფექციის შემთხვევები ჯერჯერობით ისეთი ხშირი არ არის, როგორც ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ სექსობრივი გზით გადამდები სხვა დაავადებები, როგორცაა ჰონორეა და სიფილისი, მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ხშირია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2011 წელს ქვეყანაში სიფილისით – 491,

ჰონორეით კი 662 ადამიანი დაინფიცირდა. 2010 წელთან შედარებით, ორივე დაავადების მაჩვენებელი თითქმის 100 ერთეულითაა შემცირებული.

ამავე სამსახურის მონაცემებით, გასულ წელს რეგისტრირებული აბორტების რიცხვმა 20-დან 44 წლამდე ქალებში 28 760 შეადგინა, საერთო ჯამში კი 2011 წელს რეგისტრირებულ აბორტთა რაოდენობა 30 634 იყო.

არჩილ რეხვიაშვილი ამბობს, რომ საქართველოს მსგავსად არის ქვეყ-

**■ აივ ინფექციის შემთხვევები**

**ჯერჯერობით ისეთი ხშირი**

**არ არის, როგორც ჩვენს**

**მეზობელ ქვეყნებში, მაგრამ**

**სექსობრივი გზით გადამდები**

**სხვა დაავადებები, როგორცაა**

**ჰონორეა და სიფილისი,**

**მსოფლიოს სხვა ქვეყნების**

**მსგავსად, საქართველოშიც**

**ხშირია.**

ნები, სადაც ხელისუფლება პროსტიტუციის თემაზე თვალს ხუჭავს და ეს პროცესი თვითდინებაზეა მიშვებული.

„იმ ქვეყნებში, სადაც პროსტიტუცია ლეგალურია, ყველგან ალკვეთილია და იზღუდება ქუჩის პროსტიტუცია. თუკი ჩვენთან პროსტიტუციის ლეგალიზება მოხდება, დაავადებების კუთხით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის აღება და ამ მუშაკებისთვის გარკვეული ლოგიკური პერიოდულობით სამედიცინო გამოკვლევების ჩატარება და მკურნალობა მოუწევს. ლეგალიზაციაზე მუშაობა ერთი ხელისმომხმით არ შეიძლება. აუცილებელია სამუშაო ჯგუფის შექმნა, მთელი რიგი ეტაპების გავლა და გამოკვლევების ჩატარება. ეს ხალხი რეალურად

არსებობს, მათ თავიანთი საქმიანობები და პრობლემები აქვთ, ისინიც ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან და სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს თავის მოქალაქეებზე“, – მიიჩნევს არჩილ რეხვიაშვილი.

ქუჩის პროსტიტუციის გარდა, თბილისში არაერთი ისეთი დაწესებულებაა, სადაც სექს-მუშაკთა მომსახურებით სარგებლობაა შესაძლებელი. ერთ-ერთ გარეუბანში, რამდენიმე-სართულიანი სასტუმროს გვერდით, პატარა „კაფე-ბარი“ აქვს მიშენებული. შენობის შესასვლელში რამდენიმე უცხოელი მამაკაცი დგას, ე.წ. „კაფე-ბარში“ კი სიცივით შეწუხებული 15-მდე სექს-მუშაკი გამათბობელს ფიცხება.

„ყველა თავისუფალია, აირჩიე და დაელაპარაკე“, „შემობრძანდით რა, ცივა!“, „აქ უფროსი არ გყავს. ყველა თავის თავის უფროსია, ამოირჩიეთ, რომელიც გინდათ, ერთი საათის ფასი ნომრიანად 100 ლარია, სასტუმრო აქაა და ამიტომაც ყველანი აქ ვმუშაობთ, წამოსვლით სხვაგან არავინ წამოვა“, – ისმის რეპლიკები. „კაფე-ბარიდან“ ორასიოდ მეტრის მოშორებით პოლიციის გამჭვირვალე განყოფილებაა.

ამავე რაიონში, ერთსართულიანი სასტუმროს წინ ტაქსი დგას. კლიენტის დანახვაზე მანქანიდან ნათია გადმოდის – „ორი გოგო თავისი სასტუმროთი, ჩვეულებრივი სექსი 1 საათი – 130 ლარი; 30 ლარი ნომერი ღირს, ერთი გოგო – 50. სასტუმროს გარდა სხვაგან არ დავდივართ, თუ წასაყვანად გინდათ ვინმე, გზას ჩაუყვით, ზაპრავკასთან დგანან გოგოები“, – გვიხსნის ნათია და მანქანაში ბრუნდება.

„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ იურისტი გაგი მოსიაშვილი განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით, პროსტიტუცია მხოლოდ ადმინისტრაციული სასჯელის დადების საფუძველი შეიძლება გახდეს, რაც ნახევარ მინიმალურ ოდენობამდე, ანუ 20 ლარამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს.

„ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, პროსტიტუციისათვის სადგომის დათმობა და მასში ადამიანის იძულებით ჩაბმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია. როდესაც სექს-მუშაკები ძალადობის მსხვერპლი ხდებიან, ეს თავისთავად პიროვნების მიმართ განხორციელებული კანონსაწინააღმდეგო ქმედებაა და ცალკე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველია. ის, რომ ამ ადამიანების მიმართ ძალადობენ და ეს დაუსჯელი რჩება, ალბათ იმათ უნდა დავაბრალოთ, რომლებსაც ასეთი რამ შეემთხვათ და არ აცხადებენ. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, ჩვენ არ გვაქვს კერძო ბრალდების საქმეები, როდესაც ფაქტზე გამოძიების დასაწყებად მხოლოდ დაზარალებულის ჩვენებაა საკმარისი. ჩვენს რეალობაში ყველა დევნა საჯარო სისხლის სამართლებრივი დევნაა“, – აცხადებს გაგი მოსიაშვილი.

მისივე თქმით, პროსტიტუციის ზედამხედველობას არცერთი სახელმწიფო სტრუქტურა არ ახორციელებს, ლეგალიზების შემთხვევაში კი იზრდება სექს-მუშაკების უსაფრთხოება და იმ ადამიანებისთვის, რომლებიც თვლიან, რომ მეძავეებს მათი სურვილისდამიხედვით შეუძლიათ მოექცნენ, ურთიერთობის უფრო ცივილიზებული ფორმა იქმნება და „ნაკლები საფრთხეა ჯანმრთელობის მხრივაც“, – მიიჩნევს იურისტი.

ქალაქის ცენტრალურ უბანში, ერთმანეთის გვერდიგვერდ რამდენიმე უცხოური ბარ-რესტორანია გახსნილი. აქვეა კლუბებიც, ისიც უცხოური. კლიენტებიც ძირითადად უცხოელები არიან: თურქები, ირანელები და სხვადასხვა ქვეყნიდან საქართველოში ჩამოსული ფერადკანიანები. „კომპლექსის“ ცენტრში დაცვის რამდენიმე თანამშრომელი დგას და პერიმეტრს აკონტროლებს.

„სალამოს 10 საათისთვის ბარები იხსნება, ამ დროისთვის ვიკრიბებით, აქ ყველა „ზავიძენიაში“ არიან გოგოები. ქალაქგარეთ არავინ არ წამოვა, თბილისში სასტუმროში გადაიან,

თვითონ იღებენ ნომერს. 100 ლარზე ნაკლებად ვერავის წაიყვან, თან ქართველებს ნაკლებად მიჰყვებიან, მე არ მაქვს პრობლემა, მაგრამ ესენი ცოტა პრობლემური გოგოები არიან. თანხის გამო არა, აქ არსად არ შეგიშვებენ, ქართველი ხარ, სახეზეც გეტყობა, უცხო ენაზე რომ დაელაპარაკო, მაინც მიხვდებიან“, – გვისხნის ერთ-ერთი სექს-მუშაკი.

პროსტიტუციაზე, როგორც საზოგადოებრივ უსაფრთხოებასთან და ე.წ. საზოგადოებრივ მორალთან დაკავშირებულ საკითხზე საუბრისას, ფი-

## ■ „სექს-მუშაკებთან დაკავშირებით გვაქვს რეალობა, რომ ამ ხალხზე ცივილიზებული სამოქალაქო სამართალი არ ვრცელდება. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც კლიენტი როგორც უნდა, შეიძლება ისე მოექცეს.

ლოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ პროსტიტუციის ლეგალიზაციის მხარდასაჭერად, ისევე როგორც მის საწინააღმდეგოდ აუცილებელია გვექმნოდეს კონკრეტული არგუმენტები.


„თუ ავიღებთ საქართველოში არსებულ რეალობას, დიდი კვლევა არ სჭირდება იმის შემჩნევას, რომ ადგილები, სადაც მეძავის მომსახურების მიღებაა შესაძლებელი 2000-იან წლებთან შედარებით გაცილებით გაზრდილია. იმ პრობლემებიდან გამომდინარე, რასაც ეს სფერო ქმნის, პროსტიტუციის ლეგალიზაცია არა მის ნახალისებას, არამედ ამ სოციალური მოვლენისგან საზოგადოებრივი

უსაფრთხოების გარანტიების შექმნას ნიშნავს. თუ არ იქნება საზოგადოების კონსენსუსი, ამ კანონს ვერ მივიღებთ. მოქალაქეები უნდა დარწმუნდნენ პროსტიტუციის ლეგალიზაციის სიკეთეებში და იმაში, რომ ეს სიკეთეები უფრო მეტია, ვიდრე ის პოტენციური საფრთხე, რაც შეიძლება პროსტიტუციის დღევანდელ ფორმებში არსებობამ მოიტანოს“.

ლელა გაფრინდაშვილის თქმით, შეუძლებელია, სახელმწიფო იყოს სამართლიანი, თუ იქ არსებობს მარგინალიზებული და დემონიზებული ჯგუფები, რომლებზეც კანონი არ ვრცელდება – „სექს-მუშაკებთან დაკავშირებით გვაქვს რეალობა, რომ ამ ხალხზე ცივილიზებული სამოქალაქო სამართალი არ ვრცელდება. ესენი არიან ადამიანები, რომლებსაც კლიენტი როგორც უნდა, შეიძლება ისე მოექცეს. მათ არასდროს მოუვათ თავში, რომ ასეთი ფაქტები გაასაჩივრონ და თუ გაასაჩივრებენ, დამატებით გახდებიან ძალადობის მსხვერპლი. მიუხედავად იმისა, რომ ამ თემასთან დაკავშირებით შეიძლება არსებობდეს რელიგიური დოგმატი, მგონია, რომ აღნიშნულ საკითხზე საჯარო დისკუსიების გამართვა საზოგადოებისთვისვე იქნება კარგი, რადგან ის სოციალური ფენომენი თუ მოვლენა, რომელიც საკანონმდებლო სივრცეში ვერ თავსდება და კანონით ლეგალიზებული არ არის, ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს“.

დღეისათვის უცნობია, გააგრძელდება თუ არა შინაგან საქმეთა სამინისტრო პროსტიტუციის ხელშეწყობის პირების სამართლებრივ დევნას, ან როდის დადგება საკანონმდებლო ორგანოს დღის წესრიგში პროსტიტუციის ლეგალიზების საკითხი, თუმცა ფაქტია, რომ სექს-მუშაკებისა და იმ დაწესებულებების პოვნა, სადაც მათი მომსახურების მიღებაა შესაძლებელი, თბილისში საკმაოდ მარტივია, რიგით სექს-მუშაკებს კი მათგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მრავალი პრობლემა აქვთ, ბოლოს და ბოლოს, ღამით ქუჩაში ყინავს! **■**





[www.facebook.com/TalkShowLiberali](http://www.facebook.com/TalkShowLiberali)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოკ-შოუ "ლიბერალი" მსმენელს მიმდინარე მოვლენებზე, ფაქტებზე დაყრდნობილ, განსხვავებულ თვალსაზრისებს სთავაზობს.

გადაცემა მიუკერძოებლად და ობიექტურად საუბრობს ისეთ თემებზე, რომლებიც ქართულ მედიაში, როგორც ნუსი, მარგინალიზებულია.

გადაცემის მიზანია სადისკუსიო საკითხების სივრცის გაფართოება; იქნება ეს განათლების პოლიტიკა, ჯანდაცვა, სამართალი, ქსენოფობიის და ფუნდამენტალიზმის ნიშნები ქართულ საზოგადოებაში, უმცირესობის წარმომადგენლების უფლებების შელახვა და სხვა.

ეთერში გასვლის დრო: ყოველი სამუშაო დღე - 19:00

განმეორებით: ყოველი სამუშაო დღე - 02:00



ტოკ-შოუ "ლიბერალის" ავტორები და წამყვანები:



შორენა შავერდაშვილი

ნინო ბექუშვილი

ლიკა ზაკაშვილი

ნინია კაკაბაძე

თინა ყიფშიძე

# ხატომ უნდა დავეჭიხოთ მხახი ბაჩკაელების ხებჯიხებს?



**ლელა რეზიაშვილი**  
ცენტრალური ევროპის  
უნივერსიტეტის  
დოქტორანტი

ცხრა წელია, ვცხოვრობთ სისტემაში, სადაც სახელმწიფო გიცავს ყველასგან და ყველაფრისგან, მაგრამ სახელმწიფოსგან არავინ გიცავს. არ ვიცი, რას გვპირდება ახალი პოლიტიკური რეალობა, მაგრამ, გარემოვაჭრეების დევნის გაგრძელება მაფიქრებინებს, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი ისევ დაუცველია სახელმწიფო ძალადობის წინაშე.

გარევაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების ერთ სტატიამი განხილვა რთულია, თუმცა ჩემი მიზანი არა ამომწურავი სურათის დახატვა, არამედ საზოგადოებრივი ინტერესის, და შესაძლოა, სოლიდარობის მობილიზებაა. ჩემი აზრით, გარევაჭრობის აკრძალვის მაგივრად საზოგადოებამ მხარი უნდა დაუჭიროს გარევაჭრობის რეგულირებას.

გარემოვაჭრეები საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე დაუცველ ჯგუფს წარმოადგენენ და მათი უფლებები ამჟამად ყოველდღიურად ირღვევა.


## ვინ არის ბარამოვაჭრი?

„ლიბერალი“ დაიბეჭდა ანი ჭანკოტაძის სტატია, რომელიც კარგად აღწერს გარემოვაჭრეთა მდგომარეობას. გარევაჭრობაზე საუბრისას უნდა გამოვყოთ ლეგალურად და არალეგალურად მოვაჭრეები. დღეს ლეგალურად მოვაჭრეებიც ძალიან ღრმა სოციალური პრობლემების წინაშე დგანან, თუმცა არალეგალურად მოვაჭრეები საზოგადოების ალბათ ერთ-

-ერთი ყველაზე მონყვლადი ჯგუფია, მონყალბების მაძიებელთა გვერდით.

რა განსხვავებაა ლეგალურ და არალეგალურ მოვაჭრეს შორის? კანონი ლიცენზიის გარეშე ქუჩაში ვაჭრობას კრძალავს, თუმცა ინდივიდუალური ლიცენზიები მხოლოდ მთავრობასთან დაახლოებული კომპანიებისთვის გაიცემოდა. ამგვარი არბიტრარული ლიცენზირების კარგი მაგალითია ეგრეთ წოდებული საკვირაო ბაზრობები, რომელიც თბილისის ყველა უბანში მხოლოდ ერთი კომპანიის მიერ მარაგდება. მეორე მაგალითია ჯიხურების ქსელები, რომელთაც ასევე რამდენიმე კომპანია ფლობს. შესაბამისად, წვრილ გადაწყვეტილებებზე დამოკიდებული ათასობით ადამიანის გამოსავალი კანონისთვის თავის არიდება ან კერძო ბაზრებსა და ბაზრობებისთვის თავის შეფარებაა. კერძო ბაზრები ისეა ორგანიზებული, რომ ჰიგიენის, ქალაქში წესრიგის აღდგენის პრობლემებს არცერთი კრიტერიუმით არ აგვარებს. ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია მეტროსადგურ „დიდუბესთან“ არსებული ბაზარი, რომელიც სამარშრუტო ტაქსებისა და ავტობუსების გაჩერებებს შორის მდებარეობს, არც შემოღობილია, არც ინვენტარით უზრუნველყოფს მოვაჭრეებს, არც ჰიგიენური ნორმები დაცულია.

მთავარი პრინციპი, რაც დღეს ლეგალურ და არალეგალურ მოვაჭრეებს ანსხვავებს, დაბეგვრაა. ვინც ქირას ან სა-



შემოსავლო გადასახადს იხდის, მისთვის ვაჭრობა ნებადართულია. ლეგალურად მოვაჭრეებს ძალიან უჭირთ სავაჭრო ადგილის ქირის გადახდა, ქირის რაოდენობას სახელმწიფო არ არეგულირებს და შესაბამისად, მოვაჭრეების მდგომარეობა ბაზრის კერძო მფლობელების კეთილსინდისიერებაზე დამოკიდებულია.

არალეგალურად მოვაჭრეები მოვაჭრეთა ყველაზე უფრო გაჭირვებული ნაწილია, რომელსაც გადასახადის დაფარვა არ შეუძლია. მათ მდგომარეობას ბაზრების არასტაბილურობა და მერიის ზედამხედველების ყოველდღიური შევიწროება ართულებს. არალეგალურად მოვაჭრეთა



ფოტო: გიორგი ბოჭვაძე

უმეტესობამ ერთხელ ან რამდენიმეჯერ სცადა ბაზრებზე ან ბაზრობებზე ადგილის დაქირავება. ზოგს მოგება არ ეყო ადგილის შესანარჩუნებლად, ზოგ შემთხვევაში კი, ბაზრები დაიხურა და მოვაჭრეები ისევ ქუჩაში გამოყარეს. მერიის წარმომადგენლები ამ პრობლემებს საბაზრო ურთიერთობების არასტაბილურობას მიაწერენ. მათი გადმოსახედიდან ბაზრის მფლობელები კერძო პირები არიან და თუ შესაბამისი მოგება არ რჩებათ, შეუძლიათ ბაზრები დახურონ. მოვაჭრეებისთვის მსგავსი პროცესები ძალიან მტკივნეულია, რადგან მათ ბაზრებზე ადგილის მოსაპოვებლად ვალების აღება

უნევთ, სანამ მოგებას ნახავენ, ბაზრები იხურება და კიდევ უფრო შემცირებული რესურსების ამარა რჩებიან. დამატებით, მერიის ზედამხედველები მათი ქონების კონფისკაციას ახდენენ, რაც კიდევ უფრო ამცირებს შესაძლებლობას, რომ საქმიანობის ლეგალიზაცია მოახერხონ. დღეს გარევაჭრობა ძალიან განსხვავდება ვარდების რევოლუციამდელი პერიოდის გარევაჭრობისგან. ამ გზით ადამიანები არასდროს გამდიდრებულან, მაგრამ რალაც პერიოდში ოჯახების რჩენას ახერხებდნენ. წლების მანძილზე განცდილმა დევნამ და შევიწროებამ გარე მოვაჭრეების სოციალურ-ეკონომიკური

მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა. მათი უმრავლესობა ერთ ყუთ ბანანს, ერთ კალათა ვაშლს, მწვანილს ან ერთ ჩანთა წინდას ყიდის. მაგალითად, მემწვანილის ყველაზე მაღალი დღიური შემოსავალი 6-7 ლარია. ამ შემოსავლის მოსაპოვებლად კი ყოველდღე დილის რვა საათიდან საღამოს რვა საათამდე ზოგჯერ ოთხმოც წელს მიტანებული მოხუცები ქუჩებში დადიან, დასაჯდომად ვერ იცლიან, ზედამხედველების დანახვისას გარბიან და იმალებიან. მათი გადმოსახედიდან ვაჭრობა პატიოსანი შრომით მცირედი შემოსავლის მოპოვების ერთადერთი გზაა. ალტერნატივა პროსტიტუცია ან კრიმინალია (თავი

რომ დავანებოთ იმას, რომ ბევრისთვის ესეც კი არ არის რეალური ალტერნატივა). შესამბაისად, არალეგალურ მოვაჭრეთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის სიმძიმე თავისთავად საკმარისი მიზეზია იმისთვის, რომ საზოგადოებამ გარეევაჭრობის აკრძალვაზე უკეთესი გამოსავალი მოიძიოს.

## როგორ ირღვევა ბარამოვაჭრეთა უფლებები?

არა აქვს მნიშვნელობა, ვეთანხმებით თუ არა გარეევაჭრობის აკრძალვას, ის მეთოდები, რომლითაც არალეგალურ გარეევაჭრეებს სახელმწიფო უსწორდება, გაუმართლებელია. ადამიანის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევები კანონის აღსრულების პროცესთანა დაკავშირებული. უკანასკნელ წლებამდე გარეევაჭრობის კონტროლი პატრულს ევალებოდა. წელიწადზე მეტია, რაც პატრული მერიის ზედამხედველობის სამსახურმა ჩაანაცვლა. რამდენადაც მერიის ზედამხედველების და გარეევაჭრეების ურთიერთობას პირადად შეეხსნარი, სწორედ ამ უკანასკნელზე მოგასხენებთ.

რასაც მერიის ზედამხედველობის სამსახური აკეთებს, მსუბუქად რომ ვთქვათ, ძალაუფლების გადაჭარბებული გამოყენება, უფრო ზუსტი დახასიათება კი კორუფციის ლეგალიზება იქნებოდა. მერიის ზედამხედველებს აქვთ უფლება დააჯარიმონ ლიცენზიის გარეშე მოვაჭრე პირები, ხოლო პირადობის უქონლობის შემთხვევაში, შეუძლიათ მათი პროდუქციის კონფისკაცია.

როგორც კი ზედამხედველები თვალს ეფარებიან, გარეევაჭრეები ქუჩაში გამოდიან და პატარა ყუთებით და კალათებით მწკრივში დგებიან. გაფაციცებით ათვალისწილებენ ქუჩებს. ზედამხედველები დღეში რამდენიმეჯერ აკითხავენ ერთსა და იმავე ადგილს, კრეფენ რაც კი ხელში მოხვდებათ, წიხლით ყრიან ძირს ხილს და ბოსტნეულს, გაქცეულებს მისდევენ, ჭიდაობენ, სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას არ ერიდებიან. როგორც ერთმა ბებომ მომიყვა, სირბილისას ერთხელ წაიქცა, ფეხი იტყინა და გული წაუვიდა. ზედამხედველები შეშინდნენ და ირგვლივმყოფებს სასწრაფოს გამოძახებას უკრ-

ძალავდნენ; სახლში წავიდეს და იქ მოკვდეს, ჩვენ არ დაგებრალდეს ამის ცუდად ყოფნაო.

ხშირია შემთხვევები, როცა ზედამხედველები არ ცდილობენ ჯარიმის გამოწერას და, უბრალოდ, საქონელს ართმევენ გარემოვაჭრეს. პროდუქტის ჩამორთმევა არსად ფიქსირდება და ეს გარემოვაჭრეებმა ძალიან კარგად იციან. მათი აზრით, ზედამხედველები თავად იყენებენ პროდუქტს, ყიდიან ან სახლში მიაქვთ. ზუსტად არ ვიცი, სად მიდის ჩამორთმეული პროდუქტი, მაგრამ საკუთარი თვალთ არა ერთხელ ვნახე, რომ საქონლის კონფისკაციის დროს არავითარი ოქმი არ

**■ არა აქვს მნიშვნელობა, ვეთანხმებით თუ არა გარეევაჭრობის აკრძალვას, ის მეთოდები, რომლითაც არალეგალურ გარეევაჭრეებს სახელმწიფო უსწორდება, გაუმართლებელია. ადამიანის უფლებების ყველაზე მძიმე დარღვევები კანონის აღსრულების პროცესთანა დაკავშირებული.**

ინერება. რა შეიძლება ამ პროცესს დაერქვას, თუ არა ძალადობა და ხალხის კანონიერად ძარცვის ავტორიზაცია?

## რატომ რეპულირება?

თავისთავად, გარეევაჭრობის საკითხი მარტო ვაჭრობის რეგულაციასთან არ არის დაკავშირებული. პრობლემა ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური სიდუხჭირეა. დიდი განხილვა და დაფიქრება არ სჭირდება იმას, რომ პენსიონერებს თუ ადეკვატური პენსია და ჯამრთელობის დაზღვევა ექნებათ, არასაპენსიო ასაკის პირებს კი – დასაქმების პერსპექტივა, დიდიდან საღამომდე ქუჩებში ფარულად ხეტილი და ზედამხედველებისგან შეურაცხყოფის

ატანა აღარ მოუნვეთ. გარემოვაჭრეთა პრობლემების გადაჭრა პირდაპირ უკავშირდება სოციალური უზრუნველყოფის ხარისხის ზრდას, ანუ სახელმწიფოს შეუძლია, რომ მოძებნოს ალტერნატიული გზები სოციალურად დაუცველთა არალეგალურ ვაჭრობაზე დამოკიდებულების შესამცირებლად.

საქართველოს არ გააჩნია საკმარისი რესურსი სოციალურად დაუცველთა საჭიროებების უზრუნველსაყოფად. ახალი ხელისუფლება ამას უკვე კარგად ხედება და სოციალურად დაუცველებს აფრთხილებს, რომ ყველას პრობლემა ერთ დღეში ვერ გადაიჭრება. იქ, სადაც მოსახლეობის ნახევარზე მეტი გაჭირვებულია, ძალიან რთულია ყველა დაუცველისთვის საკმარისი სახელმწიფო დახმარების გამოწახვა, დაუცველთათვის კი ასევე შეუძლებელია დაცვა მანამ, სანამ „ავშენდებით და გავმდიდრდებით“.

ასეთ ვითარებაში, გარეევაჭრობის, როგორც ინდივიდუალური გამოსავლის აკრძალვა, ყველაზე არაგონივრული ნაბიჯია, რაც სახელმწიფომ შეიძლება გადადგას. უკვე არსებობს გარემოვაჭრეთა ლიგის მიერ შემუშავებული კანონპროექტი, რომელიც საზოგადოებრივი ინტერესების დაცვით გარეევაჭრობის აკრძალვის ნაცვლად მის რეგულირებას გვთავაზობს. პროექტი ლაშა ჩხარტიშვილის დახმარებით უკვე არაერთხელ წარუდგინეს წინა პარლამენტს, მალე კი იმედია ახალი პარლამენტიც განიხილავს.

ვფიქრობ, ასეთ ვითარებაში აუცილებელია მთელი საზოგადოება გააქტიურდეს გარემოვაჭრეთა უფლებების დასაცავად, მათი პრობლემების აქტუალობის წარმოსაჩვენად და გამოსავლის საძიებლად. მხოლოდ გარემოვაჭრეების მობილიზება საკუთარი უფლებების დასაცავად აქამდე არ იყო საკმარისი და შეიძლება არც ახლა აღმოჩნდეს. გარეევაჭრობის რეგულირების მხარდაჭერით დღეს ზოგადად სამართლიანობის აღდგენას, ადამიანების უფლებათა დაცვას, სოციალური უთანასწორობის შემცირებას ვუნწყობთ ხელს. ამიტომაც ვფიქრობ, რომ არ შეიძლება სამოქალაქო საზოგადოებამ კიდევ ერთხელ გამოიჩინოს გულგრილობა გარემოვაჭრეთა პრობლემების მიმართ. **■**

תוכנית המגוון והמרתקת ביותר בערוץ 13

# האיש והאישה

המגיש והמגישה המובילים של תוכנית "האיש והאישה"

מגיש: דניאל מילר, מגישה: אורנה כהן  
התוכנית "האיש והאישה"  
תחילת שידור: 8:00  
"האיש והאישה"



ფოტოკრეატივი

# სინათლის დასახლება

გიორგი გოგუა

---





# ფოტორეპორტაჟი

ფონიჭალის შესასვლელში ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტს, სადაც წლებია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ოჯახებთან ერთად ცხოვრობენ, უსინათლოთა დასახლება ჰქვია. დასახლებაში 300-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ცხოვრობს. საბჭოთა კავშირის დაშლამდე, დასახლებასთან ახლოს მოქმედი საწარმო-სამუშაოები ფუნქციონირებდა. თუმცა, ახლა ამ საწარმოებიდან თითქმის არაფერია შემორჩენილი და შენობების უმეტესობა დანგრეულია.

საცხოვრებელი კორპუსების გვერდით საჯარო სკოლა, კულტურის სახლი და უფუნქციოდ დარჩენილი დანგრეული შენობებია. თოვლით დაფარულ ქუჩებში აქა-იქ უსინათლოები სპეციალური ჯოხებით გადაადგილდებიან.

ადრე დასახლებასა და ქალაქს შორის

ერთგვარი კედელი იყო, ამის მიზეზი იქვე არსებული საწარმო იყო, რომელიც მოიშალა და ახლა როგორც იქაურები ამბობენ, ცდილობენ, ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის იცხოვრონ.

ზურაბ გურჩიანი კულტურის სახლის ფოლკლორული ანსამბლის წევრია. მეუღლესთან, ორ შვილთან და შვილიშვილებთან ერთად ერთოთახიან ბინაში ცხოვრობს. შვიდნი არიან. ოჯახის ერთ-ერთი წევრი სოციალურ პირობებზე საუბარს თავს არიდებს და ამბობს, რომ რამდენჯერმე ჟურნალისტებმა მათზე რეპორტაჟიც კი მოამზადეს, მაგრამ მათ ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა.

საუბარს თავს მეზობლად მცხოვრები ლილი ჭეიშვილიც არიდებს, თავის პატარა ბინაში მხოლოდ ფოტოების გადაღების უფლებას გვაძლევს, წლებია მარტო ცხოვრობს და თავს პენსიით ირჩენს. ბი-

ნაში ყველგან ბრაილით ნაბეჭდი ძველი წიგნები, ქართული პოეზია და სახარებაა დალაგებული.

საცხოვრებელი კორპუსების გვერდით, ოთხსართულიან შენობაში კულტურის სახლი ფუნქციონირებს, უსინათლოთა ფოლკლორული ანსამბლი საახალწლო კონცერტისთვის ემზადება და რეპეტიციებს კვირაში 2-ჯერ გადის. აქვე ბიბლიოთეკა და ხმოვანი წიგნის ჩამწერი სტუდიაა.

დანესებულებაში 150 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანია დასაქმებული და მათი შემოსავლის ერთადერთი წყაროც ესაა.

„ამ სახლის დირექტორი ვარ და 127 ლარი მაქვს ხელფასი, ამიტომ, ხანდახან ახალი წლის დადგომა არც მიხარია. ამ დღისთვის ვიღებთ ხოლმე ვალებს და მერე მთელი წელი გადახდა გვინევს. მიუ-





ხედავად ამისა, ჩვენი კულტურის სახლი მოტივირებულია, რომ ყოველ 27 დეკემბერს საინტერსო ღონისძიება ჩატაროს და აქ მცხოვრებ მოსახლეობას ჩვენი მუშაობის შედეგი აჩვენოს“, – ამბობს კულტურის სახლის დირექტორი ცირა ვეფხვაძე და დასახლებაში მცხოვრები ოჯახების ზოგადად მძიმე სოციალურ ფონზეც გვესაუბრება: „ბოლო პერიოდში სოცაგენტებმა განმეორებითი შემონმების შედეგად, ბევრ ჩემს მეზობელ ოჯახს სოციალური დახმარება შეუწყვიტეს. შეზღუდული შესაძლებლობის პირთათვის ადრე 22-ლარიანი დახმარება იყო გამოყოფილი, შემდეგ ეს 30 ლარი გახადეს, მაგრამ ვისაც სოციალური დახმარება ჰქონდა, მოუხსნეს. ახლა კი, უმეტესობას არანაირი დახმარება აღარ ეძლევა“.

*სოფო აფციაური*



# ფოტორეპორტაჟი





# პლანშეტების წილი

პლანშეტური კომპიუტერები უკვე ისეთ არატექნოლოგიურ სფეროშიც შეიჭრა, როგორც სიმფონიური ორკესტრია, ამ გაჯეტების მნიშვნელობა და პოპულარობა კიდევ ერთხელ დადასტურდა.

## წინა ნატროშვილი

ოსკარის წლევეანდელი დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ ბრიუსელის ფილარმონიის ორკესტრის დირექტორს, მიშელ ტაბაჩნიკს, რომელმაც ფილმ „არტისტის“ საუნდტრეკისთვის საპატიო ჯილდო აიღო, ჰკითხეს, მზად იყო თუ არა მისი ორკესტრი თამამი და არა-ორდინარული გადანწყვეტილებისთვის.

ინოვაციების და პროგრესის მოყვარული ორკესტრი ექსპერიმენტს დათანხმდა. უჩვეულო რეპეტიციის შემდეგ მუსიკოსები აღფრთოვანებულები იყვნენ: ტრადიციული ქალაქის პარტიტურის ნაცვლად მათ წინ პლანშეტური კომპიუტერები ედოთ.

ამ რეპეტიციის შემდეგ ბრიუსელის ფილარმონიის ორკესტრის ყველა წევრი ნოტებს უკვე Samsung GALAXY Note 10.1-ში ინახავს. მუსიკოსები ამბობენ, რომ პლანშეტი გაცილებით კომფორტულია, 600 გრამიან გაჯეტში მთელი რეპერტუარი ეტევა, ყველა ახალი ნაწარმოები მასში მომენტალურად ხვდება, თანაც პლანშეტის ტარება ყველგანა შესაძლებელი.

პლანშეტური კომპიუტერის გამოყენება გაცილებით ეკონომიურიც აღმოჩნდა: ორკესტრის მენეჯერები ამბობენ, რომ ქალაქის ნოტების შექენასა და კოპირებაზე თვეში დაახლოებით 25 ათასი ევრო ეხარჯებოდათ, პლანშეტებით ჩანაცვლების შემდეგ კი ეს დანახარჯები 10-ჯერ შემცირდა.

მე-19 საუკუნის შემდეგ სიმფონიური ორკესტრების სამუშაო პროცესში პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა, ამიტომ ბრიუსელის ფილარმონიის გადანწყვეტილება ერთგვარი გარღვევა იყო. სიმფონიური ორკესტრის ტექნოლოგიურ ინოვაციებთან დამეგობრების მსოფლიო

პრემიერა ბელგიის დედაქალაქის ცენტრში შედგა და არნახული წარმატებით დასრულდა.

იმ ფაქტით, რომ პლანშეტური კომპიუტერები უკვე ისეთ არატექნოლოგიურ სფეროშიც შეიჭრა, როგორც სიმფონიური ორკესტრია, ამ გაჯეტების მნიშვნელობა და პოპულარობა კიდევ ერთხელ დადასტურდა. ტაბლეტებმა კომპიუტერების ბაზარზე რევოლუცია უკვე მოახდინეს, 2012 წელმა ამ მოვლენის შედეგები უბრალოდ გაამყარა.

2010 წელს სტივ ჯობსმა უჩვეულო გაჯეტის, iPad-ის წარდგენით საზოგადოებას პოსტკომპიუტერული ეპოქის დაწყება მიულოცა. კომპიუტერმა მაგიდიდან ჯიბეებში ან ჩანთებში გადაინაცვლა და ადამიანებისთვის კიდევ უფრო მეგობრული გახდა. პლანშეტი ნებისმიერ სიტუაციაში მოსახერხებელია: ტრანსპორტში, კაფეში, საქმიანი მოლაპარაკებისას, მინდორში თუ პლაჟზე, განსაკუთრებით გართობისთვისა და ინფორმაციის მოხმარებისას. სწორედ ამიტომ, ტაბლეტი უკვე ბევრი მომხმარებლის ცხოვრების განუყოფელ ნაწილად და ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ მოწყობილობად იქცა. თავისუფალი უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების ლაბორატორიის ხელმძღვანელი ზვიად სულაბერიძე პლანშეტის პოპულარობის რამდენიმე მიზეზს გამოყოფს: „ეს არის, პირველ რიგში, სენსორული ეკრანი, რომელიც ადამიანებისთვის ყველაზე ბუნებრივი და მომხიბვლელი ინტერფეისია კომპიუტერთან ურთიერთობისას. მისი გამოყენება შეუძლიათ ბავშვებს, მოზულებს, ახალბედა მომხმარებლებს, რომლებსაც არც მაუსით და არც კლავიატურით

სარგებლობის სწავლა არ სჭირდებათ. მიმზიდველია პლანშეტის პორტაბლობა და ფორმაც, მისი ზომები და წონა. ტაბლეტს არ აქვს არცერთი ზედმეტი მოძრავი ნაწილი, რაც შეიძლება ყოველდღიური მოხმარებისას მოძვრეს, ან მოტყდეს, რის გამოც მოსახერხებელია მისი ყველგან ტარება. აღსანიშნავია ისიც, რომ დღევანდელი პლანშეტების ფასები თითქმის საშუალო ნეტშუქის ფასებს უტოლდება, შესაძლებლობებით და მოხერხებულობით კი სჯობნის მათ“, – აღნიშნავს ზვიად სულაბერიძე.

2012 პლანშეტებისთვის მართლაც განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა. ბრიტანული საცალო ქსელის Currys-ის წარმომადგენლები ამბობენ, რომ გასულ წელთან შედარებით პლანშეტებზე მოთხოვნა 1000%-ით გაიზარდა. კომპანიამ განაცხადა, რომ 10 დეკემბერს ყოველ წამში ერთხელ ერთ პლანშეტს ყიდა, წინასაშობაო დღეებში კი ეს ნივთი ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საჩუქარი იყო. პლანშეტების პოპულარობას ადასტურებს სტატისტიკაც: ანალიტიკური კომპანია IDC-ს პროგნოზით, წელს ტაბლეტების გაყიდვები 122,3 მილიონ ერთეულს შეადგენს, NPD-ს ანალიტიკოსები კი დარწმუნებულები არიან, რომ ამერიკასა და კანადაში პლანშეტების რეალიზაცია ნოუთბუქებისას გაუსწრებს და ბოლო კვარტლის მონაცემებით, მათი გამარჯვება ფაქტად იქცევა.

რაც შეეხება მოთამაშებს, IDC-ს წინასწარი მონაცემებით, Apple-ს წილი ოდნავ შემცირებულია: 2011 წელს მას ბაზრის 56,3% ეკავა, წელს ეს მაჩვენებელი 53,8%-ია, Android-ის წილი კი პირიქით – 39,8%-დან 42,7%-მდე გაიზარდა. კვლავაც ძალიან მცირე რჩება ბაზარზე



Microsoft-ის წილი, რომელიც 2,9% -ს შეადგენს.

პლანეტური ინდუსტრია წინ სწრაფი ტემპებით მიიწევს. ბაზარზე ყოველწლიურად უამრავი ახალი მოწყობილობა რჩება და მომხმარებლის არჩევანიც უფრო რთულდება. გაჯეტების მოყვარულები, როგორც წესი, ბოლო მოდელს ირჩევენ ხოლმე, თუმცა მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც ის მიზანი და ფუნქციებია, რომლებიც მოწყობილობამ უნდა შეასრულოს, ამიტომ სპეციალისტები მომხმარებლებს ურჩევენ შეძენამდე კარგად გაიაზრონ ის ფუნქციური შესაძლებლობები და ამოცანები, რისთვისაც ამა თუ იმ გაჯეტს ყიდულობენ. რაც შეეხება პლანეტებისა და ნოუთბუქების დაპირისპირებას, საქართველოში მაკ-ის მომხმარებელთა ჯგუფის GEMUG-ის ხელმძღვანელი დიმიტრი გოგელია ფიქრობს, რომ ტაბლეტი მთელ მსოფლიოში კიდევ უფრო პოპულარული გახდება და მისი ფუნქციონალიც უფრო გამდიდრდება:


„საბოლოოდ, პერსონალური კომპიუტერის როლი სულ უფრო დაკნინდება. iPad-ი ჯერ კიდევ არის და იმედა,

დიდი ხნის განმავლობაში ბაზარზე N1 ტაბლეტად დარჩება, რის მიზეზადაც შეგვიძლია, როგორც მისი უზადოდ შესრულებული სამომხმარებლო ინტერფეისი, ასევე ძირითადი კონკურენტის, Android-ის ტაბლეტური ინტერფეისის არასრულყოფილება ჩავთვალოთ. თუმცა ბოლო პერიოდში „სიკეთის კორპორაცია“ აქტიურად ცდილობს ამ მიმართულებით სიტუაციის გამოსწორებას“, – აღნიშნავს დიმიტრი გოგელია.

პლანეტების სფეროში აპარატურულ სიახლეებს – ძლიერ პროცესორს, მეტ მეხსიერებას, ახალ პროგრამულ პროდუქტებს ელის ზვიად სულაბერიძე, თუმცა ფიქრობს, რომ პლანეტები კომპიუტერის ჩამნაცვლებელი, განსაკუთრებით კი პროფესიულ დონეზე ვერ გახდება: „ბევრი მიზეზი არსებობს, მაგალითად, ეკრანის ზომა. თუ ეკრანის ზომა იქნება დიდი, მაგალითად 42 დუიმი, რაც არქიტექტორს, კინომემონტაჟეს, ფოტოგრაფს, გრაფიკულ დიზაინერს და სხვა სპეციფიკური პროფესიის წარმომადგენლებს სჭირდებათ, მაშინ ის პლანეტები დაკარგავს თავის დანიშნულებას, რომ

იყოს ადვილად სატარებელი და მოხერხებული მომხმარებლის უმრავლესობისთვის. შეიძლება მომავალში რომელიმე მწარმოებელმა გამოუშვას კიდევ 42 დუიმიანი პლანეტები, მაგრამ ის მხოლოდ და მხოლოდ ვიწრო ტიპის მომხმარებლისთვის იქნება და პოპულარული, ანუ ყველასთვის სასურველი ვერ გახდება“, – აღნიშნავს ზვიად სულაბერიძე.

ნებისმიერ შემთხვევაში, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ პლანეტები მომდევნო წლებშიც ტექნოლოგიების ჰიტად დარჩება, რაც სტატისტიკითაც დადასტურდება. NPD-ს სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ 2015 წლისთვის პლანეტების გაყიდვები ნოუთბუქების რეალიზაციას გაასწრებს და ეს ფაქტი მსოფლიო ტენდენციად იქცევა. IDC-ს პროგნოზით კი, ტაბლეტების გაყიდვები მომდევნო წელს – 172,4 მილიონს, 2016 წელს კი 282,7 მილიონს მიაღწევს.

პლანეტურმა კომპიუტერებმა ადამიანების ქცევა შეცვალეს და მოდურ გაჯეტებად იქცნენ, ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამძაფრდება. ასე რომ, ბუმი გრძელდება.. 

# ქალაქია, ხალხნი ვახი

კახა თოლორდავა  
ჟურნალისტი



ამ ორიოდ დღის წინ ქალაქში სეირნობისას ერთ სანყალ კაცს გადავეყარე – ლამის შუა ქუჩაში ფსამდა. არც ნასვამი იყო და არც არაფერი. ნორმალურადაც ეცვა. გვიან შევამჩნიე, ჩემს რალაცებზე ვფიქრობდი, ამიტომაც გვერდი ვერ ავუარე და საკმაოდ ახლოს ჩავუარე. სანყალი თვალებით შემომხედა ისე, რომ საქმე არ შეუწყვიტავს და უხერხული ღიმილით წლის ყველაზე დამამახსოვრებელი ფრაზა ამოლერდა: „მაპატიეთ, ასე უკულტუროდ რომ ვიქცევი, მომინდა და ვერსად შევედი!“ „ეგ არაფერი!“ – ღიმილითვე ვუპასუხე და ნაბიჯს ავუჩქარე. „ქალაქია, ხალხნი ვართ! – მომახსა უკვე ჩავლილს და მერე კიდევ მიაყოლა: – ქუჩაში რამე რომ მოგინდეს კაცს, ამხელა ქალაქში ვერსად შეხვალ!“

მართალს ამბობდა ის კაცი, ვერ გამტყუნებ. ამ მხრივ თბილისი ქალაქში ხეტილისთვის ყველაზე ცუდი ადგილია, ღმერთმა ნუ ქნას და უადგილო ადგილას რამე მოგინდეს კაცს და რამდენადაც მახსოვს, ეს ყოველთვის ასე ხდება. იმ გაჭირვებულმა ჩემი ერთი მეგობარი გამახსენა სამოცკვერცხიანი ტორტი ხელში რომ დარბოდა ქალაქის ქუჩებში მოფარებული ადგილის სანახავად. ეს ამბავი ბნელ კომუნისტურ წარსულში მოხდა. ცოლმა სთხოვა, ტორტი სადღაც მიეტანა, წაიღო კიდევ, მაგრამ

ქუჩაში გასულმა ჯერ ტაქსი ვერ გააჩერა (მაშინ ტაქსები არ აჩერებდნენ), მერე იფიქრა ფეხით წავალ, ასე ხომ არ ვიდგებო და სწორედ ამ გადანყვეტილებამ დალუპა. გადანყვეტილებამ და კუჭმა. ქალაქია, ხალხნი ვართ! ნაგიჟარით დარბოდა იმ ტორტით ხელში და ძალიან ცუდად რომ გახდა, ერთი ამის დედაც ვატიროე და სადღაც ეზოში ჩაიცუცქა (არ ვიცი, შარვალი როგორ შეიხსნა), სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, კვდებოდა კაცი, რა ექნა. კი ჩაიცუცქა, მაგრამ ის ტორტი ვერ წაიღო ვერსად. ჰოდა, იჯდა ასე ჩაიცუცქული თბილისის მაშინ ძალიან პრესტიჟული უბნის ერთ-



-ერთ ეზოში უზარმაზარი ტორტით წინ გაშვერილ ხელებში და შვების ღიმილით სახეზე. არ ვიცი „მერსერის“ (თბილისს ბოლო ადგილი მიუჩინა ევროპულ ქალაქებს შორის ცხოვრების დონის მიხედვით) კვლევაში საზოგადოებრივი ტულეტების რაოდენობაც თუ იყო ნაგულისხმევი, მაგრამ ფაქტია, რომ თბილისს ძალიან უჭირს, როცა მის მოქალაქეებს უჭირთ. პირადად მე თბილისის ქუჩებში შლევით სირბილის დიდი გამოცდილება მაქვს. რა არ მომიძქმედებია, ტაქსი გამიჩერებია და სა-

ხლში დაგებრუნებულვარ, კაფეებში უამრავი უაზრო ჩაი და ყავა დამიღვია მხოლოდ იმის გამო, რომ ტულეტში შევსულიყავი, მშენებარე ობიექტებზეც შევპარულვარ, უცნობ ეზოებშიც და თქვენ წარმოიდგინეთ, სადარბაზოებშიც კი. ერთხელ, ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნის ჭუჭყიან სახინკლეში შევევარდი და მებუფეტეს ვთხოვე, თუ ძმა ხარ ტულეტში პატარა საქმე მაქვს და არ გამიბრაზდე-მეთქი. იმან კი მთელი სახინკლის გასაგონად, – ვერ მოგაფსმეინებ ძმაო, უფროსობა გამიბრაზდება, მყავე მანც უნდა აიღო, – მომახალა. ისეთი გემრიელი მყავე ცხოვრებაში არ გამისინჯავს! მოკლედ, ნატანჯი კაცი ვარ!

რა თქმა უნდა, ვიცი, რომ პირველი და ერთადერთი არ ვარ, ვინც ამ პატარა (ზოგჯერ კი დიდ) პრობლემაზე ვწერ, მაგრამ „ქალაქში მოხეტიალე კაცის ჩანაწერებში“ ეს თემა აუცილებლად უნდა მომხდარიყო და თბილისიც ადრე თუ გვიან გაგებით უნდა მოეკიდოს საკუთარი მოქალაქეების მოულოდნელ ქუჩურ ახირებებს, თორემ (ჩვენზე აღარ ვჩივი)

ინტერნეტში „თბილისის საზოგადოებრივი ტულეტები“ რომ აკრიფო ინგლისურ ენაზე გული მოგიკვდება უცხოელი ტურისტების ტრაგიკული ისტორიების კითხვით. „ქართულად რომ აკრიფო, რა მოხდება?“ – იკითხვით თქვენ. ვცადე, ბატონო და ყოვლისმცოდნე „გუგლს“ მოვთხოვე თბილისის საზოგადოებრივი ტულეტების რუკა. ძეხნის პირველი შედეგი აფრიკის რუკა იყო, მეორე კი გერმანიის რუკა! თქვენი არ ვიცი, მე კი იოჰანესბურგში ან მიუნჰენში მოსაფსმელად ნაღდად ვერ წავალ. მე თბილისში ვრჩები!



[www.ucnobifm.ge](http://www.ucnobifm.ge)

ნაჩაბადაბუნი ბიზნის  
პროგრამებისთვის

თქვე პეჩინი  
ბიზნის  
EROM

ყვენი სეპეამ დენს  
20:00-ზე "პეჩინი პეჩინი"

